J-1179


# ქართლოსი

საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა

**KARTLOSSI** ORGANE DU NATIONALISME INTEGRAL GEORGIEN

რედაქტორი: — ვიქ. ნოზაძე    Directeur : VICTOR NOSADZÉ    26, rue Lacretelle, Paris, XV.

9 - 10    Paris, mars, 1938 მარტი, 1938 წ. პარიზი.    9 - 10


შინაარსი:


**Sch. Maglakelidze** — Der Wiederherstellung des Königreiches Georgien entgegen.
**V. Nosadzé** — Le Journal «Caucase», le Caucase et la Géorgie.
**N. Barathachvili** — Pégase, (vers), trad. par **Ch. Béridzé.**

ვიქ. ნოზაძე — ჟურნალი „კავკაზი“ და კავკასია-საქართ.
რეზოლუცია საქართველოს ტერიტორიის საკითხისათვის
**Résolution** de la Société géorgienne sur les frontieres de la Géorgie.
ბ. ბებურიშვილი — რუსეთი — ოსმალეთი — საქართვ.
**B. Bébourichvili** — La Russie, la Turquie et la Géorg.
დ. მარჯანიშვილი — ჟ. „კავკაზი“-ის სახე.
**D. Mardjanichvili** — La propagande du j. «Le Cauc».
ივ. თურქია — ჩრდილოეთი და სამხრეთი.
**J. Thourkia** — Le Nord et le Sud.
ვიქ. ნოზაძე — მცირე განმარტება.
**V. Nosadzé** — Reponse au j. «Le Caucase».
დონაური — მიმოხილვა.
**Donaouri** — La presse géorg. sur la quéstion des frontieres de la Géorgie.

ბ. ვარდანი — საქართველოში.
**B. Vardani** — La situation en Géorgie.
მეგობარი — სამი ხელისუფლება.
**Mégobari** . . Les trois Pouvoirs.

დ. ჭიაბრიშვილი — რუსეთი და საქართველო.
**D. Tchiabrichvili** — La Russie et la Géorgie.
აკ. მეუნარგია — ხოსრო ფაშა.
**A. Méounarguia** — Khosro Pacha.

ს. ბერეჟიანი — მგოსანი (ლექსი).
**S. Béréjiani** — Le poéte (vers).
ბეგი გოლიაძე — პაოლო იაშვილი (ნეკროლოგი).
**B. Goliadzé** — Le poète P. Jachvili (nécrologie).
გ. ყიფიანი — შემოდგომა (ლექსი).
**G. Kipiani** — L'automne (vers).
გან - ფარი — ლექსი.
**Gan - Phari** — La naissance d'un vers.

ან. ქვლივიძე — ბიბლიოგრაფია ქბნ. პაპავას წიგნის შეს.
**An. Kvlividzé** — Bibliographie.

გიორგი ჟურული — ილიასთან შორი-ახლო დგომით.
**G. Jourouli** — Les Souvenirs.

მ. დ. — შოთა რუსთაველის იუბილე.
**M. D.** — Le Joubilée de Rousthavéli.

ნიკიფორე ქათამაძე — სინტეტიური კავკაზია.
**N. Kathamadzé** — «Le Caucase synthétique».

ვ. გახოკიძე — ვეფხის ტყაოსანის ლექსიკონი.
**V. Gakhokidzé** — Dictionnaire du poême Rousthaveli


## DER WIEDERHERSTELLUNG DES KOENIGREICHES GEORGIEN ENTGEGEN.

Das Georgische Volk, welches auf eine Existenz von 25 Jahrhunderten zurückblicken kann, hat waehrend des langen Laufes seiner Geschichte viele Schicksals erleiden müssen, aber trotz aller Hindernisse, welche es schon um seiner geographischen Lage willen, treffen musste, hat es seine völkische Eigenart bis auf unsere Tage bewahrt.

Lassen wir hier die aeltere Geschichte zur Seite und beschaeftigen uns mit der historischen Tatsache, dass Voelker georgischen Rasse schon im 5 Jahrhundert v. Chr. zwei Staaten gebildet hatten, naehmlich: das Königreich Iberien im östlichen Kaukasus und das Königreich Kolchida im westlichen Teil.

Diese beiden Staaten, welche eine Brücke zwischen dem Schwarzen und dem Kaspischen Meere bildeten, gewannen vom strategischen sowohl als auch wirtschaftlichen Standpunkte aus eine so grosse Bedeutung, dass seit dem Beginn ihrer Existenz als suveraene Staaten, die zwei grossen Herscherreiche dieser Epoche, Rom und Persien, schon untereinander Krieg führten, um sie zu besitzen.

Im Jahre 368 v. Chr. hielt Rom die beiden Königreiche (georgischen) besetzt, aber bald sah es sich gezwungen dem persischen Reiche eine Einflusszone im östlichen Iberien abzutreten.

Schon in dieser fernen Zeit wurden die Georgier von Königen regiert, obwohl sich diese manchmal gezwungen sahen, die Oberherrschaft der beiden grossen Reiche anzuerkennen.

Im 4 Jh. bekehrte sich Mirian, der König Georgiens (265 — 345) zum Christentum, dieses trug an der Entwicklung der georgischen Kultur bei, vor Allem vom 5 Jh. an, der Zeit der Gründung der Autocephalie der georgischen Kirche.

Nach dem Zusammenbruch des roemischen Reiches betrachtete sich Persien als Herr über das östliche Georgien und stellte im Jahre 527 dort sein Protektorat auf, aber die Georgier erhoben sich staendig gegen die persische Autoritaet und versuchten mit allen Mitteln sich seiner Herrschaft zu entziehen.

Im westlichen Teile Georgiens versuchte Bysanz, mit dem Anspruch, Erbe Roms im Orient zu sein, seine Lage in Colchida zu festigen, obwohl mit wenig Erfolg, da es von Persien mehr und mehr in die Enge getrieben wurde. Dieser lange Streit der beiden Staaten um Einflusszonen in den georgischen Gebieten, sollte sich im Jahre 532 durch die Unterzeichnung eines Vertrages des ewigen Friedens, schlichten, welcher Iberien Persien und Colchida Bysanz überliess.

Das georgische Volk aber, welches sich weigerte, sich irgendwelcher fremder Herrschaft zu unterwerfen, setzte seinen Kampf für die vollkommene Unabhaengigkeit fort.

Aber bald erschien ein anderer Feind am Horizont: Im Jahre 643, waren es die arabischen Heere, die Georgien überfielen, und ihr Joch war noch demütigender als das der Perser oder Griechen. Diese Epoche, eine der dunkelsten des georgischen Volkes, endete jedoch durch seinen Sieg: Die Wiederaufrichtung des Staates Georgien unter der Führung der Dynastie der Bagrationi (Bagratiden) denen die doppelte Aufgabe zufiel, Georgien zu organisieren und zu einigen.

Der endgültige Regierungsantritt dieser Dynastie faellt mit der Regierung des Königs Aschot (780 — 826) zusammen.

Um das Ende des X. Jahrhunderts ist Georgien unter einem einzigen König vereint, und von dieser Zeit an beginnt die glücklichere Periode seiner Geschichte. Georgien wurde immer staerker und blühender, es stand in dem Ansehen, eine grosse Macht zu sein; vor Allem waehrend der ruhmreichen Regierung David II. (1037 — 1125), welcher ein ausgedehntes Königreich begründete, gelegen zwischen dem Kaspischen- und dem Schwarzen Meer, der Bergkette des Kaukasus bis zum jetzigen Distrikt von Kars. Von dieser Regierungszeit König David II. an, wird Georgien zum Traeger der ersten Macht im Kaukasus und im ganzen nahen Orient überhaupt.

Der Höhepunkt dieser glaenzenden Periode in der georgischen Geschichte ist jedoch die Zeit der göttlichen Königin Thamar (1187 — 1212). Diese Königin, die die glücklichste Epoche Georgiens symbolisiert, lebt heute noch im Herzen jedes Georgiers fort, welcher ihr die grössten Taten seiner nationalen Geschichte zuschreibt. Das ist die Epoche Georgiens als erste Macht in Klein-Asien, welche aus dem Reiche ein Land machte, das an Oberflaeche dem heutigen Frankreich gleichkam. Diese Regierungszeit der grossen Königin, welche man das goldene Zeitalter Georgiens nennt, zeigt einen Aufschwung in der nationalen Kultur, wie auch in der Wirtschaft, deren Spuren bis heute noch in der Architektur als in der Literatur erhalten sind.

Zwiscen vielen bemerkenswerten Werken dieser Epoche, bleibt uns ein Kleinod, einzig in seiner Art, die berühmte Epopee Schota Rustaveli's «Der Mann im Tigerfell».

Die georgische Renaissance gaenzte in der religiösen und weltlichen Literatur; Dichter und Saenger versammelten sich am Hofe der Königin Thamar um ihren Ruhm zu verherrlichen.

Georgien behauptete sein Ansehen und seine Macht bis zum Einfall der mongolischen Horden, welche im Jahre 1220 an den Grenzen Georgiens erschienen und das Land bald dem Grossen Khan tributpflichtig machten.

Eine neue Epoche der Grösse beginnt wieder mit der Regierung Georg V. «des Glanzvollen» (1313 — 1346), welcher alle, von den Mongolen losgelösten georgischen Provinzen, wieder unter sein Scepter zu vereinigen wusste.

Kaum hatte sich das Land von seiner Niederlage erholt, musste es unter Bagrat V. (1360 — 1395) sieben Einfaelle der Truppen Tamerlan's über sich ergehen lassen. Jedoch Georgien erstand nochmals durch die energische Handlungsweise des Königs Alexander I. (1414 — 1442), welcher an der Erhebung und am Aufbau des von den Eindringlingen in Ruinen zurückgelassenen Landes, beitrug.

Mit der Einnahme Konstantinopels, gefolgt von dem Verfall des Reiches von Trapezunt, einst von der Königin Thamar gegründet, fand sich Georgien eingekeilt in die mohamedanische Welt, ohne die Möglichkeit, irgendwelche Verbindungen zu den christlichen Laendern zu unterhalten. Isoliert in der feindlichen, andersglaeubigen Welt, konnten die georgischen Könige nicht mehr mit Erfolg den Kampf gegen so maechtigen Nachbarn fortsetzen.

Indessen suchten alle Könige Georgiens, die damals ihre Rechte nur über Karthlien ((Zentralgeorgien) ausüben konnten, ohne Aufschub einer Gelegenheit, um die losgelösten Teile des eins grossen Georgien wieder unter ihre Krone zu vereinigen.

Dieses war ein aeusserst schwiriger Versuch, denn gerade in dieser Zeit (vom Ende des XV. Jh. an und im XVI. Jh.) begann der Kampf der beiden grossen Maechte, Persien und der Türkei, um die georgischen Provinzen.

Die georgischen Könige verstanden zur Genüge, politische Elastizitaet zu zeigen, sie gingen manchmal sogar so weit, sich als Vasallen der beiden Reiche zu erklaeren, ohne es jedoch zu vernachlaessigen, die nationale Kultur zu fördern.

Versenkt in die islamische Welt, versuchten die Könige Bagrationi oft, die christlichen Laender für Georgiens Hilfe heranzuziehen, aber vergeblich! Diese Hilfe, die niemals kam, beschraenkte sich lediglich auf den Wechsel von Briefen zwischen Herrschern, dem Heiligen Stuhl und Diplomaten.

Aber zu Beginn des XVIII. Jh. naeherte sich Moskau, ein Imperium geworden, dem kaukasischen Isthma, und die Blicke der georgischen Könige wandten sich dieser neuen rechtglaeubigen Macht zu, welche, so schien es, ein wertvoller Verbündeter gegen die mohamedanischen Staaten werden könnte.

Nach vielen Verhandlungen wurde durch die Gesandten Katharinas II. und Iraklis II. ein Freundschaftsvertrag unterzeichnet.

Dieser Vertrag hatte nur die Erbitterung der Nachbarn, besonders Persiens, zur Folge, wurde von den «Verbündeten» Russen aber in keiner Weise beachtet. Persien erklaerte Georgien den Krieg, der alte König bekam keine zugesicherte Hilfe von den Russen.

Das ist noch nicht alles! Nach der kurzen Regierung Georgs XIII., welcher im Jh. 1801 starb, verletzte Russland seine Verpflichtungen wiederum, indem es den Tronfolger gefangen nahm und Schritte zur Annekierung Georgiens unternahm.

Das Königtum der Bagratiden, an welchem sich waehrend der tragischsten Epochen seiner Geschichte die grausamsten Feinde nicht vergriffen hatten, wurde aufgehoben, von Russland seiner heiligen Rechte beraubt. Es wurde beschlossen, die Mitglieder der regierenden Familie nach Russland zu verschicken, ohne die Erlaubnis, sich in ihrer Heimat aufzuhalten. So wurden nach und nach alle Mitglieder des königlichen Hauses aus Georgien ausgewiesen ausser denjenigen, die sich rechtzeitig in das Ausland flüchten konnten, um gemeinsam mit ihrem Volke den Kampf gegen den neuen Feind fortzusetzen.

Dasselbe Los wurde dem georgischen Königreich Imerethien zuteil, wie auch den Fürstentümern des westlichen Georgien. Alle wurden annektiert und dem Imperium der Zaren angegliedert. So wurde Georgien der königlichen Autoritaet beraubt, welche ihm sei-

nen nationalen Geist, seine eigene Kultur und die Reinheit seiner Rasse zu bewahren wusste.

Unter den Mitgliedern des Hauses Bagrationi, welche fortsetzten gegen die Bedrücker Kampf zu führen, neigen wir uns mit Ehrfurcht in dem Gedaechtnis an den König Solomon II. von Imerethien und dem Prinzen Alexander von Kachethien, dem Sohn des Königs Irakli II., welche bis zu ihrem letzten Atemzug für die Wiederherstellung der nationalen Unabhaengigkeit kaempften.

Das russische Joch, von Georgien 117 Jahre hindurch getragen, konnte bei diesem Volke nicht die Treue seiner nationalen Dynastie gegenüber brechen. Waren doch die Bagratiden waehrend 10 Jahrhundert eng mit dem georgischen Volke vereint, die personifizierten die nationale Würde und kaempften zum Schutze des vaeterlichen Erbes und für die Grösse ihres Königreiches.

Geführt von den Bagrationi, wusste Georgien seine politische Herrschaft zu behaupten, seine nationale Widerstandskraft zu kristallisieren und durch seine volkische Kultur am Vortschritt der Zivilisation beizutragen.

Seit der Annektierung durch die Russen wurde Königreich Georgien von der Weltkarte gestrichen, in mehrere Provinzen geteilt, die von russischen Gouverneuren verwaltet wurden. Aber Georgien hat immer versucht, sich mit allen Mitteln der russischen Herrschaft zu entziehen. Aber alle Aufstaende, welche waehrend des XIX. Jh. ausbrachen, wurden auf das Grausamste unterdrückt.

Die Politik der Russifizierung, welche in Georgien seit der Annektion angewandt wurde, brachte den Russen nicht viel Erfolg; trotz des Fehlens eines Staatskörpers wussten die Georgier des XIX. Jh. ihren Weg zu finden, um die Entwicklung ihrer eigenen Kultur zu verfolgen und ihre Sprache und Sitten zu bewahren und zu pflegen.

Aktiven Elementen gelang es, der Russifizierung entgegen zu arbeiten, und als, waehrend des Weltkrieges das Kaiserreich des Zars zusammenbrach, benutzte Georgien diese Gelegenheit, um am 26. Mai 1918 seine Unabhaengigkeit wiederherzustellen.

Als Georgien sich als eine demokratische Republik organisierte, folgte es damit nur der allgemeinen Bewegung der Nachkriegsperiode, die so ungünstig für das «Königtum» war.

Von den Grossmaechten de jure anerkannt, wurde Georgien es auch durch die russische Sovjetregierung am 7. Mai 1920. Trotzdem verletzte Sovjetrussland seine Verpflichtungen und fiel ohne Kriegserklaerung im Februar 1921 in Georgien ein, stürzte die marxistische Regierung, welche unfaehig war, die Verteidung des Landes zu organisieren. Aber seines Schiksals bewusst, griff das georgische Volk, welches die Schreckenherrschaft der Sovjets nicht ertragen konnte, zu den Waffen und organisierte einige Aufstaende; damit bewies es der ganzen Welt seinen Heroismus und seinen festen Willen, keine Fremdherschaft zu dulden, keine fremde Knechtschaft zu leiden.

Dieser Kampf um die Wiederherstellung der Unabhaengigkeit setzt fort, trotz der Grausamkeit der Sovjets, die den Terror in Georgien regieren lassen; dieser Kampf wird weiter gehen und ein Ende nehmen, als mit dem entscheidenden Sieg des georgischen Volkes.

Unsere nationale Bewegung, spontan geboren, lebt in Georgien schon seit dem Beginn der bolschewistischen Besetzung; um die ganze nationale Energie zusammenzufassen, zum Kampf im Geiste der Solidaritaet und des totalen Opfers, gebaut auf unerschütterlichem Nationalismus, befindet sie sich auf dem Vorposten der Aktion für die Unabhaengigkeit. In der Entwicklung des Kampfes, bestimmt und formt sich unsere Ideologie. So ist am 18. Oktomber 1936, dem Tag unseres 4. Kongresses, die Notwendigkeit erkannt worden, mit vereinten Kraeften den Kampf für die Unabhaengigkeit des Landes und für die Restauration des Königreiches Georgien fortzusetzen:

«Waehrend Jahrhunderten war Georgien ein Königreich. Mit Gewalt zu Beginn des XIX. Jh. von Russland annektiert, wurde die natürliche Entwicklung des Lebens unseres Volkes aufgehalten. Von neuem muss der Lauf seiner Geschichte durch die Restauration wiederhergestellt werden, deren Tradition bei dem georgischen Volke feste Wurzeln gefasst hat.

«Allein der König, stark durch die Solidaritaet des Volkes, kann sich höchstens und unbestreitbares Oberhaupt des Staates nennen, und die Jahrhunderte alten Traditionen der Monarchie der Bagrationi mit den Ansprüchen eines modernen Nationalstaates vereinen.

«Wir sind fest davon überzeugt, dass das georgische Volk, welches so viel gelitten hat im Kampfe um seine Unabhaengigkeit, sein historisches Gesicht mit einem König wiederfinden wird, welcher immer das Symbol des grossen und blühenden, freien und vereinigten Georgien gewesen ist.

«Wir verkünden feierlich, dass unsere Organisation, die einzige Bewegung, welche die wirkliche Macht und Hoffnung des Landes darstellt, seinen Kampf ohne jegliche Bedenken fortsetzen wird, um sein heiliges Ziel zu erreichen. Wir sind uns der Schwierigkeiten dieses Versuches bewust, welcher uns gegen einen Feind ohne Skrupel stösst, aber uns unserer Aufgabe als Georgier bewusst, und vor unserer Heimat verantwortlich, werden wir unser Werk mit Erfolg zu krönen wissen, und wir glauben, dass das Königreich Georgien bald wieder erstehen wird».

Der Führer der georgischen Nationalpartei

Dr **Schalwa Maglakelidze**

ჩვენი ყიჟინაა: — საქართველო უწინარეს ყოვლისა!

საქართველოს იდეით განისაზღვრება ჩვენი მსოფლმხედველობა და ჩვენი მოღვაწეობაც. სიტყვისაგან: — საქართველო უწინარეს ყოვლისა! გამომდინარეობს ჩვენი დარაზმულობა და ამ დარაზმულობის ბრძოლაც.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო იყო სამეფო. მე-19 საუკუნის დასაწყისს რუსეთის უღელში ძალადობით შეწყვეტილ იქმნა ქართველი ერის ისტორიის ბუნებრივი სვლა. კვლავ უნდა აღსდგეს საქართველოს სამეფო, რომლის მკვიდრი ტრადიცია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან საძირკველზეა აგებული.

ქართველი ერის სიმდიდრე და მისი მასაზრდოებელი — მიწაა; მიწა უნდა მიეკუთვნოს მიწისმომქმედს; მიწაზე კერძო საკუთრების უფლება შეკავშირებულია ერის წინაშე მოვალეობასთან. ქართველებსა და აფხაზებს გარდა, სხვას მიწის ყიდვა აკრძალული ექნება; საქართველოს საზღვრები უნდა გაქართულდეს.

საქართველომ უნდა დაიბრუნოს დაკარგული მიწ

შრომასა და კაპიტალს შორის უნდა დამყარდეს თანამშრომლობა ურთიერთ ინტერესთა დაცვით.

## *LE JOURNAL « CAUCASE »* LE CAUCASE ET LA GEORGIE

La question de la frontière Sud-Ouest de la Géorgie n'est pas pour nous une simple question de limites de territoire. Le territoire est le lieu où le peuple vit, travaille, où il déploie toute son activité : c'est l'Histoire ; le territoire, c'est l'endroit où sont accumulés les résultats de son travail pendant les siècles ; le territoire, c'est le trésor de sa vie morale et spirituelle — c'est le lieu où gisent les générations passées. C'est pour cela que le territoire, qui créé la nation, est un des éléments qui le concernent, en même temps qu'il est la base de l'existence d'un Etat.

Qui peut dire, sauf un ennemi de la Géorgie, que la Géorgie du Sud, — comprenant l'ancienne Samtskhesaathabago (principoté), l'ancienne Taoklarjetie — qui était le foyer politique et culturel de la résurrection de l'Etat géorgien, n'est pas géorgienne ? Il nous importe peu que le sort cruel de l'Histoire nous ait privés de cette région ; que la suprématie de la force et des ennemis l'ait détachée de la mère-patrie ; que, depuis le XVII$^{e}$ siècle, cette contrée ait été terrorisée et musulmanisée ! Malgré tout cela, les rois de Géorgie n'ont jamais abandonné cette perte : pour ces contrées, ils ont mené des guerres sanglantes. Et, quand le roi de Géorgie, Heraclus II, surnommé Patarakakhi, conclut un traité de protectorat avec Catherine II, le second article de ce traité visait le retour de ces contrées à la Géorgie, et le roi lui-même était considéré comme héritier de Samtskhésaathabago.

Pendant les guerres de 1828, 1856, 1878, dans lesquelles beaucoup de sang géorgien fut versé, combien de cœurs qui battaient d'un sentiment patriotique furent poignardés, jusqu'à ce que la Russie résolut d'adjoindre à la Géorgie la Samtskhésaathabago, la Meskhéthie. Seulement pendant la dernière Grande Guerre et la Révolution Russe, quand la Russie abandonna le Caucase, la Géorgie ressuscita de nouveau et son pouvoir fut rétabli dans l'ancienne Meskhétie. Mais la Turquie des Sultans, par le traité de Brest-Litovsk, voulut s'emparer de ces contrées. En 1918, le 2 mars, sans que la Géorgie soit consultée, la Russie bolchevique, par ce traité, vendit le territoire de notre pays, lequel après la défaite de la Turquie, fut de nouveau rendu à la Géorgie. Malheureusement, temporairement, car, en 1921, l'envahissement de la Russie rouge fit perdre la Géorgie en même temps que la Meskhétie.

Quand, en 1921, au mois de Février, l'armée soviétique fut entrée en Géorgie, où le peuple était en guerre avec cette armée, la Turquie profitant de ce moment, attaqua le Sud de la Géorgie, et Moscou se livra alors à un véritable marchandage. Le gouvernement de la République de Géorgie était encore à Batoum, lorsque le représentant des bolcheviks et du Gouvernement turc signèrent un traité, d'après lequel Kars, Ardahan, Artvin et une partie de la région de Batoum furent donnés à la Turquie. Or, le 16 mars 1921, la Russie vendit pour la seconde fois le territoire géorgien, pour récompenser la Turquie pour son aide et sa neutralité pendant la guerre avec la Géorgie.

De telle sorte, la Turquie profita de la situation critique des malheurs de la Géorgie pour la poignarder dans le dos : de nouveau, elle arracha le foyer de la Géorgie, sans déclaration de guerre, ni la moindre discussion, avec le consentement et l'approbation de la Russie bolcheviste. Ce brigandage, ce piétinement de tout droit international, Moscou le fit approuver par le Gouvernement de fantoches — sa création — le Gouvernement de la Fédération de Transcaucasie, avec le traité de Kars. Les représentants des Gouvernements du Nord du Caucase, de l'Azerbaidjan, de l'Arménie et de la Géorgie, réfugiés à l'étranger, signèrent alors une déclaration où ils disaient notamment :

« Les représentants des Républiques du Caucase déclarent que tous les traités et conventions concernant l'aliénation du territoire, les différentes concessions, les privilèges, qui seraient donnés sur les territoires de l'Azerbaidjan, de l'Arménie, du Caucase du Nord et de la Géorgie, sont dépourvus de toute légalité et, par conséquent, ne seront pas considérés comme justes et valables ». (10 juin 1921, Paris).

La Géorgie, qui était dans les griffes du régime bolchevique, n'avait pas le moyen d'élever sa voix. Seule, l'émigration put protester et porter un blâme sévère contre cet acte combiné de la Russie soviétique et de la Turquie. Ce blâme devint une morale nationale et un principe sacré pour l'émigration.

Et voilà que le journal « Caucase » et ses animateurs — Gaïdar-Bahmat, Z. Avachvili — déclarent sans rougir que le traité de Kars est acceptable, et même, d'après Bahmat, il paraît, que pour la Turquie, Batoum serait devenue nécessaire !

Avec cette honteuse déclaration, le journal *Caucase* a, non seulement atteint la morale qui animait l'émigration, mais a poignardé, de l'étranger, la Géorgie et le Caucase subjugués.

Jusqu'à ce jour, et avec juste raison, personne n'avait osé déclarer que les territoires arrachés par l'ennemi lui étaient abandonnés. Jusqu'à ce jour, on n'avait trouvé personne pour approuver le traité de Kars et ce n'est pas étonnant ! Dire que ces territoires appartiennent à la Turquie équivaut à l'approbation de l'acte de brigandage commis par la Russie.

C'est ça le travail et la lutte anticommuniste du journal *Caucase ?*

Non, c'est, au contraire, la propagande bolchevique et l'acceptation de leur morale !

Dire que le territoire sus-nommé doit rester à la Turquie justifie l'acte de la Turquie, amie alliée de la Russie soviétique.

C'est ça la lutte et le travail du *Caucase* pour l'indépendance ?

Non ! c'est, au contraire, du travail contre le Caucase ; c'est la lutte contre la Géorgie et la justification de l'acte machiavélique de la Turquie. C'est frayer le chemin à la Turquie dans le Caucase.

Déclarer que les territoires donnés par les Bolcheviks à la Turquie, qui les tient, et créer une question de Batoum, ou faire de Batoum l'objet d'une discussion, signifie détruire les bases pour l'indépendance du Caucase, car, au point de vue stratégique et politique, cette contrée est une partie organique du Caucase, et, sans Batoum, l'indépendance du Caucase est impossible.

C'est ça le travail et la lutte du journal *Caucase*, pour obtenir l'indépendance de la Confédération Caucasienne ?

Non ! au contraire, c'est du travail contre le

Caucase et, bien entendu, de ce fait, dirigé contre la Géorgie !

C'est comme cela que le journal *Caucase* et ses quelques collaborateurs justifient l'acte de la Russie ? C'est ainsi qu'ils justifient la morale bolchevique, l'acte vil de la Russie soviétique ? Qu'ils justifient la perfidie turque ? C'est comme cela qu'ils luttent pour l'Indépendance du Caucase ? C'est comme cela qu'ils luttent pour la Géorgie ? Leur affreuse propagande est non seulement inadmissible, mais il faut la désapprouver, la blâmer et la combattre, car avec cette propagande, le journal *Caucase* approuve les agissements ennemis, et leur morale ; personne n'a le droit, ni politique ni moral, de distribuer le territoire de la Géorgie, alors que le peuple, qui est le souverain, gémit sous le joug soviétique et que la nation, privée de tous les droits, ne peut pas se prononcer.

Victor NOSADZE.

## PEGASE,

### par N. BARATHACHWILY

Pégase est en plein vol, au hasard de la route,
Poursuivi par les cris du corbeau de malheur,
Vole sans te lasser, Pégase, et sous la voûte du Ciel,
Disperse au vent l'angoisse de mon cœur !
Franchis tel l'ouragan, torrents, monts et prairies
Abrège, par pitié ma vie, ô mon coursier !
Ne crains, ni la chaleur, ni les intempéries,
Ne crains pas de lasser au vol ton cavalier...
Quand je devrai quitter, l'âme toute meurtrie,
Mon pays pour toujours, ma vie et mes parents,
Le ciel, région sans nuit, deviendra ma patrie,
Je conterai là-bas aux astres mes tourments...
Ils comprendront l'émoi de mon âme en déroute,
Et son vol insensé rayonnant de splendeur !...
Vole donc sans répit, Pégase, et sous la voûte des cieux
Disperse au vent l'angoisse de mon cœur...
Si je dois mourir seul, à mon heure dernière,
J'irai seul, sans crainte, au devant de la mort,
Qu'on ne me porte pas à notre cimetière,
Que mon amie en pleurs ne veille pas mon corps.
Qu'en m'arrachant les yeux, le corbeau soit tout seul,
Que le sable et le vent me tissent mon linceul ;
La rosée sera les larmes de l'aimée
Et les cris des corbeaux les vrais sanglots d'amie.
Vole, Pégase, et moi, narguant la destinée
Moi, qui ne sais plier, je reste insoumis !
Vole, Pégase, vole, ignorant la fatigue,
Plane et disperse au vent le deuil de mes esprits !
Tes efforts insensés, loin d'être stériles,
Frayeront un chemin qui restera dès lors :
J'aurai rendu par là les routes plus faciles
Aux poètes, mes frères, en lutte avec le sort.
Pégase suit son vol, sans frein, barrière ou digue,
Le sinistre corbeau l'escorte de ses cris :
Vole, Pégase, vole, ignorant la fatigue,
Plane et disperse au vent le deuil de mes esprits !...

Traduite par Chalva BERIDZE.

**საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის მიზანია: ვანთავისუფლებული საქართველო შეიქმნას ეროვნულ სახელმწიფოდ, რომელიც დამყარებული იქნება ფაშიზმის ანუ ეროვნული ერთობის საფუძველზე და განმსჭვალული ქართული ეროვნული სულის ბრწყინვალე ტრადიციებითა და ქართული ისტორიის იდეალებით.**

## ჟურნალი „კავკაზი" და კავკასია-საქართველო

### სიტყვა წარმოთქმული 1937 წ. დეკემბრის 4-ის სხდომაზე, პარიზში

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვარის საკითხი ჩვენთვის უბრალოდ მიწა-წყალის ანუ ტერიტორიის შემოხაზულობისა და შემოფარგვლის საკითხი არაა. ტერიტორია არის ის ადგილი, სადაც ხალხი მოქმედებს, ძოლვაწეობს, — იგი არის ისტორია; იქაა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი მისი შრომის საუნჯე; მისი ცხოვრების სულიერი სალარო; მის გარდაცვლილ თაობათა ნეშთები; ამიტომ ტერიტორია არის ერის შემქნელი და შემნახველი ერთი ელემენტთაგანი და ფუძე ეროვნული და სახელმწიფოებრივი არსებობისა.

ქართველი ერის მტერის გარდა, ვინ იტყვის — რომ სამხრეთი საქართველო, ძველი სამცხე-საათაბაგო, ძველი ტაო-კლარჯეთი, — ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული აღდგომის კერა, — არაა ქართული? რა ვუყოთ, რომ ისტორიის უკულმართმა ბედმა ეს მხარე ერთ დროს ქართველი ერის სხეულს მოჰგლიჯა!, რომ გარეშე მტერის მძლავრობამ ქართველის დედას იგი მოსწყვიტა! რა ვუყოთ, რომ მეჩვიდმეტე საუკუნიდან ამ მხარეს ოსმალეთი სჯიჯგნიდა და ათურქებდა! ქართველი მეფენი ამ დანაკარგს არასოდეს არ შერიგებიან, მისი გულისათვის სისხლისმღვრელი ომები უწარმოებიათ; ხოლო როდესაც პატარა კახმა, ერეკლე მეორემ რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორესთან მფარველობის ტრაქტატი დასდო, ამ ხელშეკრულების მეორე მუხლი აღნიშნული ტერიტორიის დაბრუნებაზე ზრუნვას გულისხმობდა და თვით ერეკლე სამცხე-საათაბაგოს მემკვიდრეთ იწოდებოდა.

1828წ., 1856 წ., 1878 წ. ომებით, რომელშიაც მრავალი ქართული სისხლი დაიღვარა და ეროვნული გრძნობით აძგერებული მრავალი გული დაიხიშტა, რუსეთმა შემოიერთა სამცხე-საათაბაგო, ძველი მესხეთი, — ხოლო უკანასკნელი დიდი ომისა და რევოლუციის დროს, როცა ამ რუსეთს კავკასიიდან ფეხი ამოედგა, საქართველო კვლავ აღსდგა და მისი ხელისუფლება ძველ მესხეთშიაც დამყარდა; ოღონდ სულთანის ოსმალეთმა ბრესტლიტოვსკის ზავით ისევ მოინდომა ამ ქვეყნის დაპატრონება. 1918 წლის მარტის 2-ს, საქართველოს დაუკითხავად, ბოლშევიკურმა რუსეთმა ბრესტლიტოვსკის ზავში გაჰყიდა ჩვენი ქვეყნის ეს მიწაწყალი; მაგრამ ოსმალეთის დამარცხებით საქართველოს კვლავ დაუბრუნდა იგი — საუკუნეთა განმავლობაში ნაწამები ეს მხარე; გარნა ისევ დროებით, ვინაიდან 1921 წელში, წითელი რუსეთის თავდასხმით და ოკუპაციით საქართველომ თავისი სახელმწიფოც დაჰკარგა და მესხეთიც!

როდესაც 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის ჯარები საქართველოში შემოიჭრენ და ქართველ ხალხს მათთან ომი ჰქონდა, — ამავე დროს სამხრეთ-საქართველოს მოადგენ ოსმალეთის ჯარებიც და მოსკოვში ვაჭრობა გაიმართა. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ჯერ კიდევ ბათუმში იყო, როცა ბოლშევიკური მოსკოვის მთავრობის და ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის ძალით ყარს-არტაან-ართვინის ოლქები და ბათუმის ოლქის ნაწილი ოსმალეთს გადაეცა. მაშასადამე: 1921 წლის მარტის 16-ს, ბოლშევიკურმა რუსეთმა ახლა უკვე მეორეჯერ გაჰყიდა საქართველოს მიწაწყალი და გასცა იგი ოსმალეთზე იმიტომ, რომ საქართველოსთან ომის დროს ოსმალეთმა რუსეთს დახმარება გაუწია თუ იარაღით არა, შეიარაღებული მეგობრული ნეიტრალიტეტით მაინც.

ამგვარად: ოსმალეთმა ისარგებლა საქართველოს გაჭირვება-უბედურებით და მას ზურგიდან ლახვარი ჩასცა: კვლავ გამოჰგლიჯა საქართველოს ძველი ქართული კერა, მასთან ომისა თუ დავის გარეშე, მის დაუკითხავად, ბოლშევიკური რუსეთის თანხმობითა და დასტურით. ეს ავაზაკური მოქმედება, საერთაშორისო ყოველ-

გვარი უფლების ფეხქვეშ გათელვა შემდეგ მოსკოვმა დადასტურებინა მის მიერვე შექმნილ ტიკინა ამიერკავკასიის ფედერატიულ მთავრობას ყარსის ხელშეკრულებით; ხოლო უცხოეთში გამოხიზნულმა: ჩრდილო-კავკასიის, აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მთავრობათა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს განცხადებას, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ყოველი შეთანხმება და ხელშეკრულება, რომელსაც თავზე მოახვევენ კავკასიის სახელმწიფოებს, და რომელნიც შეეხებიან ტერიტორიის დათმობას, ან გადაცემას, აგრეთვე ყოველგვარი კონცესიები და პრივილეგიები, რომელნიც გაიცემიან სომხეთისა, აზერბეიჯანსა, ჩრდილო-კავკასიასა და საქართველოში ... მოკლებულია ყოველივე კანონიერ მნიშვნელობას და არა ნამდვილად იქნებიან ჩათვლილი“ (1921 წ., ივნისის 16, პარიზი).

ბოლშევიკური რეჟიმის კლანჭებში ჩავარდნილ საქართველოს ხმის ამოღების არც უფლება და არც საშუალება არა ჰქონია; ხმა ამოიღო და პროტესტი განაცხადა ამ ბოროტი მოქმედების შესახებ ემიგრაციაში გარდახვეწილმა ხალხმა და დაჰგმო მან როგორც საბჭოთა რუსეთის ისე ოსმალეთის მოქმედება. ეს გმობა ეროვნულ მორალად განმტკიცდა და ემიგრაციის სახელმძღვანელო დებულებად.

მაგრამ აი, გამოჩნდა ჟურნალი „კავკაზი“ და მის ფურცლებზე მისმა სულის ჩამდგმელებმა, ბბ. ჰაიდარ ბამატ და ზ. ავალიშვილმა უტიფრად გაგვიცხადეს, რომ ყარსის ხელშეკრულება მისაღები ყოფილა და კიდევ მეტი: ბ. ბამატის სიტყვით, ოსმალეთისათვის ბათუმიც თურმე საჭირო გამხდარა!

ასეთი თავხედი განცხადებით ჟურნალმა „კავკაზ“-მა არამც თუ მარტო დაარღვია ის მტკიცე მორალი, რომელიც ემიგრაციას ასულდგმულებდა, არამედ უცხოეთიდან მახვილი ჩასცა ბოლშევიკების მიერ დამონებულ საქართველოსა და კავკასიასაც.

უკანასკნელამდე არავინ გამოჩენილა ისეთი, ვისაც შეეძლო გაებედა მტერისაგან წართმეულ ტერიტორიაზე უარი ეთქვა; არავინ გამოჩენილა, ვისაც ყარს-არტაან-ართვინის ოსმალეთისათვის მიცემა დაედასტურებინა! და ეს არც გასაკვირია!

თქმა იმისა, რომ ეს ტერიტორია ოსმალეთს ეკუთვნის — ნიშნავს ბოლშევიკური რუსეთის ავაზაკობისა და მოძალადეობის გამართლებას!

ეს არის ჟურნალ „კავკაზ“-ის ანტიკომუნისტური მუშაობა და ბრძოლა?!

არა!

ეს არის პრობოლშევიკური ქადაგება და ბოლშევიკური მორალის ნიადაგზე დადგომა!

იმის თქმა, რომ აღნიშნული ტერიტორია ოსმალეთს უდავოდ უნდა დარჩეს, — ნიშნავს საბჭოთა რუსეთის მოკავშირე და დამხმარე ოსმალეთის მოქმედების გამართლებას!

ეს არის ჟურნალ „კავკაზ“-ის კავკასიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და მუშაობა?!

არა!

ეს არის კავკასიის საწინაღმდეგო მუშაობა; ეს არის საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა და ოსმალეთის მზაკვრული მოქმედების გამართლება და მისთვის კავკასიაში გზის გაკაფვა.

იმის ქადაგება, რომ დასახელებული ტერიტორია, რადგან იგი ბოლშევიკურმა მოსკოვის მთავრობამ ოსმალეთს გადასცა და დღეს ამ უკანასკნელს უკავია, და თან ბათუმის უდავო საკითხის სადავოდ გამოცხადება — ნიშნავს კავკასიის დამოუკიდებლობისათვის ძირის გამოთხრას, ვინაიდან სტრატეგიულად და პოლიტიკურად ეს მხარე კავკასიის აუცილებელი ორგანიული ნაწილია და უბათუმოდ კიდევ კავკასიის დამოუკიდებლობა წარმოუდგენელი და შეუძლებელი!

ეს არის ჟურნალ „კავკაზ“-ის მუშაობა და ბრძოლა კავკასიის კონფედერაციის მოპოვებისათვის?

არა!

ეს ანტიკავკასიური მუშაობაა და, რასაკვირველია, პირველად ყოვლისა, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული!

ასე ამართლებს ჟ. „კავკაზი“ და მისი ორიოდე თანამშრომელი საბჭოთა რუსეთის ბოროტმოქმედებას; ასე ამართლებენ ისინი ბოლშევიკურ მორალს; ასე ამართლებენ ისინი ოსმალეთის მზაკვრულ ნაბიჯს; ასე ამართლებენ ისინი ოსმალურ მოქმედებას; ასე ებრძვიან ისინი კავკასიის დამოუკიდებლობას; ასე ებრძვიან ისინი საქართველოს. ამგვარი მათი უმსგავსო ქადაგება არამც თუ მარტო ალსაშფოთებელია, არამედ დასაგმობი და გასაკიცხიც; ვინაიდან ამნაირი ქადაგებით ჟურ. „კავკაზი“ ადასტურებს მტრების მოქმედებას, მათ მორალს; ვინაიდან არავის არა აქვს ნება არც უფლებრივი, არც პოლიტიკური, არც ზნეობრივი, დაარიგოს საქართველოს მიწა-წყალი, როდესაც მისი უზენაესი პატრონი — საბჭოთა რუსეთის მონობაში ჩავარდნილი და ყოველივე უფლება აყრილი ერი — ძალით დადუმებულია!

ჟ. „კავკაზი“ ჩვენ გვიმტკიცებს, რომ საჭიროა ოსმალეთთან მეგობრობა რუსეთის წინაღმდეგ.

ჩვენ, რასაკვირველია, ოსმალეთთან მეგობრობის წინაღმდეგი არა ვართ, — მაგრამ ოსმალეთი ამჟამად საბჭოთა რუსეთის მეგობარია. ეს მისი ინტერესებია.

ჟ. „კავკაზი“ ჩვენ გვიმტკიცებს, რომ ოსმალეთი, რუსეთის აუცილებელი ნგრევის შემთხვევაში, კავკასიას დაეხმარება და შექმნის ბუფერულ სახელმწიფოს.

სამწუხაროდ, ჩვენ გამოცდილებით ვიცით, და ვშიშობთ კიდევაც, რომ ამ მოსალოდნელ შემთხვევაში იგი კავკასიას არამც თუ დაეხმარება, არამედ მის დაპატრონებას შეეცდება (ნეტავ გაცუდდეს ჩვენი სიტყვა!).

„კავკაზი“ ჩვენ გვიმტკიცებს, რომ ოსმალეთთან სამეგობროდ საჭირო ყოფილა არამც თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე უარისთქმა და ამგვარად მოსკოვის მოძალადურ მოქმედებაზე თანხმობის გამოცხადება, არამედ კიდევ უფრო მეტსაც: ოსმალეთისათვის ბათუმის გაზიარებასაც მოითხოვს, და ამგვარად: ოსმალეთი კავკასიაში მკვიდრად შემოჰყავს!

აი ის ქადაგება, რომელიც ჩვენ გვესმის დღეს და რომელიც კავკასიასა და საქართველოს წინაღმდეგ არის მიმართული!

„კავკაზ“-ის ქადაგება არის ანტიკავკასიური, უწინარეს ყოვლისა საქართველოს წინაღმდეგი! ამიტომ დავგმეთ ჩვენ იგი თავის დროზე და ვგმობთ დღესაც, არა მარტო იდეოლოგიური, არამედ რეალ - პოლიტიკური თვალსაზრისითაც; ვინაიდან ჩვენ არა გვრწამს ამ სახიფათო გზით ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართვა, ვინაიდან ამ გზას, არსებითად, ჩვენ მივყევართ ახალი მონობისაკენ და მონობა, რომელი მხარედანაც არ უნდა იყოს, ჩვენთვის მიუღებელია იგი!

რუსეთის ჩამოშორება კავკასიიდან შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის კვლავ დანგრევით, — ეს კიდევ მოსალოდნელია ან შიგნით მომხდარი გარდამტეხი ცვლილებებით ან ომის შედეგად. თუ ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, მომავალ მოვლენებში არა მარტო ოსმალეთი მიიღებს მონაწილეობას, არამედ სხვანიც, სხვა წონისა და შეძლების სახელმწიფოებიც, და მაშინ ქართველი ერის ურყევი ნებისყოფა და მტკიცე ეროვნული დისციპლინა იქნება საქმის გადამწყვეტი. ხოლო დღეს ჟ. „კავკაზ“-ს და მის ორიოდე თანამშრომელს ჩვენ ვუპასუხებთ ილია ჭავჭავაძის სიტყვით:

„რა არ გადაგვხედნია თავს, რა მტრები არ შემოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწაწყალი“...

გავუძლებთ „კავკაზ“-საც და მის თანამშრომლებს...

ვიკ. ნოზაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ტერიტორიის საკითხისათვის

1937 წლის დეკემბრის 4-ს, მჟუზე სოსიალის დარბაზში, პარიზის ქართველთა საზოგადოების კრება შესდგა. კრების დანიშნულება იყო მოესმინა საქართველოს დამფუძნებელი კრების თავჯდომარის ამხანაგის, პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენება ეგრედ წოდებულ სამუსულმანო საქართველოს შესახებ და გაერჩია ის პოზიცია, რომელიც რუსულმა ჟურნალმა „კავკაზ“-მა დაიკავა 1921 წლის ყარსის ხელშეკრულების გამო, რომლის მიხედვით საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთს გადასცა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი: ართვინ - არტაან - ოლთისის და ბათუმის რაიონები.

ბ. პროფ. ექვთიმე თაყაიშვილმა თავის მოკლე მოხსენებაში მსმენელთ გააცნო სამხრეთ - დასავლეთის საქართველოს ისტორიული გეოგრაფია და პოლიტიკურ - კულტურული ისტორია: ეს მხარე ქართულ პოლიტიკურ და ეროვნულ - კულტურულ ისტორიაში უდიდეს როლს თამაშობდა და იგი ყოველთვის ქართულ ტერიტორიად ითვლებოდა.

ბ. ექვ. თაყაიშვილმა, მოხსენების შემდეგ, მოუწოდა კრებას, არ გაემწვავებინა და დინჯად გაერჩია აღძრული საკითხი, რომლის შესახებ ილაპარაკეს შემდეგმა პირებმა: — ბბ. ივ. ზურაბიშვილი (საქართველოს სენატორი), კ. ქავთარაძე (ჟურნალისტი), ალ. ასათიანი (საქ. დამფუძნებელი კრების წევრი), ქართულ ჟურნალ „სამშობლო“-ს დირექტორი), გ. გვაზავა (დამფ. კრების წევრი, დირექტორი ფრანგულ ჟურნალისა: „პრომეთე“), ი. ნუცუბიძე (დამფ. კრების წევრი), ი. მანწკავა (ჟურნალისტი), რაჟ. არსენიძე (დამფ. კრების წევრი, ყოფ. მინისტრი), ვიკ. ნოზაძე (დირექტორი ჟურნალისა: „ქართლოსი“), გ. კერესელიძე (პოლიტიკური მოღვაწე), გ. ქაჯიაშვილი (აქიმი) და სვ. მდივანი (დამფ. კრების თავჯდომარის ამხანაგი, ყოფილი ელჩი ოსმალეთში). ორატორები შეეხნენ ჟურნალ „კავკაზ“-ის პოზიციას, რომლის მიხედვით ბოლშევიკური ყარსის ხელშეკრულება ჩვენ მიერ უნდა დადასტურდეს და ბათუმის საკითხიც კვლავ დასმულ იქმნას; და უარჰყოფდენ რა ეროვნული თვალსაზრისით ასეთ პოზიციას, როგორც ყოვლად შეუფერებელს, საქართველოსა და კავკასიის დამოუკიდებლობისათვის მეტად საზიანოს, ჰგმობდენ „კავკაზ“-ის და მის თანამშრომელთა გამოსვლას. ამასთან ერთად უდავო ფაქტებით უარყოფილ იქმნა „კავკაზ“-ის მიერ თავის გერმანულ გამოცემაში გამოქვეყნებული ყალბი ცნობა, თითქო რუსეთთან ომის დროს ბათუმი საქართველოს მთავრობას ოსმალეთისათვის გადაეცეს.

ამით დამთავრდა კამათი. ამის შემდეგ ბ. ექ. თაყაიშვილმა, დაღლილობის გამო, კრება დასტოვა. კრება გაგრძელდა სვ. მდივნის თავჯდომარეობით და ერთხმად მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლუცია:

**„1987 წლის დეკემბრის 4-ს შემდგარი პარიზის ქართველთა საზოგადოების მრავალრიცხოვანი კრება საქართველოს ტერიტორიის საზღვრების თაობაზე, ადგენს:**

**„კრება აღშფოთებულია ჟურნალ „კავკაზ“-ის და მისი თანამშრომლების მიერ ქართული ტერიტორიის ვაცემის მისწრაფებითა და ქადაგებით მით უმეტეს, რომ ასეთი გაცემა ბ. ბამატის ჟურნალ „კავკაზ“-ის ქართველ თანამშრომელთაგანაც გამოდის.**

**„კრება განსაკუთრებლად მიულებლად სთვლის იმას, რომ ამ მწერლების აზრით, თითქოს საქართველომ საბოლოოდ უნდა ხელი აიღოს ჩვენს ქვეყანაში შემოსული, მოსკოვის ბოლშევიკურ ხელისუფლების მიერ ყარსის ხელშეკრულობით გაცემულ უდავო ქართულ მიწაწყალზე, და რომ თვით ამ ხელშეკრულობით საქართველოს ფარგლებში დარჩენილ ბათუმისა და მის ოლქსაც ახალი დათმობებისა და საეჭვო კომბინაციების საგნად აცხადებენ.**

**„ჩვენ ვაცხადებთ, რომ საქართველოს ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა და საქართველოს პასუხისმგებელმა ორგანოებმა 1921 წელსავე ენერგიული პროტესტი განაცხადეს ეგრედ წოდებული ყარსის ხელშეკრულობის წინაალმდეგ, რომლითაც საქართველოს ტერიტორია იქმნა გაცემული.**

**„ბ. ბამატის „კავკაზ“-ში მოკალათებულ ორიოდე ქართველ თანამშრომლისაგან საქართველოს მიწაწყალზე ასე იოლად ხელისალება გამოწვეულია იმ ყალბი და სრულიად მიუღებელი, ვითომდა საქმიანი ხაზით, რომლითაც, ნივთიერი თუ სხვა მოსაზრებებით, ქართულ პოლიტიკურ აზრსა და ინტერესებს უქვემდებარებენ საქართველოს საზიანო, უცხო პოლიტიკურ მიზნებსა და ინტერესებს.**

**„ასეთი პოლიტიკიდან მივიღეთ გაუგონარი და დაუჯერებელი ბოროტება: ცდა ქართული ტერიტორიის გაჩუქებისა თუ გაყიდვისა.**

**„კრება მიმართულებათა და დაჯგუფებათა განურჩევლად ერთხმად იმაღლებს ხმას ამ ბოროტების წინაალმდეგ.**

**„კრება საჯაროდ აცხადებს, რომ ქართველი ერი ერთსულოვნად და ურყევად სდგას თავისი ტერიტორიალური მთლიანობის ნიადაგზე და არავის მისი დარიგება - დანაწილების უფლებას არ აძლევს.**

**„კრება აცხადებს, რომ ქართველი ერი დიდათ აფასებს თურქეთის რესპუბლიკასთან კეთილ - მეზობლურ განწყობილებას და ღრმად დარწმუნებულია, რომ საქართველოს და საერთოდ კავკასიის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რაც ორივე მხარის სასიცოცხლო ინტერესს შეადგენს, ყოველი სადავო საკითხის გადაწყვეტა ამ ორ მეზობელ სახელმწიფოთა შორის მეგობრული და მშვიდობიანი გზითა და საშუალებით იქნება შესაძლებელი“.**

**პარიზი, 1987 წ. დეკემბრის 4.**

---

**ქართველი მეფე, ეროვნულ ერთობაზე ანუ ფაშიზმზე დაყრდნობილი, ერის უზენაესი გამომხატველია.**

**ფაშიზმი ანუ ეროვნული ერთობა გულისხმობს, რომ საქართველოს ხელისუფლება იქნება ერთი, მტკიცე, ურყევი და ზეკლასობრივი. ყველა ქართველი თანასწორ - უფლებიანი და თანასწორ - მოვალეობიანია.**

**ქართლოსის მთავარი მიზანია: დიდი და [illegible] საქართველო.**

**სოფლისა და ქალაქის მუშა, მრეწველი და ვაჭარი, კალმით მოღვაწე, ხელოვანი, ხელოსანი, მოხელე, მოსამსახურე, ყველა სათანადო ამქარში, თემ-ერობაში შეკავშირებული წარგზავნის თავის წარმომადგენელს დარბაზში და ამით თვით ერი დაჯდება ქვეყნის მომვლელად. ამიტომ იქნება საქართველო შრომის სამეფო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსეთი — ოსმალეთი — საქართველო

(პოლიტიკური გულუბრყვილობა თუ გულუბრყვილოთა დაშინების პოლიტიკა).

ჩვენ არა გვწადია: ის მითქმა-მოთქმა, რომლითაც ჟ. „კავკაზ“-ის პოზიციას განმარტავენ, „ქართლოსი“-ს ფურცლებზე გადმოვიტანოთ, — გავიმეოროთ ის, რასაც კაფეებში ჩურჩულებენ. ასეთ მითქმა-მოთქმათა და მოსაზრებათა ნაბეჭდ სიტყვად გადაქცევა ჟურნალ „კავკაზ“-ის ხელობაა და მას არ შევეჯიბრებით. ჩვენ გვაინტერესებს საქართველო - ოსმალეთის საჭირბოროტო საკითხის მხოლოდ არსებითი მხარე და ამიტომ დავუთმეთ მას დიდი ყურადღება და ბეჯითი განხილვით საკითხის გული გადმოვატრიალეთ, — თუმცა, ესეც კია, სიტყვიერი ჯამბაზობაც რომ მოგვეწადინებინა, „კავკაზ“-ის თანამშრომლებს ვერ ვაჯობებდით.

ბნმა ჰაიდარ ბამატმა, ჟურნალ „კავკაზ“-ის პატრონმა და მისმა მორჩილმა ქართველმა თანამშრომლებმა გულმოდგინედ მოშალეს წინა - აზიის გეოგრაფიული რუკა და ალტაცებულებმა ახალი, გამარტივებული ნახაზი წარმოგვიდგინეს. მათ მიერ შეთხზულ ახალ რუკაზე ზემოდან აღნიშნულია — რუსეთი; ქვემოდან — ოსმალეთი; ხოლო მათ შორის გაკვეტებულია საქართველო - კავკასია, რომელსაც თურმე ამგვარ ვითარებაში მხოლოდ ერთადერთი არჩევანი აქვს: ან ერთს მიემხროს, ან მეორეს. მაგრამ, ვინაიდან, მსჯელობენ ასე „კავკაზიელები“, იქით რუსეთია, რომელიც საქართველოს მთლიანად ჰყლაპავს; და აქეთ ოსმალეთია, რომელსაც მხოლოდ ერთი ცანე უჭირავს, ამიტომ ჩვენ უნდა დავუმეგობრდეთ ოსმალეთს და ამისათვის ხელი ავიღოთ ყარს - არტაან - ართვინზეო! თუ თქვენ ოსმალურ ორიენტაციას არ ღებულობთ, მაშ თქვენ რუსეთის მომხრე ყოფილხართ, — ამატებენ ზედ და თანაც გვემუქრებიან კიდეც: სხვისი იმედი ნუ გექნებათ! „გარეშე — ევროპიულ ძალთა იმედი, იმ დროს, როცა დარდანელის გასაღები ოსმალეთს აბარია, ფრიად საეჭვოა“-ო, დასძენს ბრძნულად „კავკაზ“-ის უკანასკნელ ნომერში ბ. ბამატი.

რას ნიშნავს ამნაირი ქადაგება? არის იგი პოლიტიკური გულუბრყვილობის შედეგი, თუ განზრახ შეკოწიწებული მოძღვრება გულუბრყვილოთა დასაჯერებლად თუ დასაშინებლად?

აბა, პოლიტიკურ გულუბრყვილობას როგორ დავწამებთ „კავკაზ“-ის ჭკვიან და გულთამხილავ თანამშრომლებს! უთუოდ გულუბრყვილოთ აჯერებენ და თანაც აფრთხობენ!

წინა-აზიის რუკის ზემოაღნიშნული გამარტივება. წარწერით: — ან რუსეთი ან ოსმალეთი, — პოლიტიკურ გულუბრყვილოთათვის არის შეთხზული და გამოგონილი, თორემ ვისაც ცოტაოდენი პოლიტიკური მსჯელობის უნარი გააჩნია, არ შეიძლება არ მოისაზროს, რომ საქმე არც ასე ხალასი და მარტივი გახლავს!

საქართველოს საკითხი რომ მარტო რუსეთ - ოსმალეთის კედლებს შუა იყოს გამოჭეჭყილი — ეს დებულება სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს და ამის უკუსაგდებად არა მარტო გუშინწინდელი და გუშინდელი ისტორიული საბუთებია გასახსენებელი, არამედ ის დიდი ინტერესებიც, რომელსაც საქართველო - კავკასია თვით ატარებს ევროპისათვის.

ჩვენთვის უდავოა, რომ საქართველო - კავკასიის საკითხი საერთოდ დაისმება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ვინაიდან ჩვენ არა გვჯერა ერთა ლიგის მხრივ საქართველოს საკითხის უფლებრივ ნიადაგზე წარმოდგენა და მისი დაცვა საბჭოთა კავშირის წინაღმდეგ: საქართველოს საკითხი დაისმება: საბჭოთა კავშირის ნგრევის მსვლელობაში ან დანგრევასთან ერთად.

იმ შემთხვევაში, თუ რევოლუციის გზით, შინაგან ძალთა დაშლით საბჭოთა კავშირი დაილეწა, ყველა ერი თავის საკუთარ გზას მოსძებნის და მაშასადამე: კავკასიელი ერებიც განთავისუფლდებიან და ფეხზე დადგებიან. რა როლს ითამაშებს ასეთი მოსალოდნელი შემთხვევის დროს ოსმალეთი?

მართლა შეეცდება იგი დახმარების ხელი გაუწოდოს ახალ სახელმწიფოებს ესე იგი აღარ განიმეორებს ოცი წლის წინად ჩადენილ საბედისწერო შეცდომებს, — თუ პირიქით, ისარგებლებს საერთო ორომტრიალით და მოისურვებს კავკასია ხელთ იგდოს?

აი საკითხი!

პირველ შემთხვევაში, დახმარებისათვის მადლობა ეთქმის. ხოლო მეორე შემთხვევაში, აუცილებელი ხდება განმეორდეს ის, რაც ერთჯერ უკვე მოხდა: იმის მიუხედავად, რომ „დარდანელის გასაღები“ ოსმალეთის ხელშია. ქართველი ერი იბრძოლებს თავის უფლებისათვის და ამას გარდა, ჩვენ გვრწამს, რომ საქართველოს გადაყლაპვა არც ისე იოლი იქნება, როგორც ეს არ იყო ადვილი დიდი რევოლუციის დროს, — სწორედ იმ ინტერესების გამო, რომელიც ევროპას იქ აქვს.

იმ შემთხვევაში, თუ ევროპას ომი დაატეხა, რასაკვირველია. იგი არ შემოიხაზება ერთი სანგარით და ოსმალეთიც იძულებული იქნება რომელიმე სამხედრო ბანაკს მიეკედლოს. ვის მხარეზე იქნება იგი?

ვიცით, რომ დღემდე ოსმალეთი საბჭოთა კავშირის მეგობარია. უმტყუნებს იგი მას ხვალ? ვინ დაგვიმტკიცებს და დაგვაჯერებს, რომ ოსმალეთი მომავალ ომში უეჭველად რუსეთისა და მის მოკავშირეთა ბანაკის მოწინააღმდეგე მხარეზე აღმოჩნდება?

ან: თუ იგი რუსეთის წინაღმდეგ მიმართულ ძალთა მხარეს მიეკედლება, — რა ფასითა და რა დაპირებით? ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ასეთ შემთხვევაში ოსმალეთი ყარს - ართვინ - არტანით დაკმაყოფილდება და მეტს არ მოითხოვს?, სამაგიეროდ მთელ კავკასიას ან მის დიდ ნაწილს არ მოისურვებს?

ასეთი დასაბუთების მნიშვნელოვანი და საგულისხმო ეჭვები დღესაც არსებობს...

ამხანად საერთაშორისო მდგომარეობა მეტად მერყევია და სახელმწიფოთა კავშირებად დაჯგუფება დასრულებული არაა, — და ვინ იწინასწარმეტყველებს, თუ პატარა სახელმწიფონი და მათთან ერთად ოსმალეთიც, რომელ საზღვარზე გასთხრიან სანგრებს? ეს „დარდანელის გასაღები“-ც, რომლითაც ჩვენ ბ. ბამატი გვემუქრება და ევროპიულ ძალთა იმედზე თითქმის ცივ უარს გვეუბნება, ვის, რომელი სამხედრო კავშირის ხელში აღმოჩნდება? — ალახმა უწყის!

აი ასეთ პირობებში, „შორსმჭვრეტი“ ბ. ბამატი და მისი ქართველი მხლებელნი სწორედ ოსმალეთისაკენ გვექაჩებიან და მერმე, რა მსხვერპლის გაღებით!, იმ ოსმალეთისაკენ, რომლის სამხედრო - პოლიტიკური გეზი საბოლოოდ ასახული არაა და ამჟამამდე რუსეთისაკენაა მიმართული!

ჩვენ ამ გზას ვერ გავყვებით და ვერც სხვას დავლოცავთ მასზე სამოგზაუროდ, რადგან მას თუ პირდაპირ უფსკრულისაკენ არ მივყევართ, დიდ ფათერაკებს მაინც ვერ აგვაცდენს.

ჩვენ დარწმუნებით ვიცით ერთი მოვლენა: — საქართველო - კავკასიის საკითხით დაინტერესებული არიან არა მარტო რუსეთი და ოსმალეთი, არამედ სხვანიც; მაშასადამე: ჩვენ წინ წარმომდგარი არ არის ორთაშორისო საკითხი: — ან რუსეთი, ან ოსმალეთი!

კავკასიაში თუ ამიერკავკასიაში, სადაც, ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვსთქვათ, „უპირატესობა ყოველისფრით ქართველობას უპყრია“, დღესაც დაბანდებულია არა ერთი და ორი ევროპიული სახელმწიფოს ინტერესები და ამ ინტერესთა სრული გამომჟღავნება და განაღდებაც სწორედ საბჭოთა რუსეთის ნგრევის დროს მოხდება. ეს ნგრევაც აუცილებელია და მოთმინებაც: ჩვენით არ დაწყებულა საქართველო და ჩვენით არ დასრულდება!

არავინ გაიფიქროს: როცა ჩვენ ევროპიულ სახელმწიფოთა ინტერესებზე ვმსჯელობთ, აქ მხედველობაში

გვქონდეს ისეთი ინტერესები, რომელიც საქართველოს დაამდაბლებს, ვინმეს ყმად თუ მორჩილად გარდააქცევს. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ისეთ ინტერესებზე, რომელიც ურთიერთი იქნება, სარგებლობის გაცვლითი ხასიათის მატარებელი, ვინაიდან, კვლავ ილია რომ დავიმოწმოთ, „ჩვენ თვითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისთვისათვისაც“.

ყალბია და ცრუ ჟ. „კავკაზ“-ის მიერ შეთხზული დებულება: — ან რუსეთი ან ოსმალეთი! ყალბია და რიოში ჟ. „კავკაზ“-ის ქადაგება, — თითქო მესამე გზა არ არსებობდეს, — ანუ როგორც სწერდა ბ. ბამატი წინად: **tertium non datur!** არამც თუ მესამე, სხვა გზაც არის; რუსეთსა და ოსმალეთის გარდა, თავის დროზე და შესაფერ პირობებში, სხვებიც გახლავან, რომელნიც საქართველოს საკითხით დაინტერესებული არიან.

ამიტომ სადემაგოგოა იმისი მტკიცება: — ვინც „კავკაზ“-ის ოსმალურ პოზიციას არ ღებულობს, ის რუსეთის მომხრეაო, — აგრეთვე იგივე გულუბრყვილოთა დასაჯერებლად არის მოტანილი და ნახმარია ისეთ ხერხად, რომელმაც თავისი დაჩლუნგებული კბილებით პატრიოტულ სიმებს უნდა გაჰკრას. ამაოდ!

ჩვენ არა ვართ არც რუსოფილი, არც თურქოფილი, არც ერთის ფილი, არც საერთოდ ვინმეს ფილი; ჩვენა ვართ საქართველოს ფილი და ეს ფილობა საქართველოსადმი გვიკარნახებს შესაფერ წუთში და მოხერხებულ შემთხვევაში მხარი მივსცეთ მას, ვინც რუსეთის წინააღმდეგ იქნება და მის დანგრევას მოიწადინებს. ამ მხრივ ჩვენ გვირჩევნია ისეთი მეგობარი, რომელიც ქართველი ერის ინტერესებს სრულად შეეგუება და არა გვსურს, **timeo Danaos et donna ferentes**, არ გვწადია ისეთი „მეგობარი“, რომელიც დახმარებისათვის სულს ამოგვართმევს, ხოლო ქართველ ერს, სახიფათო და მზაკვრული გზით, ფიზიკური საფრთხის წინაშე დააყენებს.

ბ. ბებურიშვილი

ვ. ნოზაძე

## ჟ. „კავკაზ“-ის სახე.

ჩვენ თავის დროზე და პირველად მივაქციეთ ყურადღება „კავკაზ“-ის მავნე პოზიციას საქართველოს მიმართ და ჩვენს მიერ გამოთქმულ ეჭვებზე ბ. ჰ. ბამატმა პასუხი გაგვცა, რომლითაც ჩვენი ეჭვები დადასტურდა.

საქმე, რასაკვირველია, ისე არა ყოფილა, როგორც ამჟამად მოგვითხრობს „კავკაზ“-ში ბ. ლენ. გ. კვინიტაძე, რომელიც სწერს: — „ბ. ბამატის წერილი არის არა ჩვეულებრივი მეთაური წერილი, არამედ საპასუხო წერილი იმ გულუბრყვილო მსჯელობაზედ, რომელიც „ქართლოს“-ში ბ. მარჯანიშვილმა დაბეჭდა, თითქოს „კავკაზი“ უთმობდეს ოსმალეთს ქართულ მიწაწყალს და განსაკუთრებით ბათუმს“. — აი როგორ კადრულობს ბ. ღენერალი დაამახინჯოს გუშინდელი ამბავი!

ჩვენ მხოლოდ ეჭვი გამოვსთქვით „კავკაზ“-ის პოზიციის შესახებ და ვსწერდით: — „საქმე იქამდისაც კი მიდის, რომ ქართველობას უსაყვედურებენ: ბრესტლიტოვსკის ზავი თავის დროზე არ მიიღეთ და ბათუმი არ ჩააბარეთ ოსმალეთსო! დღეს ასეთი აზრის მტკიცება ოღონდაც ცუდის მომასწავებელია და ოსმალეთთან უსათუო მეგობრობის ქადაგში ხომ არ გამოსჭვივის ოსმალთა ფარული ზრახვები საქართველოს მიწაწყლის, შემთხვევის დროს, კვლავ წაგლეჯისა?! ჩვენ ვშიშობთ ეს ასე არ იყოს!“ — ასე ვწერდით ჩვენ.

ჩვენს ეჭვებზე გვიპასუხა ბ. ჰ. ბამატმა დადებითად და დადასტურა იგი. მან არამც თუ ურყევად გამოაცხადა ყარსის ხელშეკრულება, არამედ ბათუმიც ისეთ მდგომარეობაში ჩაგდო, რომ ოსმალეთის „საზიარო“ ანუ სამფლობელოდ გახადა.

აი ამ ამბავმა გამოიწვია ის აღშფოთება, რომელიც სუფევს ქართულ ემიგრაციაში და სრულიად სამართლიანიც. — ბ. ბამატის წერილმა გამოიწვია კვლავ „ქართლოსი“-ს პასუხი და დანარჩენი ქართული პრესის უფრო სასტიკი პასუხი; ამან გამოიწვია 4 დეკემბრის საჯარო კრება, რომლის ანგარიშს „კავკაზი“ ყალბად ბეჭდავს.

ჩვენი წერილი მოთავსებული იყო „ქართლოს“-ში წარსული წლის მაისს, ხოლო ბ. ბამატისათვის საპასუხო წერილები იმავე „ქართლოს“-ის აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა, სადაც ბ. ბებურიშვილი სწერდა შემდეგს: —

„ჩვენ აქ ბათუმი ვახსენეთ. განზრახ! ვახსენეთ იმიტომ, რომ მას შემდეგ რაც ბ. ბამატმა ბათუმის შესახებ წერილი მოათავსა „კავკაზ“-ში და ამან ქართულ საზოგადოებაში აღშფოთება გამოიწვია, გამოიცა რუსული „კავკაზ“-ის ქართული თარგმანი, გამოიცა „კავკაზ“-ის მორიგი ნომერიც და არც ერთი სიტყვა აღარაა ბათუმზე! მიჩქმალეს! სუდარაში გახვიეს“-ო!

მაგრამ საკითხმა თავი არ მიიჩქმალა და ქართული საზოგადოებაც „კავკაზ“-ის პოზიციას პროტესტით შეხვდა 4 დეკემბრის სხდომაზე.

ახლა, დიდი დაგვიანებით, „კავკაზ“-ის დეკემბრის ნომერში ბ. ლენ. კვინიტაძე სწერს: — „ბ. ბამატი იცავს იმ აზრს, რომ ბათუმი როგორც არა მარტო ქართული მიწაწყლის ქალაქი, არამედ მთელი კავკასიის ერთად ერთი ნავთსადგური, ყველასათვის ერთნაირად საჭირო და დამოუკიდებელ კავკასიისათვის ერთნაირად აუცილებელი და ჩამოუთლელი ადგილიაო“. ასე სწერს ახლა და აბოდიშებს ბამატს ბ. ლენ. კვინიტაძე. — რას სწერდა ბ. ბამატი? აი რას: — „ვინაიდან ყარს-არდაგან-ართვინის სავაჭრო გზა კავკასიურ პორტ ბათუმისაკენაა მიმართული, ამიტომ „ეროვნულ კავკასიას ალბად მოუხდება ოსმალეთთან ისეთი მოდუს ვივენდის გამონახვა, რომელიც ამ რაიონებს სავაჭრო გზას მისცემს დიდ კავკასიურ პორტში“. საკითხი სწორედ ამ „მოდუს ვივენდის“ შეეხებოდა. ბ. ბამატმა ბოლომდე არა სთქვა თავისი აზრი, ხოლო ეს „მოდუს ვივენდი“ ჩვენ მივიღეთ ბათუმის „პორტოფრანკოდ“ გამოცხადებად, და პორტო - ფრანკოს მნიშვნელობა კი ვუწყით, და „ქართლოს“-მაც აღნიშნა, რომ ბათუმის პორტოფრანკოდ შექმნა ნიშნავს ოსმალეთის ფაქტიურ სამფლობელოს იქ შექმნასო! ესე იგი ბ. ბამატი, სხვა ამგვარ ქადაგებას რომ თავი დავანებოთ, გზას უკაფავს ოსმალეთს ბათუმისაკენაც! ასე სდგას საკითხი და ასე ესმის დღეს ყველას იგი. რომ ამ გზის გაკაფვის სურვილი მეტად სჭარბობს, ეს სჩანს ბრესტლიტოვსკის ზავის დაცვიდანაც, რომელსაც ქადაგებდა „კავკაზი“ და იმ წერილიდანაც, რომელსაც აქვე ვეხებით.

„კავკაზის“ გერმანულ რვეულში, სადაც მოთავსებულია ნათარგმნი, უკვე რუსულად დაბეჭდილი წერილები, ბ. ლენ. კვინიტაძის წერილს მოსდევს ხელმოუწერელი, რასაკვირველია, რედაქტორის ბ. ჰ. ბამატის შემდეგი დამატება: —

1921 წლის რუსეთ - საქართველოს „საომარ მოქმედებათა მთელი ხანის განმავლობაში ოსმალეთმა საქართველოს მიმართ დაიკავა უფრო მეტი, ვინემ მეგობრული ნეიტრალიტეტი. ავტორის (ე. ი. ბ. ლენ. კვინიტაძის) მიერ აღნიშნული ოსმალეთის პატრულების გამოჩენა ბათუმის ქუჩებში შემთხვევითი მოვლენა არ იყო! არც ის იყო მოულოდნელი (საქართველოს) მთავრობისათვის, რომ კიაზიმ ბეიმ ოსმალეთისათვის ბათუმის შეერთება (აინგლიდერუნგ) გამოაცხადა (მხოლოდ ბ. გეგეჭკორმა, გ. ლორთქიფანიძემ და რამიშვილმა არაფერი იცოდენ ამის შესახებ). ამის შემდეგ მომხდარი აქტი მენშევიკური მთავრობისა და სრულიად გაუგონარი ფაქტი, რომ ოსმალეთზე ბათუმის გადაცემა მან თავის მთავარ სარდალს არ შეატყობინა, გვიჩვენებს ამ მთავრობის სავალალო პოლიტიკურ და მორალურ დონეს“ („დერ კაუკაზუს“, გვერდი 64).

რად დასჭირდა ბ. ბამატს ასეთი რამეს დაწერა? რად დასჭირდა ბ. ბამატს გერმანელებისათვის ასეთი ცნობის მიწოდება? რასაკვირველია: გარკვეული მიზნისათვის: მას სურს აჩვენოს სხვებს, რომ ბათუმი ოსმალეთისათვი-

საა განმზადებული! — ჯერ კიდევ მენშევიკების დროს!

გაკვრით ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსულ „კავკაზ“-ში ბ. ზ. ავალიშვილი სწერს, რომ „საკმაოდ გარკვეული არ არის ყოფილი მთავრობის მოლაპარაკება ანგორასთან საბჭოთა ჯარების თავ დასხმის დროსო“ და „ყმაწვილ კაცებს“ ურჩევს შეისწავლეთ ეს საკითხიო. რაღა უნდა შევისწავლოთ? „კავკაზ“-ის გერმანულმა გამოცემამ ხომ გამოარკვია იგი? და თუ ბ. ავალიშვილმა არ იცის ბათუმის ამბავი, ამას ბამატის გერმანული ნომერი გამოურკვევს.

ჩვენ დღეს კი მოვითხოვთ კატეგორიულად, დამტკიცოს ბ. ბამატმა: რომ რუსეთ - საქართველოს ომის დროს ოსმალეთმა საქართველოს მიმართ „მეგობრული ნეიტრალიტეტი“ დაიკავა.

ჩვენ მოვითხოვთ კატეგორიულად, დაამტკიცოს ბ. ბამატმა: რომ ბათუმის ქუჩებში ოსმალური სამხედრო ძალების გამოჩენა საქართველოს მთავრობის ნებართვით მოხდა.

ჩვენ მოვითხოვთ კატეგორიულად, დაამტკიცოს ბ. ბამატმა: რომ კიაზიმ ბეიმ ოსმალეთზე ბათუმის შეერთების გამოცხადება ქართული ხელისუფლების ნებართვით მოახდინა.

თუ ბ. ჰ. ბამატი ამას დაამტკიცებს, მაშინ ჩვენ მოვალედ ვრაცხთ ჩვენ თავს: პასუხი მოვსთხოვოთ მათ, ვინც იმ დროს საქართველოს ხელმძღვანელობდა. მანამ კი ბ. ბამატი იქნება ყალბ ცნობათა გამავრცელებელი, ისიც ბნელი მიზნებისათვის.

**დ. მარჯანიშვილი**

## ჩრდილოეთი და სამხრეთი

ყველამ ვიცით, რომ ჩვენს სამშობლოს ჰყავს ორი მთავარი მტერი: ჩრდილოეთი და სამხრეთი. პირველის ხელშია მთელი საქართველო; მეორეს კი უჭირავს ჩვენი საუკეთესო მიწაწყალი. ისიც ვიცით, რომ ყველა ქართველის მიზანია საქართველოს განთავისუფლება და მისი მთლიანობის აღდგენა; პირველისაგან თავის დაღწევა და მეორესაგან ჩვენი საკუთარი მიწაწყალის დაბრუნება.

აი აქ იმის საკითხი, თუ რომელი გზით შეგვიძლია ჩვენს მიზანს მივაღწიოთ.

დავუშვათ ერთ წუთში და სამხრეთი მეზობელი გავიხადოთ გულით მისანდობელ მოკავშირედ, მივანებოთ ჩვენს მიწაწყალს თავი და ზედ დავუმატოთ რამე! მერმე რა?! აქვს იმოდენა ძალა სამხრელ მეზობელს, რომ მისი დახმარებით თავს დავიხსნით ჩრდილოელ მტერისაგან? შეუძლია მას იმდენი ძალა გამოიჩინოს, რომ თავი ვიხსნათ მისი შემწეობით ჩრდილოეთის უღელისაგან? სადა გვაქვს იმოდენი ძალა, რომ პირველს გავუმკლავდეთ?

მაშასადამე მარტო სამხრეთზე დაყრდნობა ჩვენ არ გამოგვადგება და ვერაფერს გვიშველის. თუ მის უკან კიდევ სხვა უფრო ძლიერი იქნება, მაშინ რაღა საჭიროა ახლავე სამხრეთთან გადაბმა და მასზე ლოცვა?! მისთვის სადავო ადგილების ახლავე დადასტურება? ვინ მოითხოვს ამას? მოითხოვს ის, ვინაც ზურგი უნდა გაუმაგროს სამხრეთს ჩრდილოეთის წინაალმდეგ? მაშასადამე, აქ რაღაც არაჩვეულებრივი კომბინაცია ხდება საქართველოს ხარჯზე! და ეს კომბინაციაც განაღდებული იქნება თუ არა კაცმა არ იცის. ესე იგი ეს არის ავანტურის გზა!

მაგრამ შესაძლებელია ადვილად, ჩვენი სამშობლო გათავისუფლდეს ჩრდილოეთისაგან, ისევე როგორც გათავისუფლდა იგი რომანოვების იმპერიის ბრჭყალებისაგან; ეს შემთხვევა ანგარიშში ჩასაგდებია. მაგრამ ამგვარ შემთხვევაში, სად არის იმის გარანტია, რომ სამხრეთი ჩვენ სანამ ფეხზე დავდგებოდეთ და ჩვენს ნაპირებს გავამაგრებდეთ, ანაზდათ თავს არ დაგვესხმება სამხრეთი?

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ იმიტომ, რომ სამხრეთი თავს არ დაგვეცეს, ამიტომ გვჭირდება მისი მეგობრობა, მაგრამ საუბედუროდ, სამხრეთის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, თუ კი იგი ამას მოითხოვს, ჩვენთვის იმას ნიშნავს, რომ მის მონობის ქვეშ დავრჩეთ, რაც, რასაკვირველია, მიუღებელია ჩვენთვის.

ზოგი ფიქრობს, სამხრეთის ინტერესები მოითხოვს, რომ მას გვერდში ჰყავდეს დამოუკიდებელი და მძლავრი კავკასიაო. ეს რომ ასე იყოს, მან ულაპარაკოდ უნდა დაგვიბრუნოს ქართველებსა და სომხებს ჩვენი მიწაწყალი და გაგვიხადოს თავის მოკავშირედ.. ჩვენ ხომ სხვისი არაფერი გვინდა და ბუნებრივია, თუ ჩვენსას სხვას არ დავუთმობთ.

ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ მომავალში ურდოები კვლავ ველარ შემოგვესიონ; კმარა, რაც ჩვენს ერს ტანჯვა გამოუვლია, — და ნურავინ დაგვძრახავს, თუ ჩვენ გულით მისანდობ მოკავშირეს დავეძებთ.

**ივ. თურქია**

ირანი. დეკემბერი, 1937 წ.

**შენიშვნა:** ბ. ივ. თურქია, პატივცემული ვექილი ირანში, ამ თავის წერილში ეხებოდა აგრეთვე შინაკავკასიურ საკითხებს, კავკასიელ ერთა ურთიერთ დამოკიდებულების თემას, მაგრამ ჩვენ იგი ვერ მოვათავსეთ, რადგან ნაადრევად მიგვაჩნია ამ საკითხის ჯერჯერობით აღძვრა.

## მ ც ი რ ე გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

**პასუხად ბ-ნ ვლ. ახმეტელს და ჟ. „კავკაზ“-ს.**

ჟურნალი „კავკაზი“ ისეთი მოდგმისა და ზნისაა, რომ მას არ შეუძლია მომხდარი ამბავი არ დაამახინჯოს. ყველა სიყალბის გასწორება და სიმართლის აღდგენა შეუძლებელია და ხშირად არც საინტერესო. გარნა ჩემი ყურადღება მიიპყრო გრძელ მანძილზე ერთად მრავალ ჭირნახულ ჩემი ძველი მეგობრის ლადო ახმეტელის წერილმა.

თუ ჟ. „კავკაზ“-ის ზოგი თანამშრომელის ჩემზე პირად თავდასხმას არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან ულირსად ვსთვლი მას, ამ შემთხვევაში არ შემიძლია უგულებელვყო ლადო ახმეტელის უბრალო შენიშვნაც კი.

პირველად ყოვლისა, ჩემი ძველი მეგობარი ლადო ახმეტელი ეკამათება რა ბ. ნ. ჟორდანიას, ამბობს, რომ „ამისთანა აქლემს ხშირად „ქართლოსის“ რედაქტორ-ხელმღვანელის წინაშეც დაუჩოქნია“-ო.

ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობის გრძელ მანძილზე არასოდეს მიკადრებია ვინმეს პირადათ შევხებოდი და იმ ცხარე, ხშირად მწარე დავაშიც რაიმე კერძო ინტერესით ან მტრობით მეხელმძღვანელნა, თუმცა ამისი საშუალება საქართველოშიაც მქონდა, სადაც არა ერთჯერ რედაქტორი ვიყავი და აქაც ემიგრაციაში, სადაც 1929 წლიდან ჩემი ჟურნალ-გაზეთებიც მქონია.

ბ-ნ ნ. ჟორდანიას მიმართულებასთან დავა ავსტეხე უკვე 1921 წლის ივნისიდან, ლონდონში პირველად და შემდეგ იმავე 1921 წლის ბოლოს ბერლინში წაკითხული მოხსენების შემდეგ საქართველოს დაცემის მიზეზების შესახებ (1) და ეს ჩემი დავა სოც.-დემ. პარტიასთან უმაღლეს სიმხურვალემდეც ასულა, მაგრამ არასოდეს

1) მახსენდება ნოე რამიშვილის შეძახება კამათის დროს: —მაშ შენ რა გინდოდა, ვიკტორ, პრინცი დაგვესვა?

ვინმესათვის არც „აქლემი“ მიწოდებია და არც სხვა რამ ასეთი სახელი, თუმცა ამგვარი არა ერთსა და ორს დამსახურებული ჰქონდა და აქვს.

ბ-ნ ნ. ჟორდანიასთან პირადი ინტერესები და შეურაცყოფის ნიადაგზე წარმოშობილი რაიმე დაჯახება არა მქონია, — მე ვებრძოდი მის იდეოლოგიას და ამ ბრძოლის შედეგად, 1934 წლის იანვარში გამოვეცი ჟურნალი „ორნატი“, რომლის დანიშნულება იყო დამესაბუთებინა სოც.-დემ. პარტიის იდეოლოგიური და ტაქტიკური გაკოტრება, — და აი, ამ მთავარი და მძაფრი ბრძოლის დროსაც კი არც ერთი არა საკადრისი სიტყვა არ მისმარია და არ დამიწერია.

რასაკვირველია, ბ-ნი ნ. ჟორდანია მე არ დამიჩოქებია, — ქართული ცხოვრების ისტორიამ, ახალმა მსვლელობამ და მიმართულებამ, ქართველი ერის მომავალის ახალი ასახვის შესაძლებლობამ დაამარცხა იგი. — ჩვენის შეხედულებით. და თუ ჩემს ძველ მეგობარს სურდა ზემოაღნიშნული თქმით ბ. ნ. ჟორდანიას პირადი დამცირება და ჩემი პირადი ქება, ასეთი საქციელისათვის მე მადლობის გადახდაც მიჭირს.

ჩემი ძველი მეგობარი, ლადო ახმეტელი რატომღაც, სრულიად მოულოდნელად და სადავო საკითხთან დაუკავშირებლად, თან უსაბუთოდ იხსენებს ერთ ამბავს და ისე გადმოგვცემს, თითქო მე რაღაც დანაშაული მიმიძღოდეს. იგი სწერს:

„თვით „ქართლოსის“ რედაქტორიც კი სერიოზულად მიშლიდა გაზ. „კლდე“-ში თანამშრომლობას, ჩემს ორგანოში უნდა სწეროდეო. იმ დროს ის გაზეთ „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელი იყო, მაგრამ ვიდრე კისერს მოვიბრუნებდი „თეთრი გიორგის“ რედაქტორმა გაზეთი „ქართლოსი“ გამოცა“...

დიახ! მართლა ვუშლიდი ლადო ახმეტელს არ ეთანამშრომლა გაზეთ „კლდე“-ში და ამისათვის მნიშვნელოვანი მოსაზრება მქონდა. ბ-ნმა ახმეტელმა არ მოისურვა, როცა ამ „დაშლის“ შესახებ სწერდა, მისი მიზეზიც მოეტანა, ამიტომ იძულებული ვხდები, მე თვითონ შევეხო მომხდარ ამბავს.

იმ დროს გერმანიაში ქართველ ლტოლვილთა ოფისის საკითხი იყო დასმული და ვინაიდან ოფისის ხელმძღვანელის კანდიდატად ლადო ახმეტელი იყო წამოყენებული, დაინტერესებული ვიყავი ოფისის შექმნითაც და ლადო ახმეტელის კანდიდატურის დამტკიცებითაც.

იმავე დროს გერმანიაში, გაზეთ „კლდე“-სა და „თეთრ გიორგელთა“ შორის მეტად გამწვავებული მდგომარეობა იყო, — და თეთრგიორგელები უარს ამბობდენ ლადო ახმეტელისათვის თავისი ხმა მიეცათ.

ვურჩევდი და ვეაჯებოდი ლადო ახმეტელს დაენებებინა თავი და არ ეთანამშრომლა გაზეთ „კლდე“-ში, რადგან, ჩემის აზრით, ოფისის ხელმძღვანელი ყოველგვარ დაჯგუფებათა გარეშე უნდა მდგარიყო და პარტიულ შეხლა-შემოხლას ასცდენოდა.

ბერლინში ყოფნის დროს პირადათ გადავსდგი ნაბიჯი ლადო ახმეტელისა და თეთრგიორგელთა მოსარიგებლად, მაგრამ ზემოაღნიშნული მიზეზის გამო აქედან არაფერი გამოვიდა, — ამიტომაც ბერლინელებმა ვერც ოფისი მიიღეს მაშინ, და ლადო ახმეტელის კანდიდატურაც, სამწუხაროდ, მოიხსნა. ყოფილი ელჩი, რომელიც ყოველი მოსაზრებით, ოფისის ხელმძღვანელი უნდა გამხდარიყო, მშრალზე დარჩა მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ იგი დაჯგუფებათა ბრძოლაში ერთ-ერთ ბანაკს მიეკიდლა. ამის შედეგად მაშინ წაგებულ იქმნა ოფისის საქმეც.

ახლა ლადო ახმეტელი „კავკაზ“-ში თანამშრომლობით მორალურადაც აგებს თავს. — წარსულ ქართულ ცხოვრებაში თვალსაჩინო დამსახურებული მოღვაწე. შემდეგ საქართველოს ელჩი გერმანიაში, ბ. ჰაიდარ ბამატის ჟურნალის მიადრისესა და ექსპედიტორის დონემდე ჩამობრძანდა. აჰა დაახურდავა მან თავისი 35 წლის თუ მეტი ხნის მოღვაწეობა!

კარგად მესმის, რომ ლადო ახმეტელი ბ-ნ ნ. ჟორდანიასთან აღარ არის, მაგრამ ეს სრულიადაც არ ავალდებულებდა მას კუდი ბ. ბამატთან გამოესკვნა, როცა თავისთავად მას საკუთარი ღირებულება გააჩნდა, მაგრამ ამის საბაბზე არა მსურს ლაპარაკი. მე ლადო ახმეტელს ჭკუას არ ვარიგებ, ამას ვერ შევკადრებ, ხოლო გული მტკივა და ამ ტკივილს ვამჟღავნებ.

რამდენადაც მახსოვს, ლადო ახმეტელისათვის „თეთრ გიორგი“-ში თანამშრომლობა არ მითხოვნია (შეიძლება ვსცდებოდე!), ალბად ზემომოტანილი მოსაზრებისა გამო, ოღონდ დაჟინებით ვსთხოვდი მას ჩემთან თანამშრომლობას მაშინ, როცა (1934 წლის იანვარში) „ორნატი“ გამოვეცი, სადაც ჩემი ამხანაგები და მე საქ. სოც.-დემ. პარტიიდან ახლა უკვე ოფიციალურ გამიჯვნას იდეოლოგიურად ვასაბუთებდით და ახალ გზაზე ვდგებოდით. გარნა ლადო ახმეტელმა მაშინ არ მოისურვა ძველი პოზიციიდან დაძვრა, „კისერი სწრაფად ვერ მოიბრუნა“ და აღარ ეწყინოს მას, თუ გავახსენებ ბ. ზ. ავალიშვილის მიერ მისდამი გაკრულ წკიპურტს: —

ეს წკიპურტი გამახსენდა ლადო ახმეტელის წკიპურტზე ჩემს შესახებ: „ვიდრე კისერს მოვიბრუნებდი „თეთრი გიორგის“ რედაქტორმა გაზეთი „ქართლოსი“ გამოსცაო“.... „თეთრი გიორგის“ მაგიერად რომ „ქართლოსი“ გამოვეცი, მოეხსენება ლადო ახმეტელს, ამით არაფერი შეცვლილა, ვინაიდან ეს მოხდა ორგანიზაციული წყობის შედეგად და ამით „ჩხირიც“ არ გადაგვიტეხია! ეს „ჩხირიც“ გახსენებაზე იყოს და საინტერესოა!

ვერ გავიგე კარგად, ვის ეხება ლადო ახმეტელი, როდესაც მრისხანე მუქარით სწერს: — როგორ ბედავთ, თქვენ, ქონდრის კაცებო, რომლებმაც „მხოლოდ ემიგრაციაში დაიწყეს ნაციონალური კატეხიზმოს ჩხირით კითხვა“ „კავკაზ“-ის თანამშრომლების გაკიცხვასო?!

ჩვენ კარგად მოგვეხსენება, თუ „კავკაზ“-ის თანამშრომლებმა როდის დაიწყეს „ნაციონალური კატეხიზმოს ჩხირით კითხვა“ და ისიც ვიცით, თუ რა ღირებულებისა და ფასისაა მათი ნაციონალიზმი; თუ მოისურვებთ, სხვა დროს მოგახსენებთ თითზე ჩამოთვლით!

თუ ლადო ახმეტელის მუქარა ჩვენ გვეხება, მას თავმდაბლად უნდა გავახსენოთ, რომ „ნაციონალური კატეხიზმოს“, მაგრამ ისეთის, რომელიც ძველ თაობათ არც დასიზმრებიათ, „ჩხირით კითხვა“ უკვე დიდი ხანია დავიწყეთ და ჩვენმა ლადომ აქაც დაიგვიანა და დაგვიანებულმა სწორედ მოლიპულ გზაზე შესდგა ფეხი! და დღეს „კავკაზ“-ის თანამშრომლებთან ერთად გვიკიჟინებს: — ბ. ნოე ჟორდანიასთან კავშირში ხართო და თანაც გვაფრთხილებს: — „მასთან „ულლის გაწევა სახიფათოა“, დაგახრჩობთო!

თვით ჟ. „კავკაზი“ ხომ უზარმაზარ კორიანტელს აყენებს: — შეხედეთ, უყურეთ! ნოე ჟორდანიას უჭერენ ისინი მხარს და მის კალთაში აქვთ თავი ჩადებულიო!

ვისი გაბრიყვება გსურთ? ვისი შეშინება გწადიათ ასეთი ტლანქი დემაგოგიით! ამგვარი საკენკი „კავკაზ“-ის თანამშრომლებმა დაე მათ პოლიტიკურ ბელადებს დაუყარონ და ასეთი უშნო დემაგოგიით დაე მათი პოლიტიკურად ავზნიანი ბავშები დააშინონ!

ჩვენ მაინც, ვაჟკაცური წესით, თავს მოვალედ ვრაცხთ გაფრთხილებისათვის ლადო ახმეტელს მადლობა ვუძღვნათ, თუმცა ასეთი დარიგება ზედმეტი იყო, ვინაიდან ჩვენ ბ. ნ. ჟორდანიასთან არავითარი: არც პოლიტიკური, არც ტაქტიკური, არც ორგანიზაციული კავშირი არა გვქონია და არა გვაქვს. — და თუ ბ. ნ. ჟორდანიას შეხედულება საქართველოს საზღვრების საკითხში ჩვენსას ეთანხმება, ამის საწინააღმდეგო სრულიად არაფერი გვეთქმის. მოგვწონს კიდეც!

დროულია გავახსენო ლადო ახმეტელს და სხვასაც, რომ ჯერ კიდევ „თეთრი გიორგის“ რედაქტორობის დროს, 1935 წელში, მივაქციე ყურადღება „კავკაზ“-ის პოზიციას ოსმალეთ - საქართველოს ტერიტორიალურ საკითხში და ოფიციალურად დავგმე იგი, როგორც ქართული თვალსაზრისისათვის მიუღებელი. შემდეგ კიდევ „ქართლოს“-ში ფრანგულადაც იყო ამავე საკითხზე ჩემი წერილი მოთავსებული და „ქართლოსი“ იყო ის პირველი ორგანო, რომელმაც „კავკაზ“-ის [illegible]

პოლიტიკა გამოამჟღავნა და მთელი შემდეგი ქარიშხალი ბ. დავით მარჯანიშვილის წერილს მოჰყვა!

აღძრულ საკითხში ბრძოლის დამწყები „კავკაზ“-თან „ქართლოსი“ იყო და მან ეს ნაბიჯი შეგნებულად გადასდგა, რადგან ჟ. „კავკაზ“-ის გზასა და ხიდს ჩვენი ერი დიდი საფრთხისაკენ მიჰყავს. თუ გსურთ გაიგებთ: რას ნიშნავს ეს, — და თუ მოითხოვთ, მაშინ მოვალედ ჩავსთვლი ჩემს თავს, აშკარად ვილაპარაკო ამაზე!

„ქართლოს“-ს აჰყვა „ბრძოლის ხმა“, მერმე „სამშობლო“, მასუკან სხვებიც. ასე რომ თუ ლაპარაკი შეიძლება ვისმეს აყოლაზე, — აგვყვენ ჩვენ, ქართლოსიანთ, და არა წინაუკმოდ. ამიტომ იყო მისაღები პარიზში გამართული დეკემბრის 4-ის სხდომა და ის რეზოლუციაც, რომელიც იქ იქმნა გამოტანილი.

მე არ მჭირდება ვამტკიცო, რომ ბ. ნოე ჟორდანიას მიმართულებასთან არავითარი საერთო იდეოლოგიურად არა გვაქვს. მაგრამ „კავკაზ“-ის თანამშრომლებსავით არა ვართ ბ. ნ. ჟორდანიასადმი სიძულვილით დაბრმავებული და მისდამი ზიზღით დაყრუებული, რომ ვერა ვხედავდეთ და არ გვესმოდეს, სად არის მარქსიზმი და მენშევიზმი და სადაა ქართველი ერის უდავო უფლებათა დაცვა!

მეტსაც მოგახსენებთ! — სასწაული რომ მოხდებოდეს და ქართველი კომუნისტები ერთ დღეს, ვინც იცის, რა მოვლენათა შედეგად, შესდგებოდენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და მის სუვერენულ უფლებათა დაცვის ნიადაგზე, — როგორ გგონიათ? ჩვენ ქვასა და გუნდას მივაყრით მათ?! — არასოდეს! ჩვენ მათთან ერთად ვიბრძოლებთ საქართველოს თავისუფლებისათვის! ამიტომ

მე როიალისტსა და ფაშისტს მირჩევნია ეშმაკი, რომელიც უარჰყოფს ყარსის ხელშეკრულებას და ვებრძვი ბ. ბამატსა და მის მორწმუნეთ, რომელნიც იცავენ ამ ყოვლად უმსგავსო და მიუღებელ, ძალადობით შექმნილ ხელშეკრულებას;

მე სამეფოს მომხრესა და ინტეგრალური ნაციონალიზმის მქადაგებელს მირჩევნია ბელზებელი, რომელიც საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას დაიცავს და ვებრძვი ბ. ბამატსა და მის ამყოლდამყოლთ, რომელნიც საქართველოს მიწაწყალს ოსმალეთს უდასტურებენ.

მე მეფის მომხრესა და ფაშისტს მირჩევნია ალი, ქაჯი, პინკა და ყოველი ავსული, რომელიც ქართველი ერის უდავო უფლებებს სცნობს და გებრძვით თქვენ, ვისაც ბ. პ. ბამატის კალთაში მართლა გაქვთ თავი ჩადებული და იძულებული ხდებით ისეთი რამ სთქვათ, რაც ზოგიერთს არც შეეფერება და არც ეკადრება.

ჩიხში მომწყვდეულმა „კავკაზ“-ის თანამშრომლებმა კუდი მოაბრუნეს და შემოგვძახეს: — აი, მენშევიკები იყვნენ, ვინც პირველად გასცეს ოსმალეთზე ქართული მიწაწყალიო!

მთელი სიმძიმის გადატანა მენშევიკებზე და მენშევიკურ მთავრობაზე, — ეს ერთგვარი ხერხია თავი დაიძვრინონ მარყუჟიდან, ოღონდ ასეთი ხერხი მეტად უვარგისი გამოდგა.

ჯერ ჩვენს განგაშზე საზღვრების შესახებ ბ. ზ. ავალიშვილმა გაღმოგვკრა: — სხვასაც შეუძლია გაიხსენოს წარსულიო, და ეს სხვა, რასაკვირველია, არის ოსმალეთი, რომელსაც წარსულში არამც თუ ართვინ - არტაან - ბათუმი, არამედ ფოთი და სოხუმიც ეპყრა! ერთ დროს ქუთაისიც,. თბილისიც!

აი მე არ მესმის ეს: — რა ადვოკატები სჭირდება ოსმალეთს ქართველების მხრიდან, რომ მას ასეთ რამესაც მოაგონებენ, სხვა ბევრ ამგვარსავე რომ თავი დავანებოთ?! ეს არა-მკითხე ვექილები რისთვის იტეხენ თავს და ამართლებენ ოსმალეთს ყოველი ღონით და უტკეპნიან გზას ოსმალურ მადას?! სწორედ ამ აბლაკატობისათვის ვებრძვით „კავკაზ“-ის თანამშრომელთ, ვებრძვით, რადგან აქ ვხედავ იმ საშიში მოვლენის დასაწყისს, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს შედეგად ორიენტაციების შექმნა და მებრძოლი ქართველი ერის ამ ხაზზე დაქუცმაცება.

ამიტომ ასე სასტიკად ვგმობთ ჟ. „კავკაზ“-ის პოზიციას, ოღონდ ეს გმობა ძლიერ არ მოსწონთ მის თანამშრომელთ და თავის გასამართლებლად ისინი საბუთებს ყირაზე აყენებენ: — ვინ იყო თუ არა მენშევიკები, ოსმალეთს რომ ქართული მიწაწყალი მისცესო?! და მოგვითხრობენ ზოგ ტყუილს, ზოგ მართალს იმ ხანიდან, რომლის მომსწრე და მოწმე ჩვენცა ვართ. რა მოსატანია ამ დავაში ის ამბავი, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პირველმა თავჯდომარემ, ნოე რამიშვილმა ოსმალეთთან ომში დამარცხების შედეგად გამარჯვებულს მიწაწყალი დაუთმო! ან რა მოსატანია ჯერ კიდევ გამოურკვეველი ამბავი ბათუმის შესახებ?! ან რა გასამართლებელი საბუთია ეს თქვენთვის, მართალიც რომ იყოს — რომ მენშევიკებმა ოსმალოთ არამც თუ ართვინი, არამედ ბათუმიც აჩუქეს?! ეს რომ მართალიც იყოს, — „კავკაზ“-ის თანამშრომელთათვის რა პოლიტიკური და ზნეობრივი საბუთია ეს?! ვსთქვათ დამტკიცდა, რომ მენშევიკებმა ოსმალეთს ბათუმი მისცეს! მერმე? თქვენც ბაძავთ მათ? თქვენც გსურთ მენშევიკური ლაფი თავზე დაისხათ? მენშევიკებმა ბოროტება ჩაიდინეს და ამიტომ თქვენც შეგიძლიათ იგივე ჩაიდინოთ?! კარგი გასამართლებელი საბუთია, თქვენმა მზემ! — სავალალოდ, ველარა გრძნობთ, თუ რაოდენ მწარედ იშოლტავთ საკუთარი ხელით თავის თავს. მით უარესი თქვენთვის, თუ გრძნობის უნარიც დაგიკარგავთ!

ამით მოკლედ მოგახსენეთ მცირე განმარტება და აწ „დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ“, როგორც იტყოდა ილია.

ვიკ. ნოზაძე

---

# მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

ქართლოსმა თავის დროზე ყურადღება მიაქცია იმ მეტად საზიანო პოზიციას, რომელზეც შემდგარია ჟურ. „კავკაზი“ და თავისი უარყოფითი შეხედულება გამოსთქვა მის შესახებ. აღარ ვაპირებდით ამ საკითხზე თავის გაგრძელებას, მაგრამ „კავკაზ“-მა არ მოისვენა და შეტევაზე გადმოვიდა. მან ისიც კი დასწერა, რომ ჩვენს პოზიციას იზიარებს ბევრი ქართველიო და ჩვენ ამიტომ აბუჩადაც აგვიგდო! ამას ზედ მოაყოლა ლანძღვა, ხოლო ქებადიდება ერთმანეთისა! ეს ახალი ზნეც დამახასიათებელია „კავკაზ“-ის თანამშრომლებისათვის. ერთმანეთს ხოტბას ასხამენ და იწონებენ. თავს მეტად კმაყოფილადაც სთვლიან! დაე ასე იყოს. ხოლო ჩვენ მკითხველს უნდა გავაცნოთ ის აზრი, რომელიც გამოითქვა ქართული ემიგრანტული პრესის მიერ „კავკაზ“-ის შესახებ.

აქ აღარ მოგვყავს სოც.-დემ. „ბრძოლის ხმის“ მეტად სასტიკი მსჯავრი, არც „ფრონტის“ ორგანო „დამოუკიდებელი საქართველოს“ გაკიცხვა, არც ამავე „ფრონტ“-ში შემავალ ნაც.-დემოკრატების ორგანოს „სამშობლოს“ რისხვა, — ყველა ეს ერთ ბანაკად ითვლება და არის ბ. ნ. ჟორდანიას მხარის დამჭერი! ჩვენ გავაცნობთ მკითხველს მხოლოდ იმ დაჯგუფებათა აზრს, რომელნიც ე. წ. „ეროვნულ ფრონტთან“ არ არიან. და ასეთია საქართვ. ნაციონალდემოკრატიული საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ორგანო „ახალი ივერია“. ბ-ნი ალ. ცომაია აშკარავებს რა ბ. ბამატის მოქმედებას, რომელიც „თავხედურად ერევა ჩვენს ეროვნულ საქმეებში და ქართველთა დაუკითხავად საქართველოს ქონებას აწესრიგებს“, სწერს: —

„ბ-ნი ბამატი თავის საქმეს აკეთებს, თავის ქვეყანას ემსახურება, მაგრამ ვის საქმეს აკეთებენ და ვის ინტერესებს ემსახურებიან შ. ამირეჯიბი და ზ. ავალოვი? ემიგრაციაში ბევრი რამ მოხდა სამწუხაროდ მოსაგონი, მაგ-

რამ ჩვენდა საბედნიეროდ, ყველა მიმართულებასა და ყველა ჯგუფს თავის უმაღლეს და ძირითად მოვალეობად მიაჩნდა საქართველოს ეროვნული და ტერიტორიალური მთლიანობის დაცვა. ეს არ იყო სადავო საკითხი არც ერთი ქართველისათვის. ეს იყო უწმიდესი ღირებულება, ქართული ნაციონალიზმის საფუძველი და ეროვნული ემიგრაციის რეზონდეტრიც. ამირეჯიბ-ავალოვმა სწორედ ამ ურყევ ნიადაგს შეუტიეს და მტრებისათვის შეუვალ სიმაგრეს შიგნიდან ღრღნიან. საქართველოს ისტორიას ახსოვს მაგალითები, როცა პირადი ანგარიშებით გონება დაბნეული, ამბიციებით გაბოროტებული ფეოდალები სპარსეთსა და ოსმალეთს საქართველოს ნაწილს უთმობდენ თავისი პრეტენზიების გასანაღდებლად. მაგრამ ეს საშიშარი ძველი სენი ძველმა დრომ წაიღო და ქართული მიწაწყლით მოვაჭრე თავადებს საქართველოს ისტორიამ მოღალატის დაღი დაკრა. ბ-ნ შ. ამირეჯიბს ისტორიის ასეთი განაჩენი არ აფიქრებს და ჩვენს დროში ამ თავადების ტრადიციას აცოცხლებს. მაშინ, როდესაც ქართულ ტერიტორიაზე პრეტენზიებისათვის მოსკოვის ჯალათი ბერია სომხების მეთაურობას აპატიმრებს — ნაციონალისტი ამირეჯიბი, ბამატის კარნახით, ქართული მიწაწყლის ერთ მეხუთედზე გულდამშვიდებით ხელს იღებს. იგივე ბერია აფხაზეთის მთავრობის თავჯდომარე ლაკობას აპატიმრებს: „აფხაზეთში ქართულ გავლენას აბრკოლებდაო", ხოლო ემიგრაციაში ზ. ავალოვი ნეტარხსენებულ ვოსტორგოვის აღმოჩენას „მეცნიერულად" ასაბუთებს და მეგრელებსაც ქართველობას ართმევს.

„ჩვენთვის გასაგებია ბამატის გამოსვლა, გასაგებია ელექ-ხოტის მიერ ქართველი მეფეების უდიერად ხსენებაც, მაგრამ გაუგებარია და უმაგალითო — ბ. ამირეჯიბის მოქმედება. ჯერ მონარქისტი და ნ. ჟორდანიას ერთგული მეხოტბე-მადიდებელი, მერე ყველა ემიგრანტულ დაჯგუფებისაკენ შეუჩერებლივ მოსიარულე და უთავბოლო წაჯექ-უკუჯექობის შემდეგ, ბამატის იანიჩარი!

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბ-ნმი ამირეჯიბი თვითონვე ამჩნევს თვალუწვდენელ განსხვავებას ქართველ მოღვაწესა და ბამატის ხელქვეით მოხელის შორის. „კავკაზის" ამირ - ედჟიბს საერთო არაფერი აქვს ქართველ პატრიოტთან. ქართველი შ. ამირეჯიბი საქართველოს წარსულს ჩაბარდა და ბ. ბამატის „კავკაზი" ამ წარსულს ებრძვის".

—

ამის საპასუხოდ „კავკაზ"-მა თავისი ჩლუნგი კბილი გაჰკრა „ახალ ივერია"-ს და ისიც კი გაჰბედა ეთქვა, რომ „ახალ ივერიას" „სუნი უდისო". ამაზე ბ-ნ დ. სინჯიკაშვილის პირით „ახალ ივერია"-მ არ დააყოვნა პასუხი გაეცა:

„დასასრულ უნდა შევეხოთ იმ საზიზღარ ცილისწამებას, რომელსაც შალვა ამირეჯიბი ელიზბარ ვაჩნაძის პირით „ახალ ივერიას" ესვრის. სასურველი იყო ამირეჯიბს მეტი გამბედაობა გამოეჩინა და ეს ბრალდება მეტის სიცხადით ეთქვა. მაგრამ რაც არის, ისიც საკმარისია, რომ ჩვენს წრეს ჩირქი მოეცხოს. ამირეჯიბი — ეს ჩვენი დროის შადიმანი — სწორედ ამ მიზანს ემსახურება. მას უნდა ქართველ საზოგადოებაში ეჭვები აღძრას „ახალი ივერიის" ვილაცებთან „საეჭვო" დამოკიდებულების გამო.

„ჩემი მეგობრებისა და ჟურნალის რედაქციის რწმუნებით ვაცხადებ: ჩვენ მზადა ვართ ყოველ წუთს ქართველ საზოგადოებას წარუდგინოთ ჩვენი არსებობის სრული შემოსავალ-გასავალის ანგარიშები. ვიწვევთ „კავკაზ"-საც: გამოვაქვეყნოთ ორივე ჟურნალის საარსებო ანგარიშები, დავასახელოთ ჩვენი ბიუჯეტის რაოდენობა და შემოსავლის წყარო. დეე ქართველმა საზოგადოებამ შეაფასოს ვის როგორი „სუნი უდის"!

„თუ „კავკასიას" ხელმძღვანელებს სინიდისი სუფთა აქვთ. ამ გამოწვევას უპასუხოდ ვერ დასტოვებენ. ამირეჯიბს ვაძლევთ საშვალებას, საზოგადოებას დაუმტკიცოს, რომ „კავკასია" საქართველოს მტრების ხარჯზე არ იცემა და „ახალი ივერია" „საეჭვო" წყაროთი არსებობს.

არ არის საკმარისი, რომ ამირეჯიბმა გულუბრყვილო ადამიანები არწმუნოს: იაპონია და გერმანია გვაძლევს დახმარებასო. ეს თვით ქართველმა საზოგადოებამ შეაფასოს. წინაამღდეგ შემთხვევაში ჩვენთან ერთად ყველა ქართველს სრული უფლება ექნება, ამირეჯიბის ორგანო „კავკასია"-ს საარსებო წყაროს უწოდოს არა მარტო საეჭვო, არამედ საქართველოს მტრებისაგან მომდინარეც".

ასე სწერს „ახალი ივერია" და იმედი აქვს, ამაო, რომ პასუხს მიიღებს!

—

გაზეთი „მეზარადი"-ს (რომლის მხოლოდ ერთი ნომერი გამოიცა) რედაქტორი ბ. ი. ინასარი, რომელიც 4 დეკემბრის სხდომას არ დასწრებია და ამას „კავკაზი" ხაზგასმით აღნიშნავს, თავის ამ ერთ ნომერში სწერს სწორედ „კავკაზის" შესახებ ამ სათაურით: „ფრთხილად" შემდეგს: —

„მგონი ჟურნალ „კავკაზის" სახით თურქეთი დაზვერვას ეწევა თუ საბჭოთა რუსეთის დანგრევის შემდეგ საღამდის შეიძლება კავკასიის მოტყუებით ანუ დიპლომატიური საშუალებით აღება და რომლის იქით მოუხდება კავკასიის იარაღით დამონება. სხვა აზრის მიცემა და მით უფრო თურქეთ-კავკასიის თანხმობის ძიების საშინელი უვიცობა იქნებოდა. ამიტომ დიდი სიფრთხილე ვვართებს, რომ შეცდომით ის არ ვსთქვათ, რაც მტერს უნდა.

„ჩვენი თანამემამულეების პირით იგი სამშობლოს შუა გულ ქალაქებზე, ბათუმ-ყარს-ართვინ-არტან-ოლთის - ახალციხე-ახალქალაქზე სიტყვას გვიგდებს. ეს ის სტრატეგიული ადგილებია, ურომლისოდაც კავკასიას ერთი დღით არსებობა არ შეუძლია.

„ადამიანის შელოცვა უხსოვარ დროიდან არსებობს. ზოგს წყალზეულოცავენ, ზოგს ახალ მთვარეზე. ჩვენ თანამემამულეებსაც „ფულზე" ხომ არ შეულოცეს?

„ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყურადღებას მაინც იპყრობს ბ. ავალიშვილი, რომელიც ქუჩაში ყველა წაქცეულს თავზე აწვება და ექიმის საბუთს უწერს: „მკვდარია. დამარხეთო"... აბა ვინ ოხერია, რომ მის სიტყვით წაქცეული დამარხონ... ასევე ყალბ ოხრულსა და სასაცილო მდგომარეობაშია, როცა ის სამშობლოს წაქცეულ ადგილებს — ართვინს, არტაანს, ყარს, ოლთისსა და სხვებს მკვდრად აცხადებს და მათ დამარხვას ითხოვს"...

—

ბ-ნი მანველიშვილი 4 დეკემბრის პარიზის კრებას არ დასწრებია, — ეს განსაკუთრებულად აღნიშნა „კავკაზ"-მა. მაგრამ ბ-ნმა მანველიშვილმა გამოსცა წიგნაკი: „საქართველოს საზღვრები" (პარიზი, 1938 წ. 61 გვერდი), რომელშიაც ეხება რა ბ. ბამატის „კავკაზის" პოზიციას ამბობს: —

„ბამატის „კონფედერაცია" არის ის მახე, რომელშიაც უნდა გააბას ქართველ-სომხობაც და ირან-ოსმალეთის ტკბილ აღმოსავლურ ჰანგებზედ ამღეროს. ცხადია, არც ერთ ერსა და არც ერთ საზოგადოებაში არ გამოლეულან: უკათედრო პროფესორები, უჯარო ღენერლები. უპარტიოდ დარჩენილი ლიდერები, ათასი დამთხვეულნი და ქანქარის მაძიებელნი, რომ მან სათანადო ნანადირევი მაინც ვერ მიართვას თავის ბატონს. ბამატი ამგვარ ელემენტთა დახმარებით სცდილობს ყველაზედ გაუტეხავ ქართველ ერშიც შეიტანოს თურქული მიმართულების გავლენა"...

შემდეგ ეკამათება რა ბ. ზ. ავალიშვილს იმავე საზღვრების შესახებ, ბ. ალ. მანველიშვილი დაასკვნის: —

„ჩვენ კი სრულის გამბედაობით უკუვაგდებთ ავალიშვილების მეთოდს, რომელიც არის გამომხატველი დავრდომილების, სულიერი დაცემის და მაჩვენებელი მონავალი ფილაჯობის"...

დავუბრუნდეთ ახლა თვით „კავკაზ“-ს.

ქართველი ღენერალი, ყოფილი მთავარსარდალი რომ ჟურნალისტურ ომში ჩაება, — ეს ცუდი ნიშანია. არა ჟურნალისტებისათვის, რასაკვირველია, არამედ ღენერალისათვის! ჩვენ მას არ ვასწავლით სამხედრო წესებს, მაგრამ ჟურნალ-გაზეთების წესებზეც დაე მასაც ნუ შევყავართ შეცდომაში, რბილად რომ ვსთქვათ! ბ-ნი ღენ. კვინიტაძე გვიმტკიცებს ახლა, რომ ბ. ბამატის წერილი (ბათუმის შესახებ) არ არის ჩვეულებრივი მეთაური წერილით და ამით აბოლიშებს თავის დირექტორს. ჩვენ კი ვიცით, რომ იგი ჩვეულებრივი მეთაური იყო, და კიდეც რომ არ ყოფილიყო, დირექტორის წერილი, არის იგი მეთაური თუ არა, ჟურნალისათვის სახელმძღვანელოა. ბ-ნი ღენერალი ფიქრობს, რომ ჟურნალი „კავკაზი“ მხოლოდ „დამოუკიდებელი ეროვნული აზროვნების“ ორგანოა, რადგან იქ, როგორც სჩანს და ასე სურს სჩანდეს, რაც გსურთ, შეგიძლიათ დასწეროთ, ოღონდ „კავკასიის ერთა დამოუკიდებლობას ასე თუ ისე ეხებოდეს-ო! ჟურნალი „კავკაზის“ ასეთ პოლიტიკურ დომხალად გამოცხადება ერთადერთი საშუალებაა თავიდან აიცდინონ ის საჯაყი საქმე, რომელიც მათ დაემართათ. ახლა ბ-ნმა ღენერალმა ბუკი და ნაღარა დაჰკრა და აქეთ შემოგვიტია: „ემიგრანტის ხელიდან“ ოსმალეთი არ მიიღებს ბათუმსო, — თუმცა ალბად ჰგონია ამავე დროს, — თუ მან და მისმა თანამებრძოლებმა, აგრეთვე ემიგრანტებმა, ყარს - ართვინ- არტანი დაუდასტურეს ოსმალეთს, ამას ოსმალეთი მათგან უეჭველად მიიღებს და ამის შემდეგ საქართველოს მეგობარი გახდება! ესეც ლოღიკაა!

მაგრამ ეს ცოტაა! ღენერალი გვაჯერებს: — თუ ოსმალეთის მეგობრობა გვსურს, შეუძლებელია ისეთი საკითხი დავაყენოთ, რომელიც ქართულ ოლქებს ეხებაო! „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალი“-ო, სწორედ ეს არის!

ღმერთი, რჯული! ჟურნალ „კავკაზ“-ის გარდა ეს საკითხი არავის დაუყენებია და თავის დროზე თვით ბ. ღენერალს უნდა მიეღო სათანადო ზომა, თორემ რამოდენიმე წლის განმავლობაში ბ. ბამატმა ყური გამოგვიჭედა: მაინცდამაინც ყარსის ხელშეკრულება უნდა ვიცნოთო. მაგრამ ჩვენ ვითმენდით, სანამ ბ. ბამატის თავხედობამ ყოველივე საზღვარს არ გადააჭარბა. ამ მხრივ ჩვენს მიმართ არავის სასაყვედურო არა აქვს.

თითქო თავის გასამართლებლად ბ. ღენერალი იგონებს — მენშევიკებმა ასე და ასე ჩაიდინესო! რაც მენშევიკებმა ჩაიდინეს, ეს სხვაზე ნაკლებ არც ჩვენ მოგვეხსენება, და ეს ვერაფერი საბუთია იმისათვის, რომ თქვენ იგივე და უარესიც ჩაიდინოთ.

—

ბ. ზ. ავალიშვილი იხევს უკან და სურს თავისი „ჯარი“ გადაარჩინოს! იგი მეცნიერულად ამტკიცებს, რომ ბათუმი სრულიადაც არ სჭირდება ოსმალეთს; რომ იგი ახალ პორტს — ხოფას — აშენებსო! და ამით ჩვენ დამშვიდებას ლამობს! დალოცვილს, თავის დროზე წაეკითხა ასეთი ლექცია ბამატისათვის!

ასევე იქცევა ბ. ავალიშვილი ბათუმის უკანასკნელი ხანის ისტორიის შესახებაც! ბ. ბამატი ამტკიცებს, რომ ბათუმი ქართულმა ხელისუფლებამ გადასცა ოსმალეთსო, — ბ. ავალიშვილი გვარწმუნებს: — ეს საკითხი გამოურკვეველიაო! ჭეშმარიტად, სიმართლეს ლაღადებს ბ. ღენერალი: — ვისაც რა სურს, იმას სწერს „კავკაზ“-ში. ჟურნალი „კავკაზი“ ამ ბოლო დროს დომხალად იქცა, მაგრამ ეს დომხალი შხამიანი და მოწამლულია!

—

მიუხედავად იმისა, რომ „კავკაზი“ ძალიან იჭიმება ოსმალეთის ინტერესების დასაცავად, რალაც არ ისმის, რომ ამით „ისინი“ კმაყოფილი იყვნენ, ხოლო ცნობილი თურქი მოღვაწე და ჟურნალისტი ბირგენი, პირიქით, უკმაყოფილებას გამოსთქვამს ამ მეტიჩარა და ბ. ბამატის მიერ დაგეშილ („კავკაზის“ ტერმინია!) თანამშრომლების ქადაგების გამო და უარჰყოფს პანთურანულ და პანთურქულ მუშაობას, რომელიც სწარმოებს ოსმალეთის გარედ, გარეშე ელემენტებისაგან, ხშირად ოსმალეთის სახელითაცო! და სწერს: —

„არის ერთი კიდევ ასეთი ბუნების მიმართულება პარიზში, რომელიც ღირსია განსაკუთრებული ყურადღების, და გვეჩვენება ჩვენ, როგორც ერთ-ერთი გამოსახულება თეთრი რუსული მოძრაობისა“-ო. ესეც შენს „კავკაზ“-ს! „კავკაზ“-მა, ვინაიდან ჩვენ მისებრ თურქოფილები არა ვართ, გამოგვაცხადა რუსოფილებად, თურქი ჟურნალისტი კი თურქოფილ „კავკაზ“-ს აცხადებს „თეთრ რუსულ“ მოძრაობის გამოხატულებად!

საერთოდ კი „კავკაზ“-ის შესახებ გვახსენდება შოთას უკვდავი სიტყვები: — „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“!

—

ბ. ირაკლი ცაგურიამ გამოსცა რუსულად რაღაც უმსგავსოებისა და უსუსურობის არაჩვეულებრივი ნაჯღაბნი - სალანძღავი, რომელიც აშკარად გვიჩვენებს, რომ მისი დამწერი სნეულია სულიერად და ვინაიდან კალამი გიჟებისათვის არ არსებობს, ამიტომ ვურჩევთ მის მოკეთეებს, შეიბრალონ, ყურადღება მიაქციონ და მოათავსონ იგი რომელიმე სანატორიუმში, — ხოლო მასთან მოკამათეთ კი, ვინც მის ჭკუას აჰყვა, ვურჩევდით დასაწყნარებლად შესარგო წვეთები მიეღოთ!

**დონაური**

## საქართველოში

საბჭოთა კავშირის წესწყობილება ისეთ კიბეს წარმოადგენს, სადაც თავში მოსკოვი ზის და ბატონობს. მოსკოვის ყოველი განძრევა არყევს მთელ კიბეს და თუ იქ ცხვირს დაცემინეს, იგივე უნდა განმეორდეს ყოველ შემავალ რესპუბლიკაში თუ ოლქში.

ვსთქვათ, მოსკოვში აღმოაჩინეს შეთქმულება, — ეს შეთქმულება უნდა აღმოჩნდეს უსათუოდ თბილისში, უეჭველად — ბათუმში, აუცილებლად — სოხუმში და მოჰქუხს ტალღა დახვრეტათა მოსკოვიდან ამ მხარეებისაკენ. ეს სავალდებულო მოვლენაა ცხოვრების ყოველ დარგში, და მით უმეტეს პოლიტიკურ ასპარეზზე.

მოსკოვში გათამაშებული კომედია ძველ ლაჩარ ბოლშევიკთა გასამართლებისა თბილისშიაც უნდა განმეორებულიყო, მაგრამ ცოტა შეცდენ, და მდივან-ოკუჯავებმა ისე არ დაიმარხეს თავი, რომ ზინოვიევ-კამენევს დამსგავსებოდენ! არ იყვირეს მათ, რომ ყველაფერში დამნაშავე ვართ, და არ ეაჯენ სტალინს: გვაჩუქე სიცოცხლეო! ამიტომ მათი ეგრედ წოდებული გასამართლება მოხდა დახურულ კარებში და მალულად მიახვრიტეს ქართველ ძველ ბოლშევიკთა ლიდერები, რომელნიც, სამწუხაროდ, არ მოესწრნენ იმას, რომ თავისუფალ საქართველოს გაესამართლებინა იგინი! დახვრიტეს მალულად და ზედ დაკლეს ისეთი პირები, როგორიც იყვნენ კ. ქარცივაძე და გ. ელიავა, რომელთაც არც ქვეყნის და არც ხელისუფლების წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ. თითქო მოძალადე ჯალათებს სურდათ ეჩვენებინათ ხალხისათვის, რომ ჩვენ მარტო ბოლშევიკებს კი არა ვხვრეტავთ, თქვენც ზედ მიგაყოლებთ, თუ ეს ჩვენთვის გამოსადეგიაო!

მაგრამ აუცილებელი იყო ზოგი გასამართლება ისე მომხდარიყო, როგორც მოსკოვში, და აი მათ მიაგნეს თვალსაჩინო ლევანდელ გლეხებს, მოაწყვეს ასეთივე კომედია ბათუმში და სოხუმში, ამ უკანასკნელად თბილისშიც. თურმე ყველა, პასუხისგებაში მიცემული პირი სამშობლოს ღალატობდა, დივერსიებს აწყობდა, მავნებლობას ეწეოდა და

ყოველგვარ უბედურებას სჩადიოდა „სოციალისტური სამშობლოს" წინააღმდეგ კაპიტალისტური თუ ფაშისტური რეჟიმის დასამყარებლად!

პირდაპირ საარაკო შთაბეჭდილებას სტოვებდა ის სიტყვები და ბრალდებები, როგორც ბათუმში, ისე სოხუმში და თბილისში ბრალდებულთა მიერ წარმოთქმული! ყოველს სიტყვაში სიცრუე და სიყალბე და ვედრება სიცოცხლის ჩუქებაზე!

სტალინმა გასწმინდა მთელი ქვეყანა ძველი ბოლშევიკებისაგან და მთელი ქვეყანაც მას ოსანას უგალობს. ის არის მამა, გენიოსი და ბელადი და სხვა ყველაფერი კარგი, ხოლო მტრები არ ასვენებენ მას, ამიტომ არ დავზოგოთ ისინი!

მოინახა მტერი, რომელიც დამნაშავეა ქვეყნის სამხედრო და ნივთიერ მოუწყობლობაში და რისხვა დაატყდა თავს ძველ მთავრობათა თავჯდომარეებს, მდივნებს, ძველ ბოლშევიკებს.

სამაგიეროდ სტალინმა გამოიყვანა ახალი ხალხი და დაეყრდნო მათ, ამ ერთგულ ყმებს, რომელთაც ალბათ იგივე ბედი მოელის, რაც ძველებს, ვინაიდან საბჭოთა კავშირის ცხოვრების მოწყობა სტალინური ეკონომიური პოლიტიკით შეუძლებელია.

არჩევნების წინ საქართველოში საერთოდაც გაძლიერდა ტერორი; როგორც ჩვენ გვატყობინებენ, ციხე-სარდაფები სავსეა ახლად დაჭერილი ხალხით; გადასახლებიდან დაბრუნებულნი კვლავ საპატიმროს დაუბრუნეს, და თვითმკვლელობამ ფართო ასპარეზი მოიპოვა. გვატყობინებენ, რომ ძველმა, დიდმა ბოლშევიკმა, თენგიზ ჟღენტმა თავი მოიკლა. ეს გამონაკლისი არაა; თავი მოიკლა ფერომარგანეცის ქარხნის დირექტორმა, იქვე პარტიული კომიტეტის მდივანმა და სხ. ეს გამონაკლისი არ არის. გვატყობინებენ, რომ საქართველოში აუწერელი სიღატაკეა, შიმშილი და გაჭირვება, ხოლო ხალხს კი აიძულებენ დიდება უგალობონ სტალინს ეგრეთ წოდებული „სამური ცხოვრებისათვის"! ხალხი მოლოდინშია, ელის დიდ ამბებს და ამ იმედით იტანს იმ სასტიკ ტანჯვას, რომელსაც იგი დღეს განიცდის.

**ბ. ვარდანი**

---

## სამი ხელისუფლება

თანამედროვე ნაციონალიზმის მოწინააღმდეგეთ ხშირად უყვართ თქმა: ფაშიზმი, ნაციონალ-სოციალიზმი და ბოლშევიზმი ერთი და იგივეაო. ნათქვამია: კაციაო და გუნება, მაგრამ აქ უბრალო გუნებ-განწყობილება არ გამოდგება; საჭიროა გონების თვალით დაკვირვება, მოვლენათა შეფასება და აწონდაწონვა, რათა მსჯავრიც სამართლიანი დაედოს.

პირველ ხანებში ჰიტლერი არავის სწამდა, უზურპატორს უწოდებდნენ, გაიძახოდნენ: ვინ მისცა მას უფლება მთელი ხალხის სახელით ლაპარაკისა და სხ. მაგრამ პლებისციტმა, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო 99 პროცენტმა ერისა და ამათთაგან 98,9 პროცენტმა უარჰყო ცილისწამება და დასტური მისცა ჰიტლერის მეთაურობას და მის პოლიტიკას; ამას შემდეგ მაინც განაგრძობდნენ, გერმანია გაგიჟდა, იმას არ ესმის თავისი ინტერესები, ის სხვა გზას უნდა ადგეს, სხვა პოლიტიკაა მისთვის საჭიროო და სხ. ჰიტლერისადმი სიძულვილმა ზოგს თვალები დაახუჭვინა და რუსეთის ბოროტი და საზიზღარი განადგურება მათთვის შეუმჩნეველი იყო. ცნობილი ეკონომისტი ფრანგი ჟინიუ ამბობს: „დიქტატურის შესაცნობად და შესაგრძნობად ადამიანმა საშუალებები კი არ უნდა განსაჯოს, არამედ შედეგები"-ო. და როდესაც დაუპირდაპირებთ ფაშიზმს, ნაციონალ-სოციალიზმს და ბოლშევიზმს ერთმანეთის შესადარებლად, სწორედ ამ შედეგებში ვნახავთ განუზომელ განსხვავებას.

ჩვენ ვხედავთ სამ წყობას: ორი ნაციონალისტურია, მესამე — პროლეტარული, უაღრესად ინტერნაციონალური. გადავხედოთ სამივეს: როგორი შედეგებია მუსოლინის, ჰიტლერის და სტალინის ბატონობისა. ნუ დავივიწყებთ, რომ კომუნისტები კრემლში სხედან 20 წელიწადია, მუსოლინი — 15 და ჰიტლერი — 4. ნუ დავივიწყებთ აგრეთვე რუსეთის სივრცეს და განუსაზღვრელ სიმდიდრეს (რუსეთში ძალით შემწყვდეულ ქვეყნებისა: საქართველო - კავკასია, უკრაინა, ტურკესტანი და სხ. და სხ.) შედარებით ორ სახელმწიფოსთან, იტალია — გერმანიასთან თუ რა უზარმაზარი შესაძლებლობა აქვს რუსეთს თავისი სიმდიდრით.

სტალინმა და მისმა სოციალიზმმა მოსპო ქვეყანა, გაანადგურა, გააღატაკა და დაამათხოვრა მილიონობით გლეხები, დამშეული მუშებისაგან და ნახევრად ინტელიგენტებისაგან შეჰქმნა გაძვალტყავებული პროლეტარიატი, გაანიავა სიმდიდრენი, აჩეხა ტყეები, ააოხრა სოფლები, მადნეულობა მუშავდება მტაცებლურად, ნაშთნი ძველისა, საუკუნოებით დაგროვილი ღირებულებანი და სხვა სიმდიდრე გაფლანგა, ერის კულტურული ფენები ამოსწყვიტა, ჩაახრჩო ჩეკის სარდაფებში და ციმბირის ყინულებში, მილიონები ადამიანთა დახოცა ტყვიით, დამშეულ გლეხობას პურისა და დახმარების მაგივრად ტყვიისმფრქვეველები დაუშინა, გაამეფა სიმშილი და სიკვდილი! აი შედეგი სტალინის დიქტატურისა. ვერავინ ვერ დაკმაყოფილა, ვერავის ვერ მისცა რწმენა ხვალინდელი დღისა, ხოლო მთელი უზარმაზარი სახელმწიფო კი ძონძებში გახვეულ საგიჟეთად აქცია.

მუსოლინმა მიიღო ქვეყანა ომის შედეგებით დანგრეული, მაგრამ მან მისცა იტალიელ ერს რწმენა მომავლისა, შეჰქმნა ნაციონალური პათოსი, აღადგინა სახელოვან წარსულის ტრადიციები, მოარიგა მშრომელი კლასები (რა განსხვავებაა მის კორპორაციებსა და სტალინის უკლასო საზოგადოების შუა!), ყველა აამოძრავა, აამუშავა, შეჰქმნა ახალი ადმინისტრაცია ახალგაზრდებისაგან, აღზარდა და გაწრთვნა ჯარი, მოახდევინა დიდი ომი, რომელიც ყველასათვის მოულოდნელად ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა, ამოაშრო ტბები, ზედ მშვენიერი ქალაქები და სოფლები აღაშენა, გააუმჯობესა დიდათ სოფლის მეურნეობა და მიწის მუშის მდგომარეობა, მუშებს შეუქმნა ცხოვრების წარმატებული პირობები და ამის მისაღწევად ბევრი და დიდი მსხვერპლი გაიღო? დახვრიტა მან მღვდელთმთავრები, პროფესორები, მწერლები, ღენერლები, ოფიცრები, მასწავლებლები და სხვანი? მძვინვარებს სისხლისმღვრელი ტერორი? არა! მუსოლინმა მიაღწია შეგნებით ერის დიდებას, მის ამაღლებას და თვითონაც მოიპოვა უკვდავი სახელი არა მარტო თავის ერში!

ყველამ უწყის თუ რას წარმოადგენდა გერმანია, როდესაც ჰიტლერი დაეპატრონა მას და ისიც ვიცით, თუ რა დღეს დააყენებდნენ გერმანიას კომუნისტები, რომ ჰიტლერის მამაცებს არ გამოეყარათ იქიდან. მართალია, ზოგი, მეტად მცირე რიცხვი, ციხეში ჩასვა, ზოგი კალაპოტში ჩააყენა და გახრწნილი, დაღუპვის კარამდე მისული, დაუძლურებული და გაჭირვებული ქვეყანა ფეხზე წამოაყენა. შეჰქმნა ახალი სახელმწიფო და მერე როგორი ძლიერი და ღონიერი. ჰიტლერმა შეაგრძნობინა გერმანელებს ეროვნული სიამაყე, აღუდგინა შელახული ეროვნული პატივი, მისცა სამუშაო რამოდენიმე მილიონ მუშას. აალორძინა სახელმწიფოს მხედრობა, შეჰქმნა ჯარი, ქვეყანას რომ აზანზარებს და ჩამოქვეითებული გერმანია ესოდენ მოკლე ხანში აღიყვანა დიდ სახელმწიფოთა სიმაღლეზე და ჩააყენა მათ რიგებში.

ასეთია შედეგები სამი ხელისუფლებისა. ასეთია მდგომარეობა დღეს! როგორი იქნება შემდეგში? მუსოლინი და ჰიტლერი ბოლომდე დარჩებიან ნაციონალისტებად, მზრუნველნი ერის კეთილდღეობისათვის და თავისი ქვეყნის ამაღლებისათვის და სახელისათვის! სტალინის დიქტატურა კი, უნიჭო უნაყოფო და ვერაგი იმზადებს სიკვდილს. ის ჩაიხრჩობა მის მიერ დაღვრილ ადამიანთა სისხლის მორევში.

**მეგობარი**

## რუსეთი და საქართველო

(დასასრული)

ალამაჰმადხანის შემოსევა საინტერესოა ბევრი რითიმე და ამისათვის ცოტა შევჩერდეთ აქ. ამ შემოსევას ნათლად აღგვიწერს ღენ. ქიშმიშევი, ეროვნებით სომეხი.

„წინად, ამბობს ის, სპარსელები საქართველოში შემოიჭრებოდენ ხოლმე ბამბაკის და ბეზობდალის უღელტეხილით. ასე მოდიოდენ შაჰაბაზი და ნადირი, მაგრამ ეს გზები ალამაჰმადხანმა არ იცოდა. გზის მაჩვენებლად გამოვიდენ ყარაბახის მელიქები მეჯნუნ და აბო შაჰნაზაროვები“(1), რომელთა დახმარებითაც ყარაბახით შემოესიენ საქართველოს 1795 წ. აგვისტოს თვეში. ძნელი სათქმელია, რამ აიძულა მელიქები ეღალატნათ ჩვენი ქვეყნისათვის.

მართალია ისინი მტრები იყვნენ იბრაგიმ ხანისა (შუშელისა), რათგან ის აწუხებდა მათ, მაგრამ მეფე ერეკლე ხომ წყალობის თვალით უყურებდა მათ და რუსეთის ტახტთან შუამდგომლობას უწევდა, რათა თავი დაეფარათ ყარაბახის ხანისაგან და ამას გარდა ხომ 500 კომლი მათი დაასახლა შულავერში, სადაც ახლაც ცხოვრობენ. საფიქრებელია, თუ არ ამ მელიქების დახმარება, ალა-მაჰმად ხანი ასეთი სისწრაფით ვერ მოაშურებდა თბილისს უცნობი გზაკვალით და ამასობაში საქართველოც მომარაგდებოდა ან დახმარებას მიიღებდა და გადარჩებოდა სპარსთაგან საშინელს დარბევას“.

ამგვარად ალამაჰმადხანმა მოხსნა შუშას გარშემორტყმული ჯარები და ყაზახით და განჯით მიაშურა თბილის თავისი ჯარები, რომელთაც მეთაურობდენ მეჯნუნი და აბო. მოწინავე ცხენოსანმა რაზმმა ერთ დღედაღამეში 110 ვერსტი გაიარა — განჯიდან აქსტაფამდე. 9 სექტემბერს სპარსელები მიადგენ თბილისის ახლომახლო სოფლებს. სოღანლუღში, ამბობს ღენერალი ქიშმიშევი, რომ მოვიდენ, მეტად გაუკვირდათ, რომ იქაურობა დაკავებული ჰქონდათ ქართველებს. ბატონიშვილმა დავითმა მარჯვედ შეუტია, დააყარა სეტყვასავით ტყვიები და მედგარი ბრძოლით უკუაქცია სპარსელები. მაშინ შაჰმა არჩია მთის ბილიკებით შემოევლო თბილისისათვის. ეს ბილიკი მას მელიქ მეჯნუნმა ასწავლა. ალამაჰმადხანს ეგონა, კრწანისის ბაღებში ჩასაფრდენ ქართველებიო და უბრძანა მელიქ მეჯნუნს, მთის ბილიკებით მოევლო ქართველებისათვის და ზურგიდან შეეტია... სპარსელები უკვე შემკრთალი იყვნენ, როდესაც კოჯორის ბილიკით გამოჩნდა მეჯნუნი თავისი რაზმით. ორივე მხრით მტრის რაზმებით შემორტყმული მეფე ერეკლე მიხვდა, რომ მრავალრიცხოვან სპარსთა წინააღმდეგ ვერას გახდებოდა, მაგრამ მაინც გაუწკლავდა, მტერმა ვერ გასტეხა იგი და შუადღისას დაიხია სეიდაბადისაკენ. როდესაც მეფენი ერეკლე და სოლომონი კრწანისთან იყვნენ შეჩერებული, ამბობს ბუტკოვი, ალამაჰმადხანის მოწინავე რაზმი უკვე ხელჩართულ ბრძოლაში იყო ჩაბმული ბატონიშვილ დავითთან. ბატონიშვილმა თავგანწირულად იბრძოლა, მტერი დაამარცხა და მათი მეთაურიც მოიკლა ამ ბრძოლაში.

ცხარე ბრძოლათა მიუხედავად ალამაჰმადხანმა თბილისი აიღო 11 ენკენისთვეს 1795 წ. 15 ენკენისთვეს მეფე ერეკლე სწერს ბატონიშვილს მირიანს და თავის მინისტრს გარსევან ჭავჭავაძეს საინტერესო წერილს: „კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენ მიგველო ალამაჰმადხანის პირობა და რუსეთს არ შევკროდით, ეს უბედურება თავს არ დაგვატყდებოდა“. რუსეთის საქციელის დასასურათებლად მოგვყავს წერილი გუდოვიჩისა ეკატერინე მეორესადმი: — მე დღემდი ვერ ჩევსძელი და არც დღეს შემიძლია ჯარები გავაგზავნო საქართველოში დასახმარებლად, რათგან ამისთვის მე ვერ მივიღე თქვენი ბრძანება მიუხედავათ ჩემი მრავალჯერ განმეორებითი ცნობებისა საქართველოს გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ.— 1796 წ. რუსეთმა ომი გამოუცხადა სპარსეთს და მოკლე ხანში აიღო ბაქო, შემახა და სხ. ქალაქები. მაგრამ ახლად გამეფებული იმპერატორი პავლე პირველის ბრძანებით, რუსის ჯარები უკანვე გაიწვიეს: არც ჩემს მეფეს და არც მთელს ერს არ ესმის, რად დაბრუნდა უკანვე რუსების ჯარი, ხოლო გთხოვთ თანახმად 1783 წლის ხელშეკრულებისა საქართველოში მყოფი რუსის ჯარი დარჩეს საქართველოშივეო, — მოახსენებს 1797 წ. 11 ივნისს თავ. გარსევან ჭავჭავაძე იმპერატორს.

დასუსტებული და ძალამიხდილი საქართველო დარჩა ღვთის ანაბარა. მაშინ მეფე ერეკლემ, მტრებით გარშემორტყმულმა, გაგზავნა მოციქულები პეტერბურგში და მოითხოვა ან პირობის შესრულება ან არა მისი სრული გაუქმება, რათა საშუალება მისცემოდა სხვა, უფრო პირიანი და სასარგებლო მოკავშირე მოეძებნა. 1797 წ. 31 დეკემბერს თ. ჭავჭავაძე ასე მოახსენებს იმპერატორს: — ყველა თხოვნა ჩემი მეფისა დღემდე უყურადღებოდ არის დატოვებული; პასუხის ღირსიც-კი არავინ გამხადა, ხოლო ლაშქარეემა პირად ბაასში განმიცხადა, რომ ჯერჯერობით თქვენი შუამდგომლობანი ვერ იქნებიან დაკმაყოფილებულიო და თუ ეს ასეა, ეს უნდა გვცოდნოდა ერთი წლის წინად, რათა ჩემს მეფეს ძიელო სხვა ზომები თავის სამეფოს დასაცავად. ვკადნიერდები და ვკითხულობ: კეთილ ინებეთ, დიდო და თვითმპყრობელო მეფევ, შეასრულოთ დადებული პირობა და დაეხმაროთ ჩემს მეფეს, რომელიც ამ პირობის დადებამ მეტად შეავიწროვა და ხელშეკრულების თანახმად დაეხმარებით მას თუ არა საზოგადოთ ან თუ ჯერჯერობით სხვა და სხვა მიზეზთა გამო, მხოლოდ დროებით, ეს არ ხერხდება. გარდა ამისა, გთხოვთ უბრძანოთ კავკასიის ხაზზე სანაპირო ჯარების უფროსებს, ნება მისცენ ყაბარდოელებს ჩვენს სამსახურში შესვლისა, რათა შევიმატოთ ძალები ჩვენისავე ხარჯით“.

1798 წ. 11 იანვარს ამგვარივე თხოვნით მიმართავს თ. ჭავჭავაძე თავად ბეზბოროდკოს: — იშუამდგომლეთ იმპერატორთან, რომ მან უბრძანოს ახლანდელსა და მომავალს რუსის ჯარების უფროსებს, კავკასიის ხაზზე მყოფთ, ნება მისცენ ჩერქეზებს დაგვექირაონ ჩვენ, როგორც ყოველთვის წინად და შემოვიდენ ჩვენს ჯარში. ჩერქეზები სულ მუდამ კეთილ განწყობილებაში იყვნენ ქართველებთან და მეფე ერეკლეს 1783 წ. უნდოდა ისინი გადმოესახლებინა ახალციხეში, მაგრამ რუსის მთავრობა წინ აღუდგა ამ განზრახვას“. —

ვერ ეღირსა მეფე ერეკლე პასუხს ვერაგი და უპირო მოკავშირესაგან — იგი გარდაიცვალა 1798 წელს. მხოლოდ სიკვდილის წინ დარწმუნდა ერეკლე, თუ რა ნამუსიანი შემსრულებელი იყო რუსეთი იმ ხელშეკრულებისა, რომელიც მან 1783 წელს დასდვა მასთან. ვერაფრით ვერ მიაღწია მეფე ერეკლემ მოენადირებინა რუსების გული, ვერც მადნეულობის მიცემის დაპირებით, ვერც სხვა ზომით. რუსებს ეს კი არ უნდოდათ! მათ სურდათ ყოფილიყვნენ სრული ბატონ-პატრონი სამეფოსი და ამისათვის-კი საჭირო იყო მისი მოსპობა-განადგურება. აი აქეთ მიიმართებოდა რუსეთი მტკიცე ნაბიჯით. აი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ერეკლეს რომ ცოტა დასცლოდა, რუსეთთან ხელშეკულება გაუქმებული იქნებოდა.

დ. ჭიაბრიშვილი

1) პროფ. ცაგარელი ამბობს: „მაშინ, როდესაც სომხები, ლტოლვილნი ეძებდენ თავშესაფარს საქართველოში. ორმა სომხის მელიქმა ასეთ თავშესაფარს შემოასია მტრის ურდოები. მრავალრიცხოვანმა სომეხ ლტოლვილსადმი: — მე დღემდე ვერ შევსძელი და არც დღეს შემიწელს“-ო.

---

**საქართველო არის სამეფო. ეროვნული მთავრობა დაყრდნობილი დარბაზზე, ითანამშრომლებს მეფესთან. დარბაზი შედგენილია ეკონომიურ და კულტურულ დარგთა წარმომადგენელთაგან.**

# ხოსრო ფაშა

(გაგრძელება და ბოლო)

1828 წელს ხოსრო სამხედრო მინისტრად დაინიშნა; ამ უწყების სრული რეორგანიზაცია მოახდინა და მთავარ-სარდლობაც თვითონვე დაიკისრა; მაგრამ მიუხედავად მის მიერ გამოჩენილი დიდი მხედრული ნიჭისა, მრავალ მხრივად ევროპეული რუსეთის მიერ მაინც ძლეულ იქმნა და სულთანს ამ უკანასკნელთა ზავის დამყარება ურჩია; მასვე ადრიანოპოლის ხელშეკრულების დროს გადამწყვეტი როლი ითამაშა. ამ ხელშეკრულების ძალით, სხვა მრავალ ადგილებთან ერთად, ფოთი და ახალციხე რუსეთს დაეთმო და შავ ზღვაზედაც თავისუფალი ნაოსნობის უფლებაც მიენიჭა (14 სექტემბერი, 1829 წ.). ამავე წელს, ხოსრო, როგორც რეფორმისტების მამამთავარი, ინიშნება აგრეთვე სულთანის მთავარ რწმუნებულად და ევალება თვალყური ადევნოს ახალი წესების გატარებას როგორც სამხედრო დეპარტამენტში, ისე სამოქალაქო უწყების ყოველივე დარგში. სულთანის მიერ ამ „რუსოფილის" ასე დაწინაურება, ცხადია, კონსერვატორების დამშვიდებას ხელს არ შეუწყობდა; პირიქით, ამ „საზიზღარი პიროვნების" დევლეთ-ნაზირად შერჩევამ დიდი არეულობა გამოიწვია და შეთქმულების მზადება დაიწყო. ხოსრო დატრიალდა, შეთქმულობა გახსნა და მასში მონაწილე 170 კაცს თავი მოჰკვეთა. მაგრამ ამ ტერორმა დანიშნულებას ვერ მიაღწია და ოსმალეთის განახლების წინამორბედ აფხაზს მრავალი ფაშა აუჯანყდა, რომელთა შორის უმთავრესი გახლდათ კიდევ ქართველი, ბაღდადის მთავარმართებელი, დაუდ-ფაშა, მართალია, ხოსროს ყოფილი მონა, მაგრამ ალბათ თავისი მიზნების სასარგებლოდ, დახავსებული წესწყობილების მოტრფიალე. დავითმა თავისი ფაშალიკი დამოუკიდებლად გამოაცხადა და სულთანს ძველი მართვაგამგეობის წინადადება წაუყენა. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა, სისხლიც მრავალი დაიღვარა, მაგრამ ბოლოს ხოსრომ თავისი მაინც გაიყვანა: სხვებთან ერთად დაუდ-ფაშაც დაიმორჩილა!

რაც დრო და ხანი გადის, ხოსრო თავის გადაწყვეტილებაში უფრო და უფრო ურყევია: განუწყვეტელ ბრძოლებში დაუძლურებული ოსმალეთის ხსნას შინაური წესწყობილების რადიკალურ გადახალისებაში ჰპოულობს, ხოლო მის მისაღწევად ყოველგვარი საშუალება დასაშვებლად მიაჩნია; არავის ინდობს, შეუპოვარია! რაც შეეხება კოლონიების მიმართ პოლიტიკას, აქ დათმობებზე მიდის, დიპლომატიას უფრო მიმართავს ვინემ ომიანობის გაგრძელებას, რაც, მისი აზრით, სახელმწიფოს მთლიანად შეიწირავს, კატასტროფას მოუტანს. ყველაფერს ამას საზოგადოებრივ აზროვნებაში ცვლილება შეაქვს, ის ყალიბდება და ორი მკაფიოდ გარკვეული მიმდინარეობა ჩნდება: პირველში თავს იყრიან ძველი მხედრები, მოხელეები და მაღალი წოდება, რაც მთავარია, სამღვდელოება, რომლის უკან მოზვავებულია ისლამის მართლმორწმუნე მუსულმანობა; დასავლეთი ევროპაც. მუდამ ჟამს მღვრიე წყალში მოთევზავე, ოსმალეთის „გამაევროპიელებელი" და რუსეთთან თანამშრომლობის მოსურნე, ხოსროს წყევლა-კრულვით იხსენიებს, მტრებს უმხნევებს და საწინააღმდეგოდ აქეზებს. ყველა ამათ მიერ ხოსრო ინათლება რჯულის მოღალატედ, გიაურების მიერ მოსყიდულად და რუსოფილად.

მეორე ბანაკში მოსჩანს ახალი აზრებით აღგზნებული და სულთანის მთლიანი ნდობით აღჭურვილი სამხედრო მინისტრი ხოსრო, რომლის უკან დარაზმულია ოსმალეთის ღარიბი ინტელიგენცია, წვრილი ვაჭრები, მშრომელი ხალხის ერთი ნაწილი, მთელი სომხობა, ბერძნები და ებრაელობა.

1839 წელს სულთანმა თავისი სიძე, რომელიც ფორმისათვის ვიზირის სახელს ატარებდა, თანამდებობიდან მოხსნა, ეს ფუნქცია გააუქმა და მის ნაცვლად შექმნა ე. წ. სახელმწიფო საბჭო, რომლის თავჯდომარეობა (ბაშ-ვექილი) ხოსროს შესთავაზა, მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა, იმპერიის ბედ-იღბალი ჩააბარა.

ეს უკვე გახლდათ აშკარა დუელი — დუელი კიდევ ახალი სისხლისა და მსხვერპლის მომთხოვნი, რომლის მიღებას რეაქცია შეუშინდა და ხელსაყრელი პირობების დაცდა არჩია. ამ შემთხვევით ხოსრომ ისარგებლა და ახალ პოზიციებს შეუტია: მოზარდ თაობის გათვითცნობიერებით, ერში ცრუმორწმუნოების აღმოფხვრის მიზნით სწავლა-განათლების ახალ ნიადაგზე გადაკეთებას შეუდგა: კონსტანტინეპოლში, ადრიანოპოლში, სალონიკაში, სმირნაში, ბაღდადში და ტრაპეზუნდში ე. წ. უმაღლესი აკადემიების დაარსების ბრძანება გასცა, სადაც სხვა მეცნიერებასთან ერთად, სავალდებულოდ გახადა აგრეთვე ოსმალეთში ჯერ უცნობი მათემატიკის, ბუნების მეტყველების და ქიმიის ფრანგული ენითა და ევროპის მეთოდით შესწავლა. გარდა ამ „აკადემიებისა", ყველა დიდ ქალაქში დააარსა საშუალო სასწავლებლები, კერძოდ კონსტანტინეპოლში კი განაახლა [illegible] ხის მიერ დაწესებული სამხედრო და სახღვაო სასწავლებლები, მოაწყო საექიმო ფაკულტეტები, [illegible] ვის დამოუკიდებელი გიმნაზიები; არა მუსულმანთათვის კი ორი კოლეჯი, სამკითხველო, თეატრი და [illegible] ფო, თავშესაფარი და სხვა მრავალი მსგავსი დაწესებულება; ბრძანება გასცა აგრეთვე ევროპის კლასიკოსთა და სახელმძღვანელოების გადმოთარგმნის [illegible] მწიფოში ამ დიდ მნიშვნელოვანი დარგის [illegible] ლობა სამღვდელოებას გამოაცალა და თვით [illegible] ფოს კონტროლს დაუმორჩილა. როგორც ვხედავთ, [illegible] მაჰმადიანთა უმეცრებისა და ცრუმორწმუნეობის [illegible] რდოებელ ყურანს მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა, სასიცოცხლო ძარღვი გადაუჭრა.

ამავე წლის ივლისში მაჰმად მეორე გარდაიცვალა. ასეთ შემთხვევაში მუდამ აუცილებელ ინტრიგებს [illegible] ჭორ-მითქმას ხოსრო არ შეუშინდა და ტახტზე [illegible] მეჯიდი აიყვანა. აი როგორ გვიწერს ახალგაზრდა სულთანის დაგვირგვინებას გაზეთი „მონიტორი"-ს კორესპონდენტი: — ზეიმის მაყურებლები დიდ შიშიანობას განვიცდიდით, ვინაიდან ამ დღეს რეაქციონერების გამოსვლას მოელოდებოდნენ, მაგრამ გვანუგეშებდა მოხუცი ხოსრო და მისი გაფოლადებული ნებისყოფა; ხალხი ჩურჩულით ერთმანეთს ანდობდა ამ რამოდენიმე ლას[illegible] განმავლობაში მის მიერ მიღებულ მკაცრ ზომებს, მის მიერ გაცემულ სიკვდილით დასჯის მრავალ ბრძანებას. რომელთა კვალი ბოსფორის ზღვაში იკარგებოდა(1)... უცბად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა: დიდი ვიზირი, შეუპოვარი ხოსრო გამოჩნდა... ის თითქმის მეგობრულად ესაუბრებოდა დიდ-მუფტის, მის მოსისხლე მტერს. როგორც გავიგე, მათ წინა დღით დიდი შეხლა-შემოხლა ჰქონიათ: თურმე მუფტის, პროგრესის ამ უდიდეს მტერს, საბჭოში საჯაროდ განუცხადებია, რომ ის ზეიმში მონაწილეობას არ მიიღებდა იმ შემთხვევაში, თუ ახალი სულთანი ტრადიციული ტანისამოსით არ შეიმოსებოდა, რაც ძველი ჩვეულების აღდგენას მოასწავებდა. ხოსრო გაბრაზებულა და მას გადაყენებით დამუქრებია. თან იმასაც დასძენენ, რომ ასეთი უბრალო დასჯით ის არ დაკმაყოფილდებოდაო. ასე იყო თუ ისე, სულთანი ამ დღეს ახალ ფორმაში გამოვიდა, მუფტიც ზეიმს დაესწრო და დიდი სიწყნარეც სუფევდა. ეს ხოსრო, დასძენს კორესპონდენტი, 75 წლისაა და თან კოჭლია. საკმარისია ამ მოხუცის სახელი ახსენოთ, რომ ოსმალო, თუ არა-ოსმალო შიშით აცახცახდეს. ყველას მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია და ალბეჭდილი მისი როლი იანიჩარების ამოჟლეტაში.

---

1) ხოსროს თუ ვინმეს მოშორება დასჭირდებოდა, მას უჩინრად შეიპყრობდნენ. ტომარაში ჩასვამდნენ და ზღვაში გადაუშვებდნენ.

ყველამ კარგად უწყის, რომ ის შეუბრალებელია და თან ბოსფორიც ღრმა არის. მიმდინარე საუკუნეში ის უბადლო და უდიდესი ფიგურაა მთელს აღმოსავლეთში; მას აქვს უდიდესი ნიჭი და მოხერხება არა მარტო იმისათვის რომ გამაგრდეს, არამედ თავისი ავტორიტეტი ყველაას მოახვიოს ისეთს ქვეყანაში, სადაც კისრის შენარჩუნება დიდს სიძნელეს წარმოადგენს. ყოველივე ახალ მოვლენებს ის თავის სასარგებლოდ იყენებს. აგერ 50 წელიწადია, რაც ის სამ-თუღიანი ფაშის ხარისხს ატარებს (მუშირალს ანუ მარშალს უდრის. ა. მ). ეს ძველი სერასქიე მოქიშპეს ვერ ითმენს. პერტევ ფაშას და სხვების სიკვდილი ამას აშკარად ღაღადებს. ხოსრო ფაშა ოსმალეთის იმპერიის ერთად ერთი ძალაა, ერთად ერთი ნუგეში და ავლადიდება... ის მცირედი რამ, რაც კიდევ ოსმალეთის მონარქიისაგან არის დარჩენილი, სამოცდათხუთმეტი წლით დატვირთულ ხოსროს ემყარება"-ო.

რეტროგრადებმა იარაღი მაინც არ დაჰყარეს და სულთან ვალიდეს (ქვრივი დედოფალი) საშუალებით შეეცადენ ახალგაზრდა სულთანი ხოსროს გავლენისაგან დაეხსნათ, მაგრამ განზრახვა ვერ გაუმართლდათ. პირიქით, ხონთქრმა დიდი ვეზირობა აღადგინა და ხოსროს ფირმანი გაუგზავნა, რომლითაც მან მამა მისის აღებული გზის გაგრძელების პირობასთან ერთად, მას, წინაამდეგ იქ დამყარებული წესისა, ერთგულება შეჰფიცა და დასძინა: „დარწმუნებული, რომ ასეთი დიდი მოვალეობის ასრულების დროს მე დამჭირდება დახმარება ისეთი მინისტრისა, რომელიც თავს უყრის გამოცდილებას, ამა თუ იმ შემთხვევის დროს საჭირო მოქნილობას, ალღოს აღების უნარიანობასთან ერთად სიმხნევესა და უმწიკვლო სიერთგულეს, ე. ი. ყველა იმ ძვირფას ღირსებას, რომელნიც შენ გამკობენ და რომელთა, შენი ხანგრძლივი კარიერის გასწორივ, იმპერიის სარგებლიანად მოხმარებამ შენ პირველი მინისტრის ხარისხი მოგიპოვა, განდობ ამ უმაღლეს ფუნქციას და ამავე დროს გავალებ მმართო როგორც შინაგანი სამინისტრო, ისე სამხედრო და საფინანსო სამინისტრო. მოკლედ, შენ განიჭებ აბსოლუტურ უფლებას, განაგო და მმართო ჩემი იმპერიის ყოველივე დარგის საადმინისტრაციო საქმეები"-ო.

ეს ფირმანი თუ პირადათ ხოსროსათვის მოულოდნელი არ იყო, მან ადგილობრივ წრეებში, მართალია უჩინარი, მაგრამ დიდი აღშფოთება გამოიწვია, ხოლო უცხოეთის პრესის კილო ცოტა ხნით მაინც დიდი ვაზირის სასარგებლოდ შეიცვალა: — „მისი პირველ მოხელედ დანიშვნა მთავრობას მოუპოვებს ოსმალეთის გათვითცნობიერებულ საზოგადოების ნდობასა და თანაგრძნობას. ეს წარჩინებული პიროვნება, რომელიც ძლიერ კარგად იცნობს ევროპის სახელმწიფოების სიძლიერესა და ოსმალეთის სიუძლურეს, მომავლის იმედებით სულდგმულობს და ილწვის ოტომანის ხალხის გარდაქმნისათვის"-ო.

ხოსროსი მართლაც უცნაური პიროვნებაა. ის ანგარიშს არავის და არაფერს არ უწევს. ვამეფებულ აზროვნებასთან მუდამჟამს კონფლიქტშია; ჭიდილში და ბრძოლაში სიტკბოს მაძიებელია.

ამ დროს, განსვენებული მაჰმუდ მეორეს დაჟინებით, ეგვიპტესა და ოსმალეთს შორის ომი წარმოებდა, სადაც ეს უკანასკნელი დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა. ხოსრომ, რომელიც თავიდან ამ ლაშქრობის დაწყების წინააღმდეგი იყო, სამხედრო მოქმედების დაუყონებლი შეჩერების ბრძანება გასცა, ხოლო მუდამჟამს განდიდების მოყვარულს მეჰმედ-ალის მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესთავაზა. ვაი უბედურებას, მთელი ოსმალეთი შეინძრა: ხოსროს თავი მოგვეცით, ხოსროს თავი! — გაისმა; სამხედრო ფლოტიც აჯანყდა და მტერს შეუერთდა. ხოსრომ ბრძანება ბრძანებაზე გზავნა. მაგრამ მისმა კაპუდან-ფაშამ არ გაუგონა: — ქვეყნის მოღალატე ხარო — შემოუთვალა. თვით მეჰმედ ალიმ, უკვე მადა-გახსნილმა, მადლობის მაგიერ, თავის პირველ მოთხოვნილებებს სირიის შემოერთებაც. და ნუ იტყვით, თვით ხოსროს თანამდებობიდან გადაყენებაც დაუმატა. ცხადი გახდა, რომ ამ მეფისნაცვლის გადაჭარბებულ პრეტენზიების უკან შინაური მტრებისა და ინტრიგების გარდა, ევროპის სახელმწიფოებიც გამოჩნდენ და რომ თავისი ძალებით ის მათ ვერ დასძლევდა, არამედ საჭიროება მოითხოვდა მძლავრი მოკავშირე მოეპოვა. სწორედ ამ მიზნით მან განაახლა თავისი შვილობილი ჰალილ - ფაშას (ჩერქეზი იყო, ყოფილი მონა) მიერ 1834 წ. რუსეთთან დაწყებული მოლაპარაკება. შიგნით კი ხელი მიჰყო საეჭვოდ მიჩნეულ პიროვნებათა დევნა და შევიწროვებას, — ტომრებში გამომწყვდეულ მსხვერპლთა ბოსფორის ნაპირებისაკენ გასტუმრებას. არავინ შეიბრალა: ურიცხვ ფაშებსა და მაღალ მოხელეებს რამოდენიმე მინისტრიცთან მიაყოლა; სულთანსაც არ დაერიდა — მისი თანდაუსწრებლად დარბაზობის მიცემაც კი სასტიკად აღუკრძალა. ხოლო სულთან ვალიდე კი სასახლეში ამოჰკეტა და ჯაშუშები მიუჩინა. ერთი სიტყვით, საშინელი ტირანია დაატრიალა, ტირანია... მაჰმადის რჯულის მატარებელ ხალხთა შორის უხსოვარ დროიდან დამყრებული მსგავსი ტირანიის აღმოსაფხვრელად ამოძრავებული. — „რა ვქნა, მოსთქვამს საბრალო დედოფალი, მაჰმად-ალისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში, იმდენად შევიწროვებული ვარ ამ წყეულ ხოსროსა და მისი ჯაშუშებისაგან, რომ დღემდე თქვენთვის წერილის გაგზავნაც კი ვერ მომიხერხებია"-ო.

ხოსრო, როგორც ყოველთვის, ახლაც ამ ტერორით სარგებლობს: მის ჭირში თუ ლხინში მუდამ თანამგზავრს ახალ იდეებს ახალ გამარჯვებას უმზადებს. რამაზანი დადგა, მაჰმადიანთა უდიდესი დღესასწაული, და მთავრობის წევრები ჩვეულებისათვის ემზადებიან. ხოსრომ, რომელიც თვითონ ათეისტი არ იყო და ბოსფორის ნაპირზე მშვენიერი მეჩეთიც ჰქონდა, ამ მისთვის მეტად ძვირფასი დროს დაკარგვა არ მოისურვა, თანამშრომლებს სასახლის დატოვება აღუკრძალა და ახალი კონსტიტუციის შემუშავებას შეუდგა. „მთავრობა გაფაციცებით მუშაობს კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის შესადგენად. დიდ ვიზირსა და მისი კაბინეტის წევრთა შორის სრული თანხმობა სუფევს. მოხუცებული ხოსროს დაუღალავი აქტივობით ყველანი განცვიფრებული ვართ"-ო, — იტყობინება „მონიტორის" კორესპონდენტი.

მართლაც, ახალ წესდებას (გულჰანე) დღის სინათლე მალე ეღირსა, სადაც, სხვათა შორის, ჩვენ ვპოულობთ შემდეგ მუხლებს: ადამიანის უფლების დაცვა, კერძო საკუთრების ხელუხლებლობა და კონფისკაციის უარყოფა; სარწმუნოებრივი თავისუფლება, მონების ყიდვა-გაყიდვის სასტიკად აკრძალვა, სამსჯავროში, სამხედრო ბეგარის და გადასახადების წინაშე თანასწორობა, სულთნის უზენაესი ბრძანების გარეშე სიკვდილის დასჯის გაუქმება, ხარჯთ - აღრიცხვისა და ხარკის აკრეფის უფების სახელმწიფო ხელში გადასვლა, საკანონმდებლო კრებულის მოწვევა და ბოლოს, რაც მთავარი იყო, პროვინციებში ფაშებისა და პრივილეგიურ ოჯახთა თვითნებობის აღკვეთა, ხოლო მათ მაგიერ ადგილობრივ თვითმართველობის შემოღება და ძალაუფლების მათ ხელში გადასვლა.

როგორც ვხედავთ, ამ იფხაზმა ოსმალეთს მისცა ევროპიული ტიპის კონსტიტუცია და რთული ადმინისტრატიული ორგანიზაცია.

1840 წლის იანვარში ხოსროს დამბლა დაეცა სადილის მირთმევის დროს. გაზეთები სენსაციური ცნობებით აჭრელდენ: — „უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი ვიზირის ავადმყოფობამ ყველა ფენაში ღრმა მწუხარება გამოიწვია. ეს არა იმიტომ, რომ ის ძლიერ უყვართ, არამედ იმიტომ, რომ მისი გულწრფელობა ყველას სჯერა. დღეს არავინ უარჰყოფს ამ უცნაური მოხუცის ნიჭს, დიდს გამოცდილებას, პატრიოტიზმს, სიმხნევეს და განსაკუთრებით ხასიათის სიმტკიცეს. მოკლედ, ხალხს ის ეზიზღება, მაგრამ მის აშკარა უპირატესობას მაინც აღიარებს და პატივსა სცემს. მას თავი დაზღვეულად წარმოედგინა ყოველგვარ უბედურებისაგან, რომელსაც მთავრობის სათავეში ხოსრო ეგულებოდა. მარტო მისი სახელი საკმარისი იყო არეულობისა და თვითნებობის აღსაკვეთად. ხოსრო ფაშას სიკვდილი აუცილებლად დიდ ზიანს მიაყენებს ოტომანის

მთავრობას, რადგანაც მისი შემცვლელი დღესდღეობით არსად სჩანს“-ო.

ზემო მოტანილ ცნობის მომდევნო ცნობაც უნუგეშო არის; კორესპონდენტის აზრით, მისი დღეები დათვლილია და დასძენს: — „მისი ავადმყოფობის ირგვლივ მითქმა-მოთქმაა... ოფიციალურად კი ირწმუნებიან, რომ დიდ ვიზირს, რომელიც ტანით დაბალია, მსხვილი და გემრიელი სუფრის დიდი მოტრფიალე, ზედიზედ დამბლა დაეცა“-ო.

ყველას ღრმად სწამდა, რომ ეს უბედური შემთხვევა ხოსროს შეიწირავდა და რასაკვირველია, მისმა მტრებმა თამამად წამოჰყვეს თავი: ქვრივი დედოფლის ირგვლივ დაირაზმა მთელი სამღვდელოება, ძველი მხედრობა, ახალი საფინანსო სისტემით დაზარალებული მსხვილი ვაჭრები და სომეხი ბანკირები, ე. ი. ყველა ისინი, რომელნიც ხოსროს წაქცევას უცდიდენ თუ არა მომავალი მთავრობის შესადგენად პორტფელები უკვე განაწილებული ჰქონდათ. ამათ რიცხვში აღმოჩნდენ აგრეთვე დიდი ვიზირის ზოგიერთი თანამშრომლები და მეგობრები, რომელთა შორის აღსანიშნავია ჰალილ-ფაშა, რომელიც ხოსროს შვილობილად (შეიძლება სიძე იყო) ცნობილი და ამავე დროს მისი რჩეული დიპლომატი, იმ ჟამად კი სერასქიე. ამრიგად, ხოსროს საფლავის გვერდით ითხრებოდა მეორე საფლავი, რომელსაც უნდა შთაენთქა მისი ახალი რეფორმებიც. მაგრამ მათი ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა: ჩვენმა ხოსრომ არა მარტო სიკვდილს დააღწია თავი, არამედ ჩვეულებრივი გატაცებით თავის მოვალეობის აღსრულებას დაუბრუნდა. ზოგიერთი გვიმტკიცებს, თითქო მან ეს ავადმყოფობა მოიგონა იმისათვის, რომ მისი უჩინარი მტრებისათვის ნიღაბი აეხადა და გამოერკვია, თუ ვინ მონაწილეობდა იმ შეთქმულებაში, რომელსაც აბდულ-მეჯიდის დედა მის საწინააღმდეგოდ უკვე დიდი ხანია ქვანძავდა. ჩვენ აქ ამის გამორკვევას ვერ შევუდგებით, არამედ აღვნიშნავთ იმას, რომ ამ ხანის განმავლობაში მომხდარ უბრალო მნიშვნელობის მქონე წვრილმანის გაგებასაც კი მიაღწია და ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ბედი ეწვეოდა ყველა მათ, ვინც ცოდვილი აღმოჩნდა. რაც შეეხება დედოფალს, მას სულთანის პირით შეუთვალა, რომ ერთხელ და სამუდამოდ თავი გაენებებინებინა მისი დამღუპველი ინტრიგებისათვის, თუ კი მას სურდა თავიდან აეცდინა ის სამწუხარო შედეგები, რომელნიც თან დაჰყვებოდენ ხოლმე ხოსროს მიერ იძულებით მიღებულ მკაცრ ზომებს.

თუ ხოსროს გამოჯანსაღებამ რეაქციონერებს შიშის ზარი დასცა, მან მცხოვრებთა დიდს უმრავლესობაში აღტაცება გამოიწვია: პროვინციიდან მოზავებული ნორჩი თვითმართველობის წარმომადგენელნი მას ამ ბედნიერებას ულოცავენ და თან უმხელენ, თუ რა კმაყოფილებას განიცდის გადასახადების შემცირებით აღფრთოვანებული და ხოსროს მიმართ მადლიერი ოსმალეთის მოსახლეობა. ამრიგად, ხოსრომ შიგნით რეაქცია დასძლია და ოსმალეთის განახლებას მტკიცე ნიადაგი ჩაუყარა, მაგრამ. მეორეს მხრივ, საგარეო პოლიტიკაში, თავისი ხაზის გასატარებლად მაგარ წინააღმდეგობას გადაეყარა. ინგლისი და საფრანგეთთან ერთად ეგვიპტე და ოსმალეთით უკმაყოფილო სხვა პატარა ერებიც მოხუც ხოსროს წინააღმდეგ კავშირდებიან და მის თავიდან მოსაშორებლად ყოველგვარ ხერხს მიმართავენ: სახელმწიფოს ღალატს, რუსოფილობას, მექრთამეობას, ყურანისადმი მტრობას, და გარყვნილებასაც კი უგონებენ. დრო და ხანი გადის და მათი საძაგელი ინტრიგები მართლაც ნაყოფს იძლევიან: თვით სულთანსაც არწმუნებენ იმაში, რომ მას თითქო მისი ჩამოგდების განზრახვა ჰქონოდეს; მის მიერ შექმნილი მხედრობაც ნელნელა შორდებოდა მას; მთავრობის შემადგენლობაშიც ოპოზიციამ თავი იჩინა და მისი გავლენიანი წევრები ხოსრო ფაშის გაქანებული პოლიტიკის მოზომიერებას ითხოვენ. მოკლეთ: მთელი ქვეყანა მის წინააღმდეგ დაირაზმა, მაგრამ ჯიუტმა ხოსრომ თავისი ნებით ძალაუფლების დატოვება მაინც არ მოისურვა. ბოლოსდაბოლოს, დიდი განგაშის შემდეგ, სულთანის თხოვას დაუთმო და გადადგა. იმ დროს, და მის შემდეგ, კიდევ ბევრ ხანს, თუ სულთანის გულისწყრომას ვინმე დაიმსახურებდა, მისთვის უთუოდ თავი უნდა მოეკვეთათ, მაგრამ ხოსროს შემთხვევაში, ამ უკიდურეს სასჯელს ვერ მიმართეს, პირიქით, თავის მშვენიერ სასახლეში მოკალათებულს ხარისხი შეუნარჩუნეს და წლიურად ჯილდოთ ხუთი ათასი პიასტრიც გაუჩინეს. მისი თანამდებობა კი ჩააბარეს მის მიერ გამოწრთვნილ, ხოლო მისი საგარეო პოლიტიკის მოწინააღმდეგე რეშიდ-ფაშას. ამ რეშიდის მოსვლას თუ რეაქციონერების მიზნისათვის დიდი სარგებლობა არ მოუტანია, სამაგიეროდ ამ შემთხვევაში, როგორც ანტირუსულმა მოვლენამ, აღმოსავლეთით დაინტერესებულ ევროპაში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია: — „ეს შემთხვევა, სწერს ფრანგული „მონიტორი“, დიდს იმედებს უსახავს ევროპის სახელმწიფოებს. კონსტანტინეპოლში აშკარად გრძნობენ, რომ ხოსროს გადაყენება ძლიერ მჭიდროდაა დაკავშირებული ეგვიპტეს საკითხის გადაწყვეტაში“-ო.

ეს უბედურება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მოხუცს და უძლურ ხოსროს კიდევ ახალი უბედურება თავს დასტეხოდა: მისი უკვე გათამამებული მტრები ამ პირველი გამარჯვებით არ დაკმაყოფილდენ, არამედ მას, ახლა კი ზნეობრივი ჩამოქვეითების მიზნით, სახელმწიფო ღალატში აშკარად ბრალი დასდვეს და სასამართლოს გადასცეს (მას რუსეთის იმპერატორისაგან ქრთამის აღება დასწამეს). როდესაც მან უმაღლესი სამსჯავროს წინაშე გამოცხადების უწყება მიიღო, ოსმალეთის ეს ხორცშესხმული ზევსი განრისხდა: — როგორ! მე, ხოსრო ფაშას, რას მკადრებენო! — იღრიალა; სულთანს, მთავრობას, სამღვდელოებას, მთელ ოსმალეთს ცეცხლითა და მახვილით დაემუქრა. სხვაში სიმართლის მაძიებელმა, თვითონ, მის მიერ დაწესებულ სამსჯავროს წინაშე წარდგომა იუკადრისა. ამრიგად, ჯიუტმა და პატივმოყვარემ, ჯერ კიდევ შერჩენილი თავისი სიძლიერე სულთანის ჩამოსაგდებად აამოძრავა და ჯანყის სუნი დაატრიალა. მთელი ოსმალეთი შეირყა, მას შიშის ნაკადულმა კიდევ ერთხელ გადაუარა, საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ ამაოდ! ოთხმოცი წლის მოხუცი და ამავე დროს ნახევარი საუკუნის მანძილზე განუწყვეტელ ბრძოლაში დაღლილი და გამოფიტული ხოსროს ბრწყინვალე მომავლის იმედი უკვე არსად სჩანდა, ხოლო მისი ეს ახალი შფოთი ჯერ კიდევ სიცოცხლის მოსურნე მომაკვდავ ადამიანის ნაძალადევ რეფლექსს წააგავდა, უკანასკნელ მაჯისცემას. ასეთ პირობებში რა გასაკვირია, რომ მისი მოპირდაპირენი მასზე ძლიერნი იყვნენ?

1840 წლის 8 ივლისს, საღამოს ხუთი საათი იყო, როდესაც რიზა-ფაშა, სერასქიე, ორი ათასი ჯარისკაცით, ჰოი სირცხვილო! ხოსროს სასახლეს გარშემოერტყა; და ჩვენს მოხუცს მისი დატყვევებისა და სამი წლით გადასახლების ბრძანება წაუკითხა. აფხაზს გული ბოღმით აევსო, ბრაზმა შეიპყრო, შეიარაღებული ჯარით გაჭედილ გზას თვალი მიმოავლო, დაფიქრდა. ბოლოს სულთანის მინისტრს მოუბრუნდა: — „როგორ! განა თავს არა მჭრით?! — ალმაცერად ჰკითხა. შემდეგ ძალის წინაშე ქედის მოხრა აგჯობინა და 15-ტიოდე მსახურითურთ ტყვეობისაკენ გასამგზავრებლად გაემზადა. რიზა-ფაშამ ის დაუყონებლივ, წინასწარ მომარაგებული გემებით. როდოსტოს კუნძულისაკენ გაისტუმრა.

დიდხანს არ გაუვლია და იმპერიაში მღელვარებამ იჩინა თავი; დედაქალაქში აბდულ-მეჯიდის საწინააღმდეგო შეთქმულება აღმოჩნდა: ხოსროს ყოფილ მთავარ მდივანთან ერთად მთავრობის ზოგიერთი წევრი და კარისმსახურნი ჩავარდნენ. ამ დაპატიმრებულთა დაკითხვამ გამოააშკარავა, რომ ამ ფარულ მოძრაობას ხელმძღვანელობდა როდოსტოს კუნძულზე, სადაც მივარდნილ ადგილას მომწყვდეული მოხუცი ხოსრო. ამ შემთხვევაში მაინც მის თავისმოყვრეთას მოელიან, მაგრამ ცეცხლითა და მახვილით მოპოვებული მისი გავლენა კიდევ იმდენად მძლავრი აღმოჩნდა, რომ ამ საკითხის დასმაც ვერავინ გაბედა, ოღონდ მთავრობა დაკმაყოფილდა იმ-

ითი, რომ ამ მოუსვენარის მოქმედების აღსაკვეთად როდოსტოში რვაასი კაცისაგან შემდგარი რეგულიარული ჯარი გაეგზავნა და გადასახლებული ბინისათვის სასტიკი იზოლაცია მოეხდინა.

ხოსრომ ტყვეობაში ერთი წელიწადი დაჰყო, ხოლო დანარჩენი ორი კი ხონთქარმა აპატივა და არა მარტო დედაქალაქში დაბრუნების უფლება მისცა, არამედ უპორტფელო მინისტრობაც უბოძა (1842 წ.). ამ დღიდან მან, უკვე ღრმად მოხუცებულმა, აქტიურ პოლიტიკას თავი მიანება და დამშვიდებულ ცხოვრებაში შესულმა კიდევ თხუთმეტი წელიწადი იცოცხლა. ის დაახლოვებით 95 წლის იქნებოდა, როდესაც 1855 წლის 26 თებერვალს გარდაიცვალა სტამბოლში. ბოსფორის ნაპირას მის მიერ გაშენებულ მშვენიერ სასახლეში.

ხოსროს მიმდევრები პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდენ, „ახალგაზრდა თურქთა" სახელი დაირქვეს, ხოლო მისი ხელმძღვანელობა ვინმე მიდჰა-ფაშას ჩააბარეს.

ეს უკანასკნელი აბდულ-ჰამიდის დროს ვიზირი გახდა, მაგრამ სულთანმა, უცნაური მერყევი ხასიათის მქონემ, ის ჯერ მოაკვლევინა, შემდეგ, რომ მისი სიკვდილის სიის ნამდვილეში თვითონ დარწმუნებულიყო, მის საფლავზე კაცი გაგზავნა, ამოათხრევინა, თავი მოაჭრევინა და სასახლეში მოატანინა.

მაგრამ ჩვენი თანამემამულის, ყურშუ - ჰუსეინ - ფაშის მიერ დაწყებული, ხოლო შემდეგ ხოსროს მიერ გაგრძელებული კეთილი საქმიანობის დასამარება ამ მხანათური მკვლელობით ვერ მოხერხდა, — პირიქით, ძლიერ ჩქარა, თვით აბდულ-ჰამიდი, ეს „წითელი სულთანი" იმსხვერპლა (1909 წ.). ბოლოს, ბოლოს... ქართველთა ამ მრავალ ათეულ წელთა ნაამაგარს, მათ მიერ დღის სინათლეზე გამოყვანილ ოსმალეთის ხალხს, სამართლიანად, ოსმალო ქემალ - ფაშამ უხელმძღვანელა.

აკ. მეუნარგია

---

## მგოსანი

მე დავიბადე ცხელ ლითონის და ცეცხლის დროში;
ტყვიის ზუზუნმა დამავიწყა დედის ნანინა...
საბნად მეხურა სისხლიანი ნაფლეთი დროშის;
გახრწნილ გვამებთან უდარდელ ბავშს მშვიდათ მეძინა.

მაგრამ ჩემს გულში იშლებოდა მაისის ვარდი,
ზეცით დარგული და მორწყული ქართული სისხლით;
მთვარით ნაკოცნი და ქართული მზით განაზარდი,
და დაბურვილი ცივ-გომბორის ჟანგიან ნისლით.

დავსცქერი მიწას ტყვიით დახნულს და ვამბობ ასე: —
უნდა მივიღო დაწყევლილი ხანა ახალი!
უნდა გავყინო ჩემში სხივი მაღალ პარნასის,
გავზარდო გულში ცივი გველი და ქარიშხალი!

გაახელს მთვარე ვერცხლის თვალებს და ყოველ ღამით,
როს დასხდებიან ვარსკვლავები ცაზე იებად,
ვრწყავ გულში გაშლილ მაისის ვარდს შხამით, ბალღამით,
რომ ჩავუნერგო საშინელი შურისძიება;

რომ ყოველივე ჩემი სიტყვა მტერს მოხვდეს ტყვიად.
რითმამ დასტენოს მკვირცხლი აზრი ლექსში ყუმბარად;
და, თუ ღიმილი ზეციური კიდევ მატყვია,
არ დაიჯეროთ! ვით ჯალათი ვიცინი მარად!

რას ვაქნევ სიტყვას ჰაეროვანს აწონილს მისხლით,
როს გარს მარტყია ეკლიანი რკინის მავთული!
მელნად დავსწურე ნოყიერი ქართული სისხლი,
კალმად მიპყრია ხელში ბასრი ხმალი ქართული!

და შხამით მორწყულ მაისის ვარდს ვდარაჯობ, ვუვლი;
შურისძიება მასაზრდოებს, მიმატებს ღონეს;
რამდენი მამა გაიხსენებს ჩემს სახელს კრულვით,
რამდენი დედა ცრემლით, ოხვრით შვილს მოიგონებს!

თუ გამარჯვება არ არსებობს სისხლის გარეშე,
მხოლოდ სისხლისთვის გიხმობსთ ჩემი ბუკი-ნაღარა!
ისე არ ჩავალ, ცით მოსული, ბნელ სამარეში,
თუ არ შევღებე მტრების სისხლით ჩემი ჰაღარა!

ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჰირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავლით მსურს გავიხარო.
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
და მტვრად ქცეულიც დამენახოს მთელი სამყარო!

ს. ბერეჟიანი

---

## † პაოლო იაშვილი.

საქართველოდან მოსული ცნობების მიხედვით იქ თავი მოიკლა პოეტმა პაოლო იაშვილმა. მისი ასეთი დასასრული ჩვენთვის არ იყო მოულოდნელი. მისი მდგომარეობა რომ რთული იყო და სახიფათო, ეს ჩვენ ბერიას მაისის მოხსენებიდან გავიგეთ.

მისი თვითმკვლელობა სიმბოლიურ სახეს ჰფენს არა მარტო მის პირად დასასრულს, არამედ მთლიანად იმ პოლიტიკური და ლიტერატურული ხასიათის მუშაობას, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული საზოგადოების საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოებას, და რომლის წარმოშვება პაოლო იაშვილის სახელთანაა დაკავშირებული.

აქ დღეს ამ პიროვნების საქმიანობის სრული გაშუქება ძნელია და იქნებ არა-სასურველიც.

პაოლო იაშვილი უთუოდ დიდი და ნამდვილი პოეტი იყო. კომპლექსური ხასიათის, უდავო ნიჭის და დიდი ტემპერამენტის პატრონი; მას ხშირად მოუცია მისაბაძი და აღმაგზნებელი მაგალითი, მაგრამ უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივი აზრი მის ქცევაში, შეიძლება ხშირად უმართებულოდ, ხედავდა მოქალაქეობრივი სულმდაბლობის ნიმუშებს. პაოლო ამას მტკივნეულად განიცდიდა. — სხვანაირად არც შეიძლებოდა, — და ელოდა სასოებით თვითმართლების დროს, შეიძლება მხტსაც, თვით ამ საზოგადოების გასამართლების საშუალებასაც.

პ. იაშვილი ხანგრძლივად იყო არა მარტო ლიტერატურულ ვედეტად; მისი და მისი ჯგუფის პირველი ლიტერატურული გამოსვლები საზოგადოებას ახლაც ახსოვს იმ აურზაურის გამო, რომლითაც ის იაშვილს დაუხვდა. პაოლო და მისი მეგობრები იცნობდენ მონპარნასს და მის ბოჰემას, ლიტერატურული სკანდალების მომწყობ სტრატეგიას და საზოგადოების ამგვარი შეხვედრით კმაყოფილი იყვნენ. მისი ჯგუფის, ცისფერ ყანწელების, გამოსვლა ქუთაისში (დიდი ომის დასაწყისში), არ იყო შემთხვევითი არც ადგილის და არც დროის მიხედვით. ქართველ სიმბოლისტთა მოვლენა (რატომღაც საზოგადოების მიერ ფუტურისტებად მონათლულნი!) ახალი იყო შინაარსითაც და ფორმითაც.

თუ განზე დავსტოვებთ განსაკუთრებულ და განცალკევებულ ვაჟა-ფშაველას, ახალი სიმბოლისტური სკოლა იყო უარისყოფა არსებულ ლიტერატურულ მიმართულებათა, განსაკუთრებით კი იმ ხანებში პუბლიცისტიკაში გადაჩეხილ პოეზიისა. ლექსთა წყობის კანონებთან, ლექსიკონთან მათ დაამყარეს ლიბერალური დამოკიდებულება. ლექსის მეტრიკას კი აშკარა ირონიით ეპყრობოდენ. მათი პირველი ლექსები მიძღვნილი იყო ორსულ მთვარისა". „დამხრჩვალ კატისა" და ამგვარ, წინეთ გაუგებარ და გაუგონარ საგნებისადმი. არც დასაწყისში და არც შემდეგში მათ არ გამოუჩენიათ ლიტერატურულ ნაწარმოებთა სიუხვე: თვით პაოლო იაშვილს, მისიანთ

შორის, უთუოდ ყველაზე ნაკლები აქვს ნაწერი. ამ მხრივ და იმ განსაკუთრებული მდგომარეობით, რომელიც მას თავის ჯგუფში მეგობრების მიერ უდავოდ მიჩნეული ჰქონდა, ის განსაცვიფრებლად მიაგავს ფრანგ პოეტ სტეფანე მალარმეს, რომლის ნაწარმოებთა სიმცირე ცნობილია, მაგრამ პოეზიის საუკეთესო ავტორიტეტი არის (აკადემია საფრანგეთში დღეს მისი სახელობით არის მონათლული).

„ცისფერ-ყანწელთა" სკანდალური ლიტერატურული დასაწყისი თავისთავად არ იყო ორიგინალური; ფრანგმა სიმბოლისტებმა თავის დროზე თავისი საქციელით გამოიწვიეს ისეთი მკაცრი რეაქცია, რომ ლიტერატურულ წრეებში მისი გამოძახილი დღემდე არ გამქრალა; ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ მათი წრიდან გამოსულიყვნენ „უკვდავნი", როგორიც არიან ანრი რენიე და პოლ ვალერი. ანალოგიური გზა განვლეს აგრეთვე მათმა მოძმე რუს სიმბოლისტებმაც. პ. იაშვილი და უმეტესი ნაწილი მისი მეგობრებისა ბოდლერს, ვერლენს, მალარმეს და რემბოს იცნობდენ დედნით და მიუხედავად მათი ამ მწერლებით გატაცებისა, ქართველ სიმბოლისტებს, და მათ შორის პაოლოს სხვებზე არა ნაკლებ, ბოლომდე დაჰყვათ რუს სიმბოლისტების, განსაკუთრებით ბლოკის, ბალმონტის და ბრიუსოვის ღრმა გავლენა. ისინიც თავის მხრივ, ლიტერატურული პოზიციების დაკავების შემდეგ, გახდენ მიღებულ ლიტერატურულ მემკვიდრეობისა და ტრადიციების დამცველებად.

„ცის-ფერ - ყანწელებს" ქართულ საზოგადოებასთან ერთად ქართული კრიტიკაც, თუ არ ვცდები, განსვენებული კიტა აბაშიძის გამოკლებით, უარყოფითად შეხვდა. მხოლოდ საკმაო ვადის გავლით დრომ მოუტანა მათ საყოველთაო ცნობა. სწორედ ამ ხანებში ჩვენ გვქონდა დამოუკიდებლობა. ამ ჯგუფმა დამოუკიდებლობის ხანასთან, მის მაჯისცემასთან ვერ ააწყო ფეხი. ამ გარემოების ახსნა შორს წაგვიყვანს. იყო ეს მით გამოწვეული, რომ ძველის ნგრევა მათ აწუხებდა და ახალი ეუცხოვებოდათ, როგორც პოეტებს და ქართველთ, თუ იმ არა - შესაფერი როლით, რომელიც მაშინდელმა მართველობამ მიუჩინა ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ქართულ კულტურას საერთოდ და კერძოდ მწერლობას. ამაზე ძნელია დღეს პასუხის გაცემა, მაგრამ უდავო ის არის, რომ დამოუკიდებლობის ხანაში ეროვნული კულტურის დარგში არ გაკეთებულა ბევრი რამ, რაც არ გამოპარვია ჩვენი ცხოვრების უცხოელ მეთვალყურეთაც. როგორც იყო, დამოუკიდებლობის მიწურულში, იმათაც გამონახეს მათთვის შესაფერი ამოცანა: — ახლად წარმოშობილი ეროვნული სახელმწიფოს მის ისტორიულ წარსულთან გადაბმა და მის მომავალ ვალდებულებათა დასახვა ლიტერატურულ ფორმებში ლამაზად და მოსწრებულად შეასრულეს. სიმბოლიურ სახეს ატარებდა მათი მხრივ ლიტერატურული აქტივობის გადატანა ბათუმში, საიდანაც გაისმოდა მათი ხმა საქართველოს საზღვრებს გარედ დარჩენილი ჩვენი აკვანის ბედის საზრუნავად.

წითელი ჯარის თბილისში შემოსვლის პირველ დღესვე პაოლო იაშვილი მათ მიეგება მიტოვებული და დაპყრობილი ხალხის მოურავის როლში; მას არ დაუგმია თავისი იდეალი და გუშინდელი მისწრაფება, მაგრამ წაქცეული მართველობის მიმართ მკაცრი და დაუზოგველი აღმოჩნდა. ხალხის მაშინდელ სულიერ ვითარებაში ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ იგი გამხდარიყო ოდიოზურ პიროვნებად და აქედან დაწყებული, არავინ ცდილა გაეგო მისი შემდეგი მოქმედების ნამდვილი მიზეზები.

პ. იაშვილის და მისი მეგობრების დამოკიდებულება მოსულთა ახალ ხელისუფლებასთან იმ თავითვე განსხვავებული დარჩა შედარებით ქართველ მწერლების იმ ნაწილთან, რომელიც დამოუკიდებლობის დროს ხელისუფლებასთან ახლო იდგა.

რუს და ქართველ კომუნისტების მიერ სოციალისტურ და დემოკრატიულ პრინციპთა შელახვას იაშვილი და მისი მეგობრები სრულიად არ შეუწუხებია. მათ წინაშე იდგა დიდი რუსეთის მიერ მათი პატარა სამშობლოს დაპყრობის ბრუტალური ფაქტი. ბოლშევიკური რეჟიმის სიმკაცრე და სისასტიკე მათთვის უთუოდ იმ თავითვე აშკარა იყო, რადგან თავისი პოლიტიკური ხაზის შემუშავებისათვის ცარიზმის ბატონობის პრეცენდენტი მათ არ გამოუყენებიათ.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი ხუთიექვსი წელიწადი მათი მუშაობისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა. ერთი მხრივ ნეპის ხანა, დღევანდელთან შედარებით, თავისთავად მაინც იძლეოდა ეროვნულ-კულტურული მუშაობისათვის შეკვეცილ სარბიელს. ამასთან დაერთო ის გარემოება, რომ იმ ხანებში ხელისუფლებას და კომპარტიას სათავეში ედგა ის თაობა, რომელსაც თავისებურად და მრუდეთ, მაგრამ მაინც ჰქონდა რაღაც წარმოდგენა თავის ვალდებულებათა შესახებ ქვეყნის წინაშე. ეს ის თაობაა, რომლის ლიკვიდაციას ბერია ენერგიულად ახდენს ამ ხანად. იაშვილისა და მისი მეგობრების პრივილეგიური და მონოპოლიური მდგომარეობა ხელისუფლების წინაშე ერთი შეხედვით წარმოადგენდა კურიოზულ და ძნელად გასაგებ მოვლენას. ბოლოს და ბოლოს, მარქსისტული ლიტერატურული მეთოდოლოგიით (გზადაგზა რომ ითქვას) აქ. ემიგრაციაში არის ის მხოლოდ კიდევ მოწონებაში, თორემ იქ, საქართველოში, კარგა ხანია გაუქმებულია) სიმბოლისტები ანუ დეკადენტები, წარმოადგენენ გადაშენებული ბურჟუაზიის „ხედნაშენს" და აქ, ხელისუფლების მხრივ, ყოყმანს არ უნდა ჰქონებოდა ადგილი, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში მოხდა მოსალოდნელის სრულიად საწინააღმდეგო რამ. ეს გარემოება კომუნისტებს კარგად ესმოდათ და თუ მას შეგნებულად სჩადიოდენ, საამისოდ საპატიო მიზეზებიც ჰქონდათ. ჯერ ერთი ის, რომ სიმბოლისტების „ნეიტრალი" პოზიცია იმ ხანებში მათთვის საკმაოდ დიდი პოლიტიკური სამსახურის გაწევა იყო, და მეორეს მხრივ, არ გააჩნდათ მათი შემცვლელები. ეგრეთ წოდებული პროლეტარული მწერლობა ემბრიონულ მდგომარეობაში იყო და შემდეგშიაც, მიუხედავად ყოველგვარ დახმარებისა ამ წრიდან მეტად უნიჭო ხალხი გამოვიდა, რომელთა გაპოეტება „დანიშვნით" მოხდა. ამ ექვსი წლის განმავლობაში პაოლოს და მისი მეგობრების მეოხებით მრავალი შინაარსიანი, სქელი და თხელი, სამწუხაროდ მთავრობის წყალობით, უდღეური ლიტერატურული ორგანოები გამოიცა. ამ პერიოდში იგი იჩენდა მრავალი სახის აქტივობას; ის, რაც გაკეთებულა ამ ხანის განმავლობაში ქართულ კულტურულ ფრონტზე ფასიანი და სერიოზული, ბევრი მეტად, ზოგი ნაკლებად პაოლოს სახელთანაა დაკავშირებული. დღეს რომ საქართველო დიდის ზეიმით დღესასწაულობს ილიას დაბადებიდან ასი წლის თავს და შოთა რუსთაველის 750 წლის თავს, ამაში თავისი და საპატიო წილი პაოლოსაც მიუძღვის. იმ დიდ მუშაობას, რომელიც ამ დღესასწაულებით დასრულდა, მძიმე ბრძოლათა გადატანილი ისტორია აქვს. ეს იყო დიდი ამოცანა, რომელსაც უმთავრესად პ. იაშვილმა და მისმა მეგობრებმა მოანდომეს დიდი შრომა, რის შედეგად შესაძლებელი შეიქმნა საქართველოს ისტორიული და კულტურული წარსულის აღდგენის საკითხის დღის წესრიგში დასმა.

ალ. ყაზბეგის, ივ. მაჩაბელის, ვაჟა-ფშაველას. ილია ჭავჭავაძის, შოთა რუსთაველის დღესასწაულთა გადახდა უეჭველად პაოლო იაშვილს აქტივში ჩაეწერება იმ დამატებით, რასაკვირველია, რომ ეს საბჭოთა ხელისუფლების მზაკვარ, ორმაგ და თვალთმაქც ეროვნული პოლიტიკის მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდა.

როგორც პოეტი და უმთავრესად როგორც გარკვეული ლიტერატურული სკოლის სულისჩამდგმელის პაოლოს დამსახურება და ამაგი ქართული ლიტერატურის წინაშე უდავოა; პაოლოსა და მისი მეგობრების წყალობით ქართული პროზისა და პოეზიის სტილი „გაიმართა" („გამართული სტილი"-ს მოსწრებული გამოთქმაც

მათ ეკუთვნის!) მათ ზევით ასწიეს ერთხანობაში დაცემული ლიტერატურული გემოვნება.

პაოლოს ლექსებს ახასიათებს მაღალ დონემდე აყვანილი რიტმი, ლირიული განწყობილება და მუსიკალობა; მისი ლექსი „წერილი დედას“, ჩვენი დროის ქართული პოეზიის შედევრია; მას ჩვენს პოეზიაში უდავოდ უკავია ის ადგილი, რაც ფრანგულში ბოდლერის ლექსს «L'invitation au voyage».

1926 წლის გაზაფხულს პაოლომ სამეგრელოდან ჩამოიყვანა სახელგანთქმული, მაშინ უკვე მოხუცებული, ქართველი მოჭიდავე ესებუა, და დედაქალაქში შესაფერი იუბილე გადაუხადა. რასაკვირველია, ეს არ იყო უსაქმური კაცის თავისშექცევა და ეს თავისთავად სრულიად არ იყო არც კომიკური მოვლენა, როგორც ეს მაშინ თბილისელმა საზოგადოებამ მიიჩნია. ეს მაგალითი მოვიყვანეთ პაოლოს შეგნებისა და მოვალეობის გაგების დასახასიათებლად.

პაოლოს მოღვაწეობა, რომლის პასუხისმგებლობას სხვებიც გაიზიარებენ. — დიდხანს იქნება დავის საგნად. უიმედოა, რომ მისმა თანამედროვეებმა ის მიუდგომლად გაასამართლონ და განსაჯონ.

პაოლოს კარგად ესმოდა თავისი ორჭოფული და ორმაგი მდგომარეობა ხელისუფლების წინაშე და საზოგადოებაში. მას ხშირად აძაგებდენ, უმეტესად ისინი, რომელნიც სწორედ მას სთხოვდენ დახმარებასა და მფარველობას ხელისუფლების წინაშე.

თავისი დასასრულის მოახლოება მან უთუოდ კარგა ხნით ადრე იგრძნო; ამისათვის მას სათანადო ჭკუაც და გრძნობაც ჰქონდა. მოსკოვში მისი წარდგომა სტალინის წინაშე, ქება-დიდების პოემით, მას მოაგონებდა მის წინაპართა სპარსეთის ყაენთან გამგზავრებას...

თუ წარსულში პაოლოს განუცდია სულიერი დაცემულობის წუთები. იგი თავისი ღირსეული დასასრულით, მსგავსად სხვა მრავალ დაღუპულ პოეტებისა, ჩაეწერა მარტიროლოგიაში.

**ბეგი გოლიაძე**

დანამდვილებით ვერ გავიგეთ, თუ ცნობილი პოეტი, „ცისფერ-ყანწელი“ და თანამებრძოლი, მეგობარი პაოლო იაშვილისა ტიციან ტაბიძე და ცნობილი რომანისტი მიხეილ ჯავახიშვილი ბოლშევიკური ხელისუფლების მერ დახვრეტილ იქმნენ. თუ ეს საშინელება სიმართლე არის, რაც აქ ყველას სჯერა, მაშინ ტიციანს აღუსრულდა საკუთარი წინასწარმეტყველება: „მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც მალე სადმე ჩაგვაძაღლებენ“.

---

უცნაური რამ არის ლექსის წარმოშობა,
მისტიური არის ის და ძნელი არაკი,
როგორც ადამიანის ამ სოფლად შობა,
როგორც სიკვდილი და ლაპარაკი!
რაღაცა გალონებს და გიმონებს გულს,
გიფრთხობს სიმშვიდეს და მყუდროებას,
ეძებ გართობას, ეძებ სიყვარულს,
რომ გადიტანო ეს უდროება!
მაგრამ ამაოდ! უყვარხარ ალბათ
მუზებს და გრძნეულ არსთა აგუნებს,
არ გეშვებიან, გიზიდვენ ხარბად,
იდუმალი ხმა შენ ყურს აგონებს:
ზეციურ ჰანგებს, მუსიკას, ფორმას!
ფერი, რა ფერი! თვალწინ გიდგება!
გასცილებულხარ დღიურსა ნორმას
და მოჰვენება გამოგიდგება;
ყოველგან დაგდევს და მხოლოდ ლექსით
ძალგიძს იხსნა და იფარო თავი,
და ლექსი, როგორც ნაზი ალერსი,
ვით მალამოთი გახსნილი სნება,
მოგგვრის სიმშვიდეს და მოგეხსნება
გულიდან ლოდი, მძიმე და შავი!

**გან - ფარი**

**შემოდგომა**

მზე ოქროს ზვინად იდგმება,
ყურძნით ურმები ჭრიალებს,
ისმის სიმღერა საწნახლის,
ყელი ჩაგვიმაჭრიანე!
ბულრაობს ნიშა-ნიკორა,
მთები დამდგარა მდევებად,
მზემ სხივი შემოიკონა,
დამსკდარი ოქროს მტევნებად.
გახედავ ზეცას სისხლის ფერს,
გრძნობა გენთება მხურვალე,
მინდვრებს ფოთლებით დანაფენს,
ტყეებს ფერმიხდილ, მწუხარეს.
დღე დაიზვინა სიმდიდრით,
ყველგან სიცოცხლის გაცემა,
ეცემა ნამგლით სიმინდი
ოქროსფერ ჯარისკაცებად.
სუნთქავს სასულე ქვევრიდან,
სდულს და ფუჩხუნებს მაჭარი!
მოდის ღიღინით ქვევიდან,
შალომა, ჩილის ვაჭარი.
ძაღლები ყურებ-დახრილნი
აყეფდენ ეზო-ეზოთი,
ჭისკრებს მოადგა ნახირი,
ჭისკრებს დაკიდულს თეძოთი.
სიმინდს არჩევენ ქალ-ბიჭნი,
ულვაშ-დაგრეხილ, ბეწვიანს,
ქურჩაში ყვითელ ტაროებს
კაკლები დაუკრეჭია.
მზე მთებში წვება სხივ-ფენით,
ცა მშვიდ ზღვასავით ლურჯდება,
ქოხებში მოსჩანს სუფრები...
სოფელი თვლემს და ყუჩდება.

**გ. ყიფიანი**



**თამარ პაპავასი: „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“. პარიზი, 1937 წ. გამოცემა დ. ხელაძისა.**

აკადემიკოსი ნიკო მარრი ერთ თავის საკამათო თხზულებაში გაკვრით ეხება ქართველი ქალის მნიშვნელობას ქართველი ერის ისტორიაში და ზოგადათ აღნიშნავს, რომ ქართველი ქალის მოღვაწეობა ცნობილია არა მარტო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე, სარწმუნოებისათვის ბრძოლის და აღმაშენებლობის საქმეში, არამედ „დამახასიათებელია ქართველთა მონაწილეობა ლიტერატურულ მოღვაწეობაში წმიდა ქვეყანაში. იერუსლიმში დღესაც ინახება უძველესი ხელნაწერი..., რომელსაც რედაქცია გაუკეთეს ქართველმა ქალებმა შავმთაზე, ანტიოქიის ახლოს. აქ ისინი ხელნაწერთა გადამწერლობას ეწეოდენ და ყრმათ ასწავლიდენ. ქართველი ქალები, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი, სამხედრო ხელოვნებასაც სწავლობდენ. ერთი ევროპიელი მწერალიც გვაუწყებს ამას“-ო...

ნიკო მარრის ეს ნათქვამი გაგვახსენდა, როცა ქბ. თამარ პაპავას წიგნს მოვკიდეთ ხელი. ეს ნათქვამი დღესაც ორნაირად არის გამართლებული და დადასტურებული: 1) აღნიშნული წიგნის ავტორი — ქალბატონი თამარ პაპავაა, 2) თვით წიგნი ეხება ქართველ ქალთა იმ დიდ ბრძოლას, რომელიც მათ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს რუსეთის წინაალმდეგ უწარმოებიათ.

თამარ პაპავამ განაგრძო აქ ის მეცნიერული მუშაობა, რომელსაც ძველად ქართველი ქალები უცხოეთში მის-

დევდენ და მანვე დაგვიხატა ის პოლიტიკური თუ დიპლომატიური ომი, რომელსაც ქართველი ქალები საქართველოში რუსეთის გაბატონების პირველ ხანაში ეწეოდენ. ეს ქალები და ვაჟები, რომელთა ბრძოლა ამ წიგნის 300 გვერდზეა აღწერილი, დიდი სახეები, დიდი პირები არიან, ხოლო, ქბ. თამარ პაპავას აზრით, პატარა ჩარჩოებში მოქცეულნი. ავტორი აქ დიდ თავმდაბლობას იჩენს და გვარწმუნებს ამ სათაურით, რომ მან ვერ შესძლო ამ დიდ პირთა, დიდ სახეთა შესაფერის დიდ ჩარჩოებში მოთავსება, რომ მისი ისტორიული ნარკვევები კნინია. ავტორი, რასაკვირველია, სცდება, თუ მართლა ასე ფიქრობს. ჩვენ გვგონია, ჯერჯერობით არც ერთი მკვლევარი ასე ღრმად და ასე ფართოდ არ მისდგომია აღნიშნულ ეპოქას, რომლითაც იწყება საქართველოში რუსეთის გაბატონება. ალ. ფრონელის გამოკვლევანი მთიულეთისა და კახეთის აჯანყების შესახებ, თავის დროზე დიდი განძი ქართული ისტორიის საკითხთა გასაშუქებლად, დღეს უბრალო მოთხრობად გვეჩვენება, რომელიც შემოფარგლული იყო ადგილობრივობით. თამარ პაპავას ნაშრომი კი ფართო გეგმაზეა აგებული და მოცემულია არა მარტო ადგილობრივობა, არამედ საერთაშორისო ვითარებაც, რომელშიაც ჩვენს გმირებს მოქმედება უხდებოდათ. ამ მხრივ ქალბატონ პაპავას შრომით კვლევა-ძიების საგანი ახალ გზაზეა შეყენებული და ამას არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ, როგორც დიდ ღირსებას.

ჩვენი ისტორიული კვლევისათვის დიდ წარმატებად ჩაითვლება აგრეთვე ის მოვლენა, რომ ქალბატონ თამარ პაპავამ კვლევის გულისყური მიაპყრო სახეებს, პირებს, მათ ოჯახებს. ესეც ახალი მოვლენაა, მეტად საგულისხმიერო და დასაფასებელი ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის.

დიდი შრომა, დიდი ღვაწლი, დიდი სიყვარულია ჩაქსოვილი დასახელებულ წიგნში, რომლის გმირებს ქბ. პაპავა ნაზი სიყვარულითა და ღრმა გატაცებით გვაცნობს. ჩვენს თვალწინ ერთი მეორეს მისდევენ მეფე ერეკლეს ქალები, რომელთა ჩანგი დასტიროდა დაკარგულ თავისუფლებას; აღწერილია ქართველი ქალის როლი და მნიშვნელობა 1832 წლის შეთქმულებაში; გამორკვეული არის ალექსანდრე ბატონიშვილის ოჯახის ბედი; იმერეთის ქალები გააფთრებით იცავენ ქვეყნის თავისუფლებას, —იბრძვის ეკატერინე წერეთლისა, წულუკიძის ოჯახი, ბატონიშვილი დარეჯან და სამეგრელოს დედოფალ ნინოს რთული ამბავი დაწვრილებითაა გადმოცემული. ჩვენ იძულებული ვართ ამ ჩამოთვლით დავკმაყოფილდეთ, — წიგნს თვითეულმა უნდა მოჰკიდოს ხელი და იქ იმდენი რამ ახალია, სულ ახალი, რომ ყველას დასძლევს სურვილი ხელიდან აღარ გაუშვას იგი, ვეღარ მოშორდეს „ამ ფრიად სასიამოვნო მოვლენას“, როგორც ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილი უწოდებს ამ შრომას ამავე წიგნის წინასიტყვაობაში. არამც თუ შინაარსის მხრივ აღნიშნული შრომა ძვირფასია, არამედ გარეგნულადაც, გამოცემის მხრივაც.

ან. ქვლივიძე

# მოგონებანი

## ილიასთან შორი-ახლოს დგომით.

### ფურცლები ჩემი თავგადასავალის რვეულიდან

(დასასრული).

არც ილია იყო მაინცდამაინც მოწადინებული, რომ გაუგებრობას ბოლო მოპოებოდა; იგი ცუდს არას იტყოდა პირს-უკან, მაგრამ სულ განზე იდგა მათთაგან. ერთხელ ილიასგანაც შეუცხოვა ერთი იმისი ასეთი მსჯელობა. მას რაფიელ ერისთავი, პირადათ, ძლიერ უყვარდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ლიტერატურულ თემებზე ერთი ბაასის დროს, სიცილით აღნიშნა: — „რაფიელისთანა ბედნიერი მგოსანი ჩვენში ერთიც არ მოიპოვება! იმისი ნაწარმოები, გინდა თავიდან ბოლომდე წაიკითხე, გინდა ბოლოდამ თავამდე, ლექსი და აზრი სულ ერთი რჩება“-ო და გულიანად გაიცინა. მე საყვედურით შევნიშნე: — როგორა ბრძანებთ მაგასა „სამშობლოს ხევსურის“ ავტორზე - მეთქი! ილიამ ალერსიანად გადმომხედა და თითქო სურდა დავემშვიდებინე: — არა, ეგ ლექსი მშვენიერიაო და საზოგადოთ გავიხუმრეო...

აკაკის შესახებ ვკითხე ილიას: — თქვენ სტუდენტობაც ერთად გაგიტარებიათ და რომელ ფაკულტეტზე იყო იგი-მეთქი. თითქო დაცინვის კილოთი ილიამ მომიგო: — რის ფაკულტეტი, რის უნივერსიტეტი; აკაკი კანვოიში შესასვლელად ჩამოვიდაო...

ილიას ეს მსჯელობა, ცოტა არ იყოს, ცუდათ ჩამოვართვი, და აშკარად უნდა აღვიარო, მისგან მოგონილი ანეგდოტი მეგონა, მანამ თვით აკაკის ნაწერებში არ ამოვიკითხე, რომ სწორედ ასე ყოფილა საქმე

არც ნიკო ნიკოლაძის და ილიას დამოკიდებულება იყო სასურველი, თუმცა არც ერთისაგან არ გამიგონია ღვარძლიანი მსჯელობა.

ერთ გულახდილ ბაასის დროს ილიასთან ვსთქვი, რომ ჩვენ, ახალგაზრდებს, ძალიან გვაღონებს, რომ ჩვენი უფროსები ეგრე დაშორებული ბრძანდებით ერთმანეთისაგან. მაგალითად, რა გიშლით თქვენ, რომ ნიკო ნიკოლაძესთან, ამ განათლებულ, ნიჭიერ და მცოდნე ადამიანთან ყველაფერში ერთობა გქონდეთ?

ილიამ მშვიდათ ამიხსნა, რომ ისიც დიდ პატივს სცემს ნიკოს ყველა მაგ ხარისხს და მასთან გასაყოფიც არა აქვს რა.

— მაშ რატომ ერთად არა ხართ? — ვცხარობდი მე.

ამის საპასუხოდ ილიამ მოკლედ მომიჭრა სიტყვა: — ნიკო ერთი მოუსვენარი ადამიანია და სჯობს ორთავესათვის, ის თავისთვის იყოს და მე ჩემთვისაო...

უნდა სიმართლე ითქვას, რომ ასეთი გარეგნული კინკლაობა სრულებითაც არ იყო გამომხატველი იმ გრძნობებისა, რომელიც სინამდვილეში არსებობდა მაშინდელ ჩვენს მეთაურებს შორის. მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ ილიას ის წერილი აკაკის 25 წლის სამწერლო მოღვაწეობის გამო, რომელიც „ივერია“-ში იყო დაბეჭდილი. შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველი სერიოზული შეფასება იყო აკაკის დიდი პოეტური ნიჭისა და ღვაწლისა. ის წერილი მთლად, უცვლელად გადატანილი უნდა იყოს ლიტერატურულ ქრისტომატიებში.. აგრეთვე დაუვიწყარია აკაკის სიტყვა ილიას კუბოსთან წარმოთქმული. ღრმად დამწუხრებული აკაკი, აცრემლებული, ასე შესძახის ილიას: — „ეს რა უბედურება მეწვია! მე ვფიქრობდი, შენის ხელით ვყოფილიყავ მიწას მიბარებული და აი, სამაგიეროდ, რა მწარე ხვედრი მერგო“-. ამ სიტყვების შემდეგ აკაკი, თურმე ღრმად აქვითინდა და დიდხანს ვეღარ შეძლო სიტყვის გაგრძელებაო, გადმოგვცემენ ამ პათეთიური სცენის დამსწრენი...

ნიკო ნიკოლაძეც რომ დიდათ აფასებდა ილიას, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ილიას პუბლიცისტური წერილების შესახებ ნიკოლაძეს ხშირად უთქვამს, რომ ისინი ისეთი ღირსებისა არიან, რომ არც ერთი დიდი ევროპიული ჟურნალი არ იტყოდა უარს მის დაბეჭდვაზეო. თქმა არ უნდა, რომ ილიას პუბლიცისტიკას ნი-

კოს თაობა უკეთ იცნობდა, ვიდრე ჩვენ, ახალგაზრდები. მათ ყველაფერი თავის დროზე ჰქონდათ წაკითხული და გარჩეული; ჩემს დროს-კი სანთლითაც რომ გვეძებნათ, ვერსად მონახავდით მათ. ამიტომაც დიდი ბედნიერი მოვლენაა, რომ ამ ჟამად ილიასი და სხვათა თხზულებათა სრული გამოცემები არსებობს. ათ-ტომიანი ილიას ნაწერების წაკითხვა ბევრად შეგვიწყობს ხელს სავსებით შევაფასოთ ჩვენი დიდი მოღვაწე და მასთან უარვყოთ მის შესახებ, შეცდომით თუ განზრახვით, არა მართებული მსჯელობა ზოგიერთისა.

ამ მოხუცებულობის დროს პირველად მომეცა შემთხვევა, ასე ვსთქვათ, ერთის დაკვრით გავცნობოდი ილიას ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ქვევით განგებ ამოვკრიბე ოთხმოციანი წლების მისი ზოგიერთი ნაწერის ის ადგილები, რომელნიც დღესაც გამოდგებოდენ დღევანდელი ამბების შესაფასებლად.

ბოლშევიკურ პრესაში, სანამ ილიას ნაწერების სრული გამოცემა გამოვიდოდა, რა გინდა რა სიყალბე არ იწერებოდა ჩვენი დიდი მოღვაწის შესახებ, იმ „ლიტერატორების" კალმით, რომელნიც ცნობილი ფილიპე მახარაძის სულით იყვნენ გაჟღენთილი. მაშინ ილიას აბუჩად აგდება დიდ მოდაში იყო. ამჟამად საქმე სხვაფრივ დატრიალდა და იმავე ბოლშევიკურ გამოცემებში აი რასა ვკითხულობთ. თვით გაზ. „პრავდა" ილიაზე ამბობს: — „მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ყველაზე პოპულიარული საზოგადო მოღვაწე"! ან რა ეთქმის გაზეთს მას შემდეგ, როცა მის ხელშია, ამჟამად გამომჟღავნებული თვითმპყრობელობის პოლიციის ასეთი დახასიათება ილიასი: (1894 წელს) — „სარწმუნოდ შეიძლება დამტკიცდეს, რომ მთავარი ხელმძღვანელი ნაციონალური მოძრაობისა არის თავადი ილია ჭავჭავაძე... ხმები დადის, რომ მასთან ხდება ფარული კრებები, რომელზედაც მსჯელობენ სხვადასხვა საზოგადოებრივ და სოციალურ კითხვებზე". — ილია სულ მუდამ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ირიცხებოდა, ამიტომ მოხდა, რომ ქართულ საზოგადოებას აღუკრძალეს ილიას 40 წლის იუბილეს გარდახდა და ამ მიზეზით საიუბილეო კომიტეტიც დაშლილი იყო.

მაშინ როდესაც მახარაძის თანამოაზრენი ილიაზე ამბობდენ, რომ იგი ბოლოს მემამულეთა და თავადაზნაურების იდეალების წარმომადგენელი გახდა, რითაც თავის სიყმაწვილის დროის პრინციპებს უღალატაო, ეხლა თვით კომუნისტების პრესაშიც კი ასეთ მსჯელობას ვეფეთებით: — „ისტორიამ გაამართლა ილია, როგორც მხატვარი, პოეტი, მხატვრული აზროვნების უდიდესი ოსტატი, **მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დახავსებული ცხოვრების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი და ნაციონალურ - რევოლუციური მოძრაობის უდიდესი მოღვაწე**". ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია მათ გამოცემებში მრავალი ციტატა ილიას ნაწერებიდან და სწორედ ეს ციტატები, ყველაზე უფრო საყურადღებო. იმავე ავტორს (ა. სულავას) მოჰყავს რა ილიას მოხევეს სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოსო", დასძენს: „ამ პროპაგანდისათვის ბრძოლას შესწირა ილიამ თავისი მღელვარე სიცოცხლე და უძღვნა მას მხატვრული ნაწარმოებნი, უამრავი პუბლიცისტური წერილი და შრომები". და რასაკვირველია, ეს შეფასება სწორეა. თუ რამდენად ტყუილია ილიას პიროვნების დახასიათება, როგორც არა სრულიად საქართველოს ინტერესების მსახურისა, არამედ თავადაზნაურობისა, ბოლშევიკურ პრესასაც კი მოჰყავს ასეთი საბუთი. როდესაც ილია სახელმწიფო საბჭოში საქართველოს თავადაზნაურობამ აირჩია, მან საჯაროდ ასეთი განცხადება გააკეთაო: ... „თუ მე სახელმწიფო საბჭოში შევდივარ თავადაზნაურობის სახელით, ეს მხოლოდ საქმის ფორმალური და იურიდიული მხარეა: საბჭოში მე დავიცავ მთელ საქართველოს ინტერესებს და მთლად ჩემს ღონეს მხოლოდ საერთო კითხვებს მივცემ"-ო... 1906 წელს გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკ"-ში ილიას შემდეგი განცხადებაა დაბეჭდილი: „მე დამცველად გამოვალ ადგილობრივ ინტერესებისა, ადგილობრივი საჭიროების ფარგლებში მე მომიხდება დავიცვა ფართე ადგილობრივი თვითმართველობა კანონმდებლობითი უფლებებით"(1). თვით სახელმწიფო საბჭოს არქივებში შენახულა ილიას ასეთი დახასიათება: — „აგრარული კითხვების გარშემო იგი მომხრეა მიწების ძალით ჩამორთმევისა, თუ ამას სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვენ"-ო.

როდესაც რევოლუციონურმა ტალღამ ჩვენშიაც იწყო აქაიქ არა სასურველი მიმართულება და უპასუხისმგებლო პირებმა და ორგანიზაციებმა იწყეს განუკითხავად მემამულეების ოჯახების ჟლეტა-ხოცვა, მათი ქონების აოხრება, როგორც ვიცით, ერთმა, მცირე ჯგუფმა მემამულეთა წრიდან გამოსულმა, დაფეთებულმა უამრავი უბედურებით, მიმართა ყოვლად დაუშვებელ საშუალებას, იარაღზე იარაღითვე გაეცათ პასუხი და შექმნა რაზმი, რომელსაც „შავი რაზმი" უწოდა ხალხმა. ამ საქმის ინიციატორებმა მოიწვიეს თათბირი, სადაც განაცხადეს თურმე, რომ საჭირო იარაღი მათ უკვე გადმოცემული აქვთ მთავრობისაგანაო. ამ თათბირზე ილიაც ყოფილა მიწვეული და აი, არჩილ ჯაჯანაშვილის მოწმობით, რა უთქვამს იქ დიდ ილიას: „ბატონებო, ის რაც ეხლა ჩვენში ხდება, სხვაგანაც მომხდარა. ქვეყნიერებაზე არ არსებობს არც ერთი ერი, არც ერთი სახელმწიფო, სადაც ამის მსგავსი რევოლუცია არ მომხდარიყო. ქარიშხალი გადაივლის და ცხოვრება კვლავ კალაპოტში ჩადგება. ნუ ჩაიდენთ იმისთანა საქმეს, რომელიც თქვენ პირშავად გამოგიყვანთ თქვენს მეზობლებთან და შემდეგში, როცა ეს ამბავი დაშოშმინდება და თქვენ თქვენს სახლებში დაბრუნდებით, სირცხვილით თვალსაც-კი ვეღარ გაუსწორებთ მეზობლებსა. რისთვის გინდათ ეგ იარაღი? ვის საწინააღმდეგოდ მოგიგროვებიათ ეგ თოფები? ნუ თუ გლეხობისა? არ გაბედოთ! მიუყარეთ უკან ეგ თოფები მათ, ვინც თქვენ დაგირიგათ!"...

საინტერესოდ მიმაჩნია აქ მოვიყვანო ორიოდე ამონაწერი ილიას იმ წერილებიდან და იმ კითხვებზე, რომელნიც ეხლა მთელი ევროპის ჟურნალ-გაზეთებს აკერია პირზე. დავიწყოთ სოციალური კითხვებით.

სოციალდემოკრატების საწინააღმდეგოდ აღმართული ზომების შესახებ გერმანიაში იგი სწერდა 1886 წელს: „ბისმარკს... ვერც მოძლვრება სოციალიზმის შეუწყნარებია და ვერც უარუყვია. ვერ შეუწყნარებია იმიტომ, რომ დღევანდელს დღეს დაჰპატრონებია მარტო შეძლებული, სულ თავისაკენ მიუთლია, ზედ დამჯდარა და მაგრად ჩაუჭიდნია ხელი; წყობა დღევანდელი დღისა ე. წ. „ბურჟუათა" წყობაა. ეს მესამე წოდებად ცნობილი ნაწილი ერისა, რომელიც დღეს განაგებს თითქოს ყველგან... მოძრავის თავნისა და შეძლების პატრონების ნაწილი, საცა კი მიიხედავთ ყველგან ეგენი არიან... სულ ყველგან ობსავით მოკიდებულნი, და რაც საიდან გამორჩომაა — არავითარ შემთხვევას არა ჰკარგავენ, რომ არ გამორჩნენ"... სამუშაო დღის შემოკლებაზე და მუშის ქირის მომატებაზე ილია 1886 წელსვე სწერდა: „ეს თითქმის დიდსა და პატარას ენაზე აკერია დღეს **საფრანგეთში**, მაგრამ ამას ეურჩება დიდი უმრავლესობა ბურჟუაზიისა, რომელსაც მუშა-კაცის ყელის საბელის ზევიდამ გაშვება ზარალის მომასწავებლად მიაჩნიათ". არსებულ სოციალურ წყობილებაზე აი რასა სწერდა ილია 1898 წელს: „ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა და ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზედ წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასების წარსამატებლად.... ამ გზა-

1) ამ დღეებში ღრმა მოხუცებაში გარდაცვლილმა, დიდმა მასარიკმა, სწორედ ამნაირი ეტაპების გავლით მოიყვანა თავისი სამშობლო, ჩეხოსლოვაკია, სრულ დამოუკიდებლობამდე.

ზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქნიათ რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა **თვისდა პატივის მოსახსენებლად**“..

ილია ერთ დროს დაინტერესებული იყო ისპანიის ისტორიით. მის ლიტერატურასაც გაეცნო. ესპანელებისა და ქართველების ნათესაობასაც იტყოდა ხოლმე, თუ მას რამე სერიოზული სარჩული უდევსო. გამოსაცნობია ყველა ქართველ ტომებში უფრო რომელი ემსგავსება ამ ნიჭიერ და გამუდმებით მოძრავ ერსაო. როდესაც ბისმარკი ისპანიის კაროლინის კუნძულებს დაემუქრა, ილიამ დასწერა: „ბისმარკის ეს წადილი გულში ტკივილად ჩარჩა ისპანიასა, და იქნება ისე მთავრობას.არა, როგორც თვითონ ისპანიის თავმომწონე ერსაო“ თვით ისპანიაზე კი ამას ამბობს ილია: „ისპანია ყველაზედ ძლიერი სახელმწიფოა მეორე ხარისხოვანთა შორის და მისი მოუსვენარი შვილები რომ არა ჰრევდნენ მის შინაურ საქმეებს, არ აბრკოლებდენ საქმეთა მსვლელობას, აშკარაა, ერთი რამ იქნებოდა სხვათა შორის“-ო. როდესაც იაპონიამ თავის ყოველ დარგში გაევროპიელებით მთელი ქვეყნის ყარადღება მიიპყრო, ილიამ ასე იწინასწარმეტყველა: „იქნება იაპონიამ პირველი მესვეურობა გაუწიოს აზიას ევროპის ცივილიზაციის ზედმოქმედების ქვეშ წარსამატებლად და განთიადმა განათლებისამ თავისი სხივოსანი შუქი პირველ იქიდამ მოჰფინოს მთელს აზიასაცო.

---

ჩვენს ქართულს პრესაში ასეთ ახირებულ მსჯელობასაც შეხვდებით ილიას შესახებ: რა გაზვიადებული რამ არის ის რაღაც ხუთიოდე სიტყვა, ილიამ მოხევის რომ ათქმევინაო და საქართველოს დამოუკიდებლობაზე მას პირდაპირ არა დაუწერია რაო. პირდაპირ ამის დაწერას იმ დროში აბა რომელი ჭკუათმყოფელი ადამიანი მოსთხოვდა ვისმე და არა პირდაპირ კი ილიამ მრავალჯერ მოახერხა ფარულად ექადაგნა ეს. აი ერთი მაგალითი: 1890 წელს ილია სწერდა:

„ირლანდიის ერმა თავისი გულითადი წადილი ინგლისის ხელიდან თავის დახსნისა არ გაიქრო გულში... ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზედ ხელს არ აკვრევინებს, როგორც იმედ გადაწყვეტილს, სასოება დაკარგულს, არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრევ-მოსძრევს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი“....

როდესაც კერძოდ საქართველოზე ჩამოაგდებს სიტყვას ილია, იტყვის: „ ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამს სამეფოდ და 5 სამთავროდ“.. ერთიანი და განუყოფელი საქართველოს მღაღადებელი იგი განსაკუთრებულ სიხარულს გამოსთქვამს თავის შესანიშნავ სიტყვაში აჭარა-ქობულეთის შემოერთების გამო, იმ ბანკეტზე, რომელიც ჩვენი მოძმე ქართველი მუსულმანების დასწრებით მოხდა იმ დროს თბილისში. უდიდესი სიამოვნება გამოსთქვა იმ მოგზაურობის შესახებაც, რომლიც ჩვენმა დიდმა მგოსანმა აკაკიმ მოახდინა კახეთში. იქ აკაკი მიღებული იყო როგორც სიმბოლო ერთიანი საქართველოსი და აი ილია რას ამბობს იმ სიტყვაზე, რომელიც აკაკი წერეთელს კახეთში წარმოეთქვა: „ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედა“-ო. საქართველოს ერთმთლიანობის გამოსათქმელად თვით ილიამაც სთქვა სიტყვა სამეგრელოში, როდესაც იგი იქ მთავრის მიერ ნაანდერძევ ბიბლიოთეკის მისაღებად წავიდა. იმ მშვენიერ სიტყვაში არის ფრაზა, რომელიც შესანიშნავად გამოსთქვამს მოკლედ ჩვენი სამშობლოს ერთიანობის იდეას. ილიამ მიმართა სამეგრელოს: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახე“-ო!

„ქართული სკოლა დიდი რამ არის, რომ ჩვენი ფარხმალი დავსდოთ, მარტო მაგათ შევაჩერდეთ და მეტი არა ვინდომოთ რა. **სურვილი ჩვენი ზღვაა** და მაგ კოვზით ეგ ზღვა არ დაილევა“... რუსეთის ხელში ყოველივე უფლებას აყრილ საქართველოს ბედი ასე აღაპარაკებს ჩვენს ილიას: „უდიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვა და სხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოაწყონ შინაობაში სათითაოდ და მერე როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან... აქ უნდა შევწყვიტოთ ჩვენის ნებითვე სიტყვა, თორემ სხვანი შეგვაწყვეტინებენ“-ო... სწორედ ეს შეუძლებლობა თავისუფლად აზრის გამოთქმისა იყო მიზეზი, რომ ილიამ ყველაფერი ის ვერ გვითხრა, რის თქმაც სწადდა....

მაგრამ რაც დასწერა და როგორც მოღვაწეობდა ისიც ცხად ჰყოფს ამ დიდი ქართველის მსოფლმხედველობას, მისი მიმართულების გზას და ეს გეზი ყოველ დარგში — ეროვნულს, სოციალურს, თუ პოლიტიკურში, — იყო ფართო, პროგრესიული, მაშინდელის გამოთქმით, — ლიბერალური, და არსებითად, დემოკრატიული და რადიკალური. დღიდან მისი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლისა ილია, უხვად აღჭურვილი დიდის კულტურით და მაღალის მორალით, ერთიანია და უდრეკი, უცვლელი და ურყევი თვით სიკვდილამდე. ამნაირი ადამიანი დაკარგა საქართველომ სწორედ იმ ისტორიულ გარდატეხის ხანაში, როდესაც ჩვენს სამშობლოს იმისი ხელმძღვანელობა ყველაზედ უფრო მეტად ესაჭიროებოდა...

---

დიდხანს აღარ დავრჩენილვარ ქართული ენის ცენზორად. ბათუმის ქართულ საზოგადოებრივ წრეებიდან მომივიდა წინადადება ბათუმში გადავსულიყავი და იქ კენჭი მეყარა ბათუმის თვითმართველობის გამგეობის წევრობაზე. თან ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის წერილი მომივიდა, სადაც იგიც მავალებდა ბათუმში გადასვლას. მალე ორი ჩემი მეგობარიც ჩამოვიდა ბათუმიდან. მათაც ჰქონდათ დაკისრებული ამ საგანზე ჩემთან მოლაპარაკება. თქმა არ უნდა, რომ მე უყოყმანოდ დავეთანხმე; თვითმართველობაში მუშაობა მიზიდავდა და ცენზორობის მიტოვება „დეზერტირობათაც“ არ ჩამეთვლებოდა, რადგან კვლავ ქართული საქმისათვის მიბარებდენ ბათუმში. ამ ქალაქში გადასვლის შემდეგ, სადაც სრული ათი წელიწადი დავრჩი, თითქმის სრულიად მოვსწყდი თბილისის ამბებს. გაიარა ბევრმა წელმა, რომ დიდ ილიას აღარსად შევხვედრივარ. მხოლოდ თბილისში, ერთი მივლინების დროს, სადღაც მოვკარი ყური, რომ მეფის ნაცვალი გრ. ვორონცოვ-დაშკოვი პეტერბურგში გზავნის რაღაც საგანგებოდ მისგან შედგენილ კავკასიის ერების დელეგაციას, რათა ამ დელეგაციას მოეთხოვა პეტერბ. სადაც ჯერ იყო, რომ მომავალ რუსეთის პარლამენტში, „სახელმწიფო დუმა“-ში, კავკასიასაც მისცემოდა უფლება საკუთარი დეპუტატების არჩევისა. იმ ხანებში „ბულიგინის კონსტიტუციის“ გარშემო ხდებოდა ცხარე თათბირები და პეტერბურგის მაღალ წრეებში თურმე გადაწყვეტილი ჰქონდათ კავკასიისათვის არ მიეცათ უფლება საკუთარი დეპუტატების ყოლისა. აი ამ დელეგაციაში ქართველების მხრივ მეფისნაცვალს დაენიშნა ჩვენი ორი დიდი მოღვაწე: ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე. ილია თურმე დიდხანს არ თანხმდებოდა დელეგაციაში მონაწილეობაზე და უარს ამბობდა იმ საბუთით, რომ ეს დეპუტაცია თვით კავკასიის მოსახლეობამ უნდა აირჩიოს და არა ადმინისტრაციამაო. ბოლოს, ილია, როგორც იყო, დაითანხმეს, მაგრამ მან გრ. ვორონცოვს ერთი პირობა მაინც დაუსვა: ქართველებს ერთი დელეგატი კიდევ უნდა მისცემოდა და ამ მესამეს თვით იგი, ილია აირჩევდა. მეფისნაცვალმა ამაზე სრული თანხმობა გამოუცხადა.

დღესაც არ ვიცი რატომ, ვისი რჩევით, ან რომელი საზოგადოებრივი ინსტანციის მონაწილეობით, ქართველების მხრივ ეს მესამე დელეგატობა მე დამეკისრა. ილიას გაეგო ჩემი იმ ხანებში თბილისში ყოფნა, დამიბარა თვისთან, და გამომიცხადა, რომ მე უნდა წავყოლოდი მას პეტერბურგში; თანაც ამიხსნა, რისთვის. „როგორც მიბრძანებთ: გიახლებით, მეთქი“, მოკლედ მოვახსენე ილიას ჩემი თანხმობა და ამ ლაპარაკის მესამე დღის შემდეგ ჩვენ ორივე უკვე იმ მატარებელში ვისხედით, რომელმაც პეტერბურგისაკენ წაგვიყვანა.

მახსოვს, ილიას გამოსაცილებლად სადგურის ბაქანზე
თორმეტიოდე მისი პატივისმცემელი იყო თავმოყრილი.
მატარებელი რომ დაიძრა, შემომესმა ბაქანიდან აღელ-
ვებულის კილოთი ჩემდამი მომართული დავალება: —
„იცოდე ჩვენს წინაშე პასუხისმგებელი შენა ხარ: რო-
გორც ჯანსაღად ჩაგაბარეთ ჩვენი ილია, ეგრეთვე უნდა
ჩამოგვიყვანო"-ო! ეს იყო იაკობ ისარლიშვილი, ვგონებ,
ილიას სტუდენტობის დროის ამხანაგი. ასაღელვებელი
მიზეზი კი ჰქონდა ისარლიშვილს: მთელს რუსეთში რე-
აქციის ტალღა აღვირაწყვეტილად მძვინვარებდა. რევო-
ლუციური ძალები არასფერს აღარ ეპუებოდნენ და გა-
ფიცვებით თუ ტერორით უპასუხებდნენ მთავრობის სას-
ტიკ ზომებს. ის მატარებელიც, რომელსაც ჩვენ მივყავ-
დით, უკანასკნელი გამოდგა: პეტერბურგში რომ მივე-
დით, დაიწყო რკინისგზების საერთო გაფიცვა.

ილიამ მოისურვა, რომ ჩვენს სასტუმროში ერთს ნო-
მერში დამდგარვიყავით. არ ვინ იცოდა, რამდენი ხანი
დავრჩებოდით პეტერბურგში, ან როდის შევსძლებდით
რკინისგზებზე კვლავ მოგზაურობას. საჭირო გახდა სას-
ტიკი ეკონომია გაგვეწია, რომ ფული არ შემოგვკლებო-
და და უცხო მხარეს საძებნელი არ გაგვხდომოდა. პურის
ჭამაც ერთად გვქონდა და მისვლა-მოსვლაც ხომ საერ-
თო იყო. ყველა გაწეულ ხარჯს მე ვიწერდი და დრო-
გამოშვებით ანგარიშს ვარდგენდი, ყველა ხარჯს სანა-
ხევროდ ვისტუმრებდით. დროებით ჩემი ხვედრი ვალად
მეწერებოდა, რადგან თბილისში ფულის მიღება ვერ მო-
ვასწარი. თითქო ორი სტუდენტი დასახლდაო, ისე ვიყა-
ვით. ილიას, ეტყობოდა, მართლაც თავის სტუდენტო-
ბის ხანა აგონდებოდა, ყველაფერში ანგარიშით იქცეო-
და. სულ პირველად სატახტო ქალაქის წიგნისმაღაზიე-
ბი დაიარა, სადაც სქელყანიანი წიგნები შეიძინა, იური-
დიული (პროფესორების ლექციებიც კი), ფილოსოფიუ-
რი, ეკონომიური. ჩაუჯდა იმ წიგნებს და მთელ დღეებს
როცა არ ვიყავით წასასვლელი, კითხულობდა; ვატყობ-
დი კითხვის დიდ ხალისს. ხშირად წაკითხულ ადგილებს,
რაც მოეწონებოდა და ღირსშესამჩნევად მიიჩნევდა, თა-
ვის უბის წიგნში იწერდა. ერთხელ ისე იყო კითხვით გა-
რთული, რომ მთხოვა: „რაკი სახლიდან გადიხართ, შვე-
იცარს უთხარით, თუ მე მიკითხოს ვინმემ, — შინ არა
ვარ". მე არ დავეთანხმე მისი ბრძანების გადაცემაზე: —
თქვე დალოცვილო, ეგ თქვენი თბილისის ადათი აქ მაინც
მოიშორეთ! რაღაც ორიოდე დღითა ვართ ჩამოსული,
რა ბევრი ნაცნობი ჩვენა გვყავს აქა, რომ შეგაწუხონ!
მოვა ვინმე ისეთი, რომლის უნახაობა თქვენვე დაგნან-
დებათ- მეთქი. — ჩაიცინა და კარგიო, მითხრა ილიამ:
„იყოს ნება თქვენი, მაგრამ იძულებული ვიქნებით ამ
ხალათის მაგიერ სერთუკი ჩავიცვა"-ო. მე მაინც არ ვუ-
ყავი და ვაიძულე „ფორმა" გამოეცვალა.

ჯერ კიდევ თბილისიდან რომ მოვდიოდით, აქ ერთმა
ჩემმა ნაცნობმა მითხრა: — მებრალები, გიორგი, ამბო-
ბენ ილიას ერთობ მძიმე ხასიათი აქვსო და გაგიმწარებს
დღეებსაო... ეს სრული ტყუილი გამოდგა. მთელი ერთი
თვე ერთად ვცხოვრობდით, ჩვენი საწოლები გვერდით
იდგა, დილით ჩაი და სადამოთი ვახშამიც ჩვენს ოთახში
ერთად გვქონდა. რესტორანებშიაც ერთად დავდიოდით
და არა ყოფილა შემთხვევა, რომ რითიმე ეგრძნობინები-
ნა ილიას ან თავისი უფროსობა, ან დაეჟინა და ჩემთან
შეუთანხმებლად გადაეწყვიტა რაიმე, რაც ორთავეს შე-
ეხებოდა. იმის ნებასაც კი არ მომცემდა ან სკამი შე-
მეთავაზებინა, ან უკეთესი ნაჭერი დამეთმო და სხვა....
არც რითიმე შეუბღალავს ჩემი დამოუკიდებლობა და
თავისუფლება. ვიმეორებ, კაცს ეგონებოდა ერთი კურ-
სის სტუდენტები ერთად დამდგარან, საერთო ბინაზეო.

პეტერბურგში დიდი ყინვა იდგა და სხდომაზე ან ვი-
ზიტებზე რომ მივდიოდით, თბილად ვიცვამდით. ილიას
თავისი, შემდეგში საარაკოდ გამხდარი ქურქი ესხა, შიგ-
ნით აქა-იქ ძალიან გაცვენილი და გარედან კი გახეხილი
მაუდით. ძალიან საშუალო ღირსების ქურქი უნდა ყო-
ფილიყო ჯერ ახლობის დროსაც. სამაგიეროდ მე მესხა
დიდებული, ძვირფასი ბეწვით შემოვლებული „ნიკო-
ლაევსკი" შინელი.... თბილიც იყო და გარეგანი შეხედუ-
ლებითაც დიდებული რამ! ის გენერლის შინელი ჩემს
სიმამრს გამოვართვი, რადგან თბილი პალტო არა მქონ-
და: აბა ბათუმში მცხოვრებს რაში მეჭირვებოდა!
პეტერბურგის ქუჩებში მარხილებით რომ მივსრიალებ-
პეტერბურგის ქუჩებში მარხილებით რომ მივსრიალებ-
დით ხოლმე, ყოველ სამხედრო ნაწილების შეხვედრაზე
ატყდებოდა ერთი ამბავი და განგაში. სულ „სმირნო"-ს
ძახილით და იარაღის საპატიო მომარჯვებით გვხვდებო-
დენ და გვაცილებდენ. ერთხელ ილიამ ჩაცინვით მითხ-
რა: „გიორგი, ეს ამოდენა პატივისცემა სულ თქვენის
სიმამრის შუბის წყალობით მოგვდის"-ო! მართლაც, სა-
მხედრო ნაწილების და „გოროდოვების" შიშით ქუჩაში
ვერ გამევლო თავისუფლად: სულ ყველა „ჩესტს" მიკე-
თებდა... რაკი ილიას მეტწილად შინ ჯდომა უყვარდა,
ერთხელ თვითონ შემომთავაზა თავისი გახუნებული ქურ-
ქი, ეგ ჩაიცვი ხოლმე და მაგითი იარეთო! მეც ხშირად
სწორედ ასეც ვიქცეოდი. ავიღებდი თავსა და ვუვლიდი
გარს „გოსტინი დვორის" დახურულს ბაზარს. ამ დროს
ილია თავის ნომერში ან კითხულობდა, ან ალბათ ამზა-
დებდა იმ სიტყვას, რომელიც მას უნდა წარმოეთქვა იმ
კრებულში, რომელსაც ოფიციალურად ეწოდებოდა: —
„უმაღლესი ბრძანებით დაარსებული გრაფ სოლსკის კო-
მისია". — მანამ იმ უმაღლესი კომისიის სხდომები და-
იწყებოდა, მეტწილად, ჩვენ შინ ვისხედით ხოლმე. აი
ამ დროს დაგვემართა ერთი სასაცილო ამბავი, რომლის
მიზეზი პროვინციალობა და პეტერბურგელ „თავისებუ-
რი ატმოსფეროს" უცოდინარობა იყო. ერთ დღეს ნომ-
რის კარი ვიღაცამ დაგვიკაკუნა. ვნახოთ, შემოდის ერ-
თი უცნობი, პატარა შავწვერა ახალგაზრდა, ცხვირზე
პენსნეთი, და ხელში რაღაც რვეულით. გამოგვიცხადა,
რომ იგი საგანგებოდ არის გამოგზავნილიერთი ენციკ-
ლოპედიური გამოცემის რედაქციის მიერ, რათა ჩვენი
გვარებიც იყოს იქ აღბეჭდილი. და მიმართა ილიას: —
თქვენ, ვგონებ, თავადი ჭავჭავაძე ბრძანდებით და
გთხოვთ თქვენი ბიოგრაფიული და მოღვაწეობის მასა-
ლა მომაწოდოთ, რომ გამომცემელს მივაწოდო. სთქვა
ესა, გაშალა რვეული და მოიმარჯვა ფანქარი. ილიამ
უთხრა: მე სათქმელი არაფერი მაქვს და რატომ შეწუ-
ხებულხართო! უცნობი „ლიტერატორი" არა სცხრებო-
და და არ ეშვებოდა ილიას. ამ უკანასკნელის მიუკარებ-
ლობა მე ძალზე მაღელვებდა, რადგან დაუშვებლად მი-
მაჩნდა, რომ იმ ენციკლოპედიაში, სადაც იმოდენა გა-
მოჩენილი ხალხის სახელები იქნებოდა, ილიაც არ ყოფი-
ლიყო აღნიშნული. ავდექი და მე დავუწყე იმ ადამიანს
ილიას შესახებ საჭირო ცნობის მიწოდება. კარგა ხანს
ველაპარაკე, ვღელავდი, გატაცებით გადავშალე ილიას
საქართველოს წინაშე დიდი დამსახურების სია... ის ყმა-
წვილი ყველაფერს იწერდა, ილია კი განზე იჯდა და იქი-
დან გაკვირვებით, თითქო მისთვის უცნობი ახალ-ახალი
ამბების მოსმენით, ჩუმად გულს იოთობდა, თანაც თავს
როგორღაც უხეშად გრძნობდა. როცა ჩემი სიტყვა გავა-
თავე და ილიას აწითლებულ სახეს შევხედე, მეც ვიგრ-
ძენი ერთგვარი უხერხულობა, რომ ცოცხალი ადამიანის
წინაშე მისი ნეკროლოგის მსგავსი რაღაც გამოვიყვანე
იმ ჩემი ნაკარნახევით. როცა ეს მოვათავე, ახლა ის „ლი-
ტერატორი" მე ჩამაცივდა, თქვენს შესახებაც მომეცით
ცნობებიო. მე, რასაკვირველია, ჩემზედ არა მითქვამს რა
და იმითი მოვიშორე თავიდან, რომ ვუთხარი, მე თავად
ჭავჭავაძის მდივანი ვარ-მეთქი და ენციკლოპედიურ გა-
მოცემისათვის სათქვენოც არა მაქვს რა-თქო. როგორც
იყო თავიდან მოვიშორეთ ის ადამიანი. საღამოზე ეს ამ-
ბავი ნიკო ნიკოლაძეს ვუამბეთ და მე დავეკითხე მას,
თუ მანაც ნახა ენციკლოპედიის თანამშრომელი. ამის
გაგონებაზე მორთო ნიკომ ერთი სიცილი. ეგ რა გიქ-
ნიათ, ოთახში როგორ შემოუშვით ის შეჩვენებულიო!
ეგი ენციკლოპედიამ კი არა, „ოხრანკამ" შემოგიგზავ-
ნათ რომ თქვენგან გაეგო ვინცა ბრძანდებოდით! ჩემთან
რომ მოსულიყო, ახლოსაც არ გავიკარებდიო! ნიკოლაძე
მართალი გამოდგა: არავითარი ენციკლოპედია არ გამო-
ცემულა და ჩემის გამოუცდელობით „ოხრანკის" აგენტს
ბევრი რამ ისეთი შევატყობინე, რომ თუ რევოლუციას
არ მოესწრო, ილიას, მგონი, იაფად არ დაუჯდებოდა...

„უმაღლეს კომისიაში“ დანიშნულს ვადაზე მიგვიწვიეს დანიშნულს ვადაზე კავკასიიდან ჩამოსულები, ყველა დელეგატი. ის კრება მხოლოდ ერთხელ მოხდა „მარინსკის სასახლეში“, სადაც მოთავსებული იყო სახელმწიფო საბჭო. კრებას თავჯდომარობდა დიდი, ძველი მოხელე, გრაფი სოლსკი, წევრებად კი იყვნენ ყველა მინისტრი: ვიტე, დურნოვო და სხვები და აგრეთვე ათიოდე სახელმწიფოს საბჭოს წევრი, — სულ დიდი ბობოლები. ამათ გარდა იყვნენ კიდევ მეორე ჯგუფის წევრნიც; ისინიც დიდი მოხელენი. თუ პირველი ჯგუფი, როგორც პრეზიდიუმი, ერთ ამაღლებულ ადგილზე ისხდენ, ეს მეორენი დაბლა, პარტერში იყვნენ, სავარძლებში, რომელნიც წყობით და რიგებით იდგენ, როგორც თეატრში. მათ უკან, კედლის გასწრივ, პრეზიდიუმის პირდაპირ, იდგა ერთი გრძელი, მუქი მაუდით დაფენილი მაგიდა. მას ეწოდებოდა „კორესპონდენტების“ მაგიდა და კავკასიის დელეგატები იქ ჩამოგვამწკრივეს „ჩინისა და ხარისხის“ მიხედვით. მე სულ ბოლოში მერგო ალაგი; ჩემს გვერდით ილია იყო, იმაზე ზევით ნ. ნიკოლაძე. ამნაირად, ქართველები ერთი მეორეს მივსდევდით. თავჯდომარე კავკასიელ დელეგატებს სიით გამოუძახებდა ხოლმე. აქაც ვისაც დიდი რამ ხარისხი ჰქონდა, ჯერ იმათ იწვევდა. ბოლოს ჯერი ჩვენ ილიამდეც მივიდა. იგი თავისი ჩვეულებრივის, აუჩქარებელი ნაბიჯით მიუახლოვდა პრეზიდიუმის მაგიდას; მან თითქო შორიდანვე დაიწყო მის წინ ჩამომწკრივებული ხალხის მუშტრის თვალით ათვალიერებ-ჩამოთვალიერება; გეგონებოდათ, შუა წრეში მოქცეული მოჭიდავე თვალებით დაეძებს, აბა ვის უნდა შევეჭიდოვო... ილია წინ ბარემ ექვსმა კაცმა ილაპარაკა. ისინი თავაზიანად და მოკრძალებით იძლეოდენ პასუხს იმ შეკითხვებზე, რომელსაც მათ გრაფი სოლსკი უსვამდა. პრეზიდიუმის სხვა წევრებიც სვამდენ კითხვებსა. მათ უმთავრესად აინტერესებდათ გაეგოთ, ვინ ახდენდა კავკასიაში რევოლუციას და როგორი მსვლელობა ჰქონდა მას.

ილიამ, ეტყობა, სულ სხვანაირად შეამზადა თავისი სიტყვა და არ აპირებდა ცალკე შეკითხვებზე პასუხის მიცემას. თავის სიტყვაში მან ცხადათ აგრძნობინა მის წინ მსხდომარე რუსეთის უზენაეს მმართველებს, რომ იგი კავკასიის მთავრობის მრჩეველ აგენტად ან მოწყალების გამოსათხოვნად კი არ ჩამოსულა თავის ქვეყნიდან, არამედ გამოდის, როგორც ბრალმდებელი უმწეო მდგომარეობის დასასურათებლად, რომელშიაც აგერ ას წელიწადზე მეტია, იმყოფება კავკასიის სხვა ერებთან ერთად, ქართველი ხალხიც. თავისი, მართლაც, საბრალმდებელო სიტყვა ილიას შეედგინა მწყობრად, ქრონოლოგიურს წესზე, ჩამოთვლით იმ რეფორმებისა და სხვა ზომების სიის აღნუსხვით, რომლის შემოღება რუსეთის მთავრობას შიდა გუბერნიებისათვის გამოემეტა და კავკასიის მხარე-კი სულ მუდამ მივიწყებული ჰყავდა. ამას კარგად ხედავსო კავკასიის მოსახლეობა. ასეთი იყო შესავალი ილიას სიტყვისა. შემდეგ ორატორი მოჰყვა ამ დებულების საილიუსტრაციოდ ფაქტების გადმოლაგებას. თანდათან იშლებოდა უმწეო სურათი, რომელშიაც ჩვენი მხარე იმყოფებოდა. ილია თანდათანობით როლში შედიოდა, მაგრამ აქ თავჯდომარემ, ეტყობა, ველარ აიტანა მისი ოპოზიციური ტონი, სრულიად უცნობი სახელმწიფო საბჭოს პრაქტიკაში და, უცბად, შეაწყვეტინა ორატორს სიტყვა.: „ ჩვენ ეგეები არ გვაინტერესებს, შენიშნა მოხელემ, ჩვენ გვსურს ვიცოდეთ თქვენი აზრი ამის შესახებ: განა შესაძლებელია კავკასიას დაერთოს ნება დეპუტატების არჩევისა, როდესაც იქ საშინელი რევოლუციური ამბოხება ხდება“-ო?... ილია აშკარად მიხვდა, რომ მას აღარ მისცემენ სიტყვის გაგრძელების საშუალებას. მე ვიგრძენი, რომ იგი გულმოსულიც იქნებოდა, რაკი ბოლომდე არ მოუსმინეს და აი რა სურათი ვნახე: — ილიამ, რიხიანად, მარჯვენა ხელის სერთუკის უბეში ამოდებით და მარცხენის ძირს ჩაქნევით (ასე იცოდა მან, როცა გაცხარდებოდა) ეს სიტყვები აჰალა პირში იქ მყოფ სრულიად რუსეთის მბრძანებლებსა და მმართველთ: —

„როგორ თუ განა შეიძლებაო? შეიძლება კი არამედ აუცილებლად და დაუყონებლივ უნდა იყოს გავრცელებული კავკასიის მხარეზედაც ეგ რეფორმა და ჩვენც უნდა მოგვეცეს უფლება ჩვენი დეპუტატების არჩევისა. და თუ ასე არ მოხდა, მე ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ გამოგიცხადოთ, რომ ახალ შეურაცხყოფას ველარ მოითმენს ჩვენი ხალხი, და თქვენ იძულებული იქნებით ზღვა სისხლი დაღვაროთ თქვენი სოლდათებისა აღშფოთებულ კავკასიის მოსახლეობასთან შებრძოლებაში“-ო. სთქვა ილიამ ეს, ოდნავ თავი დაუკრა თავჯდომარეს და იმავე აუჩქარებელის და მტკიცე ნაბიჯით მობრუნდა თავის ადგილას. მე აღტაცებული ვიყავი ილიას ღირსეული და გაბედული გამოსვლით, მზად ვიყავი გადავხვეოდი.... ამით არ გათავდა ის სხდომა. თავის ხელობაში კარგად გამოცდილმა თავჯდომარემ მოისურვა ერთგვარი დივერსიის მოხდენა და ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილ მძიმე შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად დააპირა რომელიმე კავკასიელის შეცდენა-გაბრიყვება, რომ ჩვენისავე წრიდან მოესმინა ილიას სიტყვების გაბათილება. მე ზიზმა ამიტანა. ნუ თუ, გავიფიქრე, ვინმე იკისრებს ამისთანა უკადრის საქციელს?! თავჯდომარემ მოგვმართა დელეგაციას და მოთმინებით უცდიდა, ვინ მოითხოვდა სიტყვას. ყოყმანი აღარ შეიძლებოდა. გრაფ სოლსკის წადილის გაცრუება უნდა საჩქაროდ მომხდარიყო, რომ, მართლაც, კავკასიელების მხრივ შეცდომა არავის დაეშვა. თითქო ვიღაცამ კისერში მკრაო; უცბად წამოვდექი და სიტყვა მოვითხოვე.

ჩემის წარმოდგენით, ილიას სწორედ იქ შეაწყვეტინეს სიტყვა, სადაც მას ერთი დიდი ბრალდება კიდევ უნდა ეთქვა და იმის თქმას-კი, ჩემად, აუცილებლად ვსთვლიდი. ვგრძნობდი, რომ მეც შემაწყვეტინებენ სიტყვას, თუ ცოტა სხვა ფორმა არ მივეცი იმ დებულების წარდგენას. სულ არ გაუვლია რამოდენიმე წუთს, რაც მე ამ ფიქრებში ვიყავი და, უცებ, თავჯდომარის წინ გავჩნდი. აი რისი თქმა მოვახერხე: „აქ ჩვენ გვეკითხებიან, განა შეიძლება მომავალ საკანონმდებლო დაწესებულებაში არჩევნების მოხდენა, მანამ ძირიანად არ იქნებიან აღმოფხვრილნი ის საagიტაციო ძალები, რომელნიც კავკასიაში რევოლუციურ გამოსვლებს ახდენენო? და მართლაც, ეს ძალები უნდა აღიგავოს დედამიწის ზურგიდან; მაგრამ ამისათვის-კი, სულ პირველად, დანამდვილებით უნდა გავეცნოთ: ვინ არიან და სად არიან ის ძალები, რომელნიც შფოთსა და მღელვარებას სთესენ ჩვენს მოსახლეობაში. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რა უკიდურეს მიწის სივიწროვეს განიცდის ქართველი გლეხი, რა მჭიდროდ არის დასახლებული ჩვენი მხარე, თუ სახეში მივიღებთ მხოლოდ იმ მიწების სივრცეს, რომელიც მეურნეობისათვის გამოსადეგია. ჩვენში მრავლად არიან ადგილები, სადაც გლეხი, მიწის დამუშავების დროს, თავის ტანს წნელით ან თოკით მიაბამს ხოლმე რომელიმე ბუჩქს ან კლდოვან ალაგს, რომ ფეხი არ დაუსხლტეს და უფსკრულში არ გადაიჩეხოს. რაჭის მაზრაში მიწის ფასი იმ ზომამდეა აწეული, რომ ერთი ქცევა 1200 მანათამდე და მეტადაც ღირს“. აქ თავჯდომარემ შემაყენა და დამეკითხვა: განა ისეთ დიდ მოსავალს იძლევა იქაური მიწა, რომ ეგეთი ფასები ყოფილაო? ქცევა რას უდრისო? იქ დამსწრე ბარონ ნოლდემ (ეს გრ. ვორონცოვის წარმომადგენელი იყო პეტერბურგის უწყებებში) დამასწრო და მოახსენა კომისიას: ქცევა 900 კვ. საჟენი არისო! — მე განვაგრძე ჩემი სიტყვა და გრ. სოლსკის გაკვირვებაზე ვსთქვი: — ეგ დიდი ფასები, რასაკვირველია, არ არის გამომხატველი მიწების ნამდვილი შემოსავლისა, რომელიც ძალიან დაბალია. ეგ ფასები სწორედ იმისი მოქმედია, რომ საქართველოს მოსახლეობა უკიდურეს მიწის სივიწროვეს განიცდის და ყოველი ქართველი მონატრულია ერთი პატარა ფეხის დასაბჯენი ადგილი მაინც მოიპოვოს თავის სამშობლოში და არავითარი ფასის წინ არ დადგება, თუ ფული იშოვა სხვაგან სამუშაოზე. და აი როდესაც ასეთი უმწეო მდგომარეობაა ჩვენში, რას ხედავს ჩვენი გლეხი? მას, რომ მთავრობა, სადაც-კი თვალს მოჰკრავს, რომ იმის განკარგულებაში თავისუფალი მიწა გაჩნდა, ამ მიწას ადგილობრივ. გაჭირვებულ

გლეხს კი არ აძლევს, არამედ სხვა ადგილებიდან და ქვეყნებიდან მოჰყავს ხალხი: ბერძნები, „ნემცები“, სომხები და რუსები და მათ ანიჭებს ამ თავისუფალ მიწებ... ჩვენში წარმოშობილი რევოლუციის ერთი მიზეზთაგანი აი ეს არის. სხვა და სხვა ერებით ისედაც აჭრელებულ პატარა ტერიტორიას უფრო მეტად აჭრელებენ შორი ქვეყნებიდან გადმოსახლებულებით და მით უმიწოდ დარჩენილ გლეხს უფრო მეტად ურთულებენ მდგომარეობას. აი სად არის მთავარი სააგიტაციოდ დარაზმული ძალები და ის მთავარი აგიტატორები, რომელნიც უნდა ალმოიფხვრან“. სწორედ უნდა ითქვას, რომ არ ვიცოდი, სად სჯობდა სიტყვა დამესრულებინა, მაგრამ ჩემდა ბედზე, მთავრობის თავჯდომარე გრაფმა ვიტტემ შემაჩერა და მკვახედ შემეკითხა: „უფალო ქურული, სად არის ის თავისუფალი მიწები, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ?“ „ეს ის მიწებია“, მივუგე მე, „რომელთაც რუსეთიდან გადმოსახლებულთ მიეცათ და რომელნიც ეხლა დაცარიელებულია, რადგან ნაწილობრივ რუსის გლეხების სასაფლაოდ არის გადაქცეული და ვინც ცოცხალი დარჩა, მას იქ აღარ დაედგომება, რადგან რუსის მცხოვრები ვერ იტანს ჭაობიან ადგილებში ცხოვრებას. ეს მიწები კი აყვავებულ და დამუშავებულ ადგილებად გადაიქცეოდა ქართველ გლეხებისათვის რომ მიეკუთვნა მთავრობას“.

რაკი სალაპარაკოდ გამიხდა საქმე, ახლა სხვა ხასიათის საკითხზედაც გადავედი. საქმე იმაშია, რომ კავკასიის მთავრობის პროექტით ჩვენში დეპუტატების არჩევა ისე უნდა მომხდარიყო, რომ ქართველი კანდიდატი არ გასულიყო იმ ადგილებში, რომელიც მთავრობისათვის საშიშროებას წარმოადგენდა. ასეთ ადგილად, სულ პირველად, ითვლებოდა ქალაქი ბათუმი, სადაც რევოლუციური მოძრაობა სდუღდა და გადასდუღდა, და, ნაწილობრივ, სოხუმის ოლქიც. ამიტომ მთავრობამ განიზრახა ეს ოლქები გაეთქვიფა უფრო კეთილსაიმედო ერთეულებში. ასეთები იყვნენ მთავრობის თვალში შავი ზღვის გუბერნია, ქალაქ ნოვოროსიისკით და ყარსის ოლქი. პროექტში ეს ოთხი, სულ სხვა და სხვა ხასიათის ადგილები გაეერთიანებინათ და მით ერთი საარჩევნო კურია გამოეყოთ: ერთი დეპუტატის არჩევაც ქალაქ ნოვოროსიისკში უნდა მომხდარიყო. მე აუცილებლად დავინახე კავკასიის მთავრობის პლანის ჩაფუშვის საჭიროება, და, როგორც ქ. ბათუმის წარმომადგენელისათვის, ჩემთვის სავალდებულოც. აი ამის ირგვლივ ავაწყვე ჩემი სიტყვა.

დასრულდა სოლსკის კომისიის მუშაობა. კავკასიას მიეცა უფლება თავისი დეპუტატების არჩევისა და ჩერნომორსკის გუბერნიაც ჩამოგვაშორეს ბათუმელებს. ჩვენი მხარის უფლებების დაცვა და საქმის სასურველად მოთავება მთელი კავკასიის დელეგატების დამსახურება იყო და აქ უნდა ვსთქვათ, თავისი დიდი როლი ითამაშა იმ მუქარამ, რომლითაც ჩვენმა დიდმა ილიამ მიმართა რუსეთის დიდ ბობოლა მმართველებს.

ზემოდ გაკვრით მოვიხსენიე, რა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე კომისიაში ილიას თამამმა გამოსვლამ. უფრო მოუდრეკელ მებრძოლად მეჩვენა ჩვენი დიდი მოღვაწე კრების მეორე დღეს, სასტუმროში, ჩვენს ბინაზე და აი რატომ.

სოლსკის გუბერნიის ყრილობას დაესწრო მეოთხე ქართველიც, თბილისის გუბერნიის მარშალი დავით მელიქიშვილი. იგი არ იყო დელეგაციის წევრი, მაგრამ მაინც დაესწრო არა ოფიციალურად, ასე ვსთქვათ, როგორც მეთვალყურე. ბ. მელიქიშვილი განსაკუთრებული ნდობით იყო აღჭურვილი გრაფ ვიტტეს მიერ, რომელთანაც დახლოვებული ნაცნობობაცა ჰქონდა. ბევრნაირად იყო საინტერესო მელიქიშვილის პიროვნება. იგი დაბადებით ეკუთვნოდა ქართულ არისტოკრატიულ წრეს, რწმენით [illegible]ამოლიბული მომხრე იყო რუსეთის დინასტიისა და ამავე დროს - კი გულით — ქართველი. ამ ორი შეუთანხმებელი გრძნობის გამო იყო, რომ მეორე ქართველ-აფხაზმა არისტოკრატმა, ყოფილმა თბილისის გუბერნატორმა, შერვაშიძემ, რომელსაც არც აფხაზისა და არც ქართველისა აღარა ეცხო რა, ასე იოხუნჯა თურმე თბილისის სალონებში: — თქვენ ნახავთ, დავით მელიქოვი უთუოდ გაანთავისუფლებს საქართველოსა, მაგრამ ისე კი, რომ ამით არც ერთი მუხლი რუსეთის ძირითადი კანონებისა არ იქნება დარღვეულიო...— უნდა ითქვას, რომ დავით მელიქიშვილი უთუოდ დიდი კულტურით აღჭურვილი ადამიანი იყო. მან ბრწყინვალედ დაასრულა სამოცდაათიან წლების მიწურულში პეტერბურგის უნივერსიტეტი, იურიდიულ ფაკულტეტზე საპროფესოროდაც კი უპირებდენ მას დატოვებას, მაგრამ პროფესორის მაგიერ, თანახმად გვარის ტრადიციისა და ბიძის, ლევან მელიქიშვილის, სურვილისა იგი მოულოდნელად ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში შევიდა მოხალისე ჯარისკაცად. რუსის სამსახურში დიდი კარიერის გაკეთების საშუალება ეშლებოდა წინ, მაგრამ რუსები მაინც ალმაცერად უყურებდენ მას და არ სჯეროდათ მისი ას პროცენტად გარუსება და ამიტომ მათ სამსახურში შორს ვერ წავიდა; მიუხედავად ამისა, რომ ცოლებით ნათესავნიც იყვნენ, ილია და დავითი ძალიანაც არა სწყალობდენ ერთმანეთსა. ეს გასაგებიც არის, რადგან ილია რუსეთის საკითხში არასფერში არ ეთანხმებოდა მელიქიშვილს....

აი ეს დავით მელიქიშვილი მოვიდა ჩვენს სასტუმროში ილიას სანახავად და თავისი აღშფოთების გამოსათქმელად. ილიას მიმართა მან: — „გუშინ რუსეთს რომ ემუქრებოდი ჯარს გაგიწყვეტო, ერთი მიბრძანეთ, რის და ვისი იმედით ბრძანებდით ამას“? — ილიამ ამაზე შესძახა: —

„ეგ იმედი, სულ პირველად, ჩვენი ერია! ნუ იფიქრებ, რომ ცოტანი ვართ და ამიტომ რიცხვით ძლიერთ ვერ გავუმკლავდებით. თქვენ არ იცით, რა ძალაა აღშფოთებული და აჯანყებული, ქუდზედ კაცად გამოსული ხალხი! თქვენ არც ჩვენი ქვეყნის თავისებურებას და რელიეფს აქცევთ ყურადღებას. ჩვენს კლდეებსა და ქვის ლოდებს უკან ჩასაფრებული აჯანყებულთა პატარა გუნდებიც კი სულ თითო-თითოდ ამოსწყვეტენ თქვენი რუსების პოლკსა. აი რით ვემუქრებით ნამეტნავად გათამამებულ რუსის მმართველობას“-ო....

ასე აღელვებით, ცეცხლით და გადაჭრით მოუჭრა ილიამ მელიქიშვილს სიტყვა. ვუსმენდი მღელვარებით მოლაპარაკე ილიას, რომელსაც სრულის რწმენით სჯეროდა, რომ მისგან დასახული სტრატეგიით და ტაქტიკით ჩვენი აჯანყებული ხალხი უსათუოდ გაიმარჯვებდა რუსებთან შებრძოლებაში და იქ, ჩემ თვალწინვე, უკვე მოხუცებაში გადამდგარი ადამიანი კი არ მეხატებოდა, არამედ ღონით სავსე მებრძოლი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე მოთმინებით ელოდა აი ამ დროს, როდესაც შეეძლო თვითონაც გაებედა და თავისი თანამემამულენიც წაექეზებინა შეეცვალათ მოთმინების ტაქტიკა და პირდაპირ ბრძოლაზე გადასულიყვნენ. გამახსენდა ილიას დიდებული სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნესო“, იმისი რჩევა-დარიგება: გულში ღრმად შეგვენახა ის საბოლოო წადილი, რომელიც ქართველობას ყოველთვის უნდა ხსომებოდა, და აი ეხლა ილიამ **თითქოს** გაგვაგონა, რომ სანეტარო დრო უკვე დამდგარიყო, უკან დახევა აღარ შეიძლებოდა და ქართველმა გმირმა თავისი მძლავრი მკლავით უნდა ამოიტანოს ბაზალეთის ტბიდან ის ოქროს აკვანი......

---

სოლსკის კომისიის სხდომები გათავდა და ჩვენ სამშობლოსაკენ წამოვედით. ილია და მე ვაგონის მეორე კლასის ორ-ადგილიან კუპეში მოვთავსდით. იგი თბილისამდე აღარ გამოგვიცვლია. რაკი საერთო ხარჯები მე მებარა, ილიას ვსთხოვე ჩემი ანგარიშები მოესმინა. იგი დიდის ყურადღებით ისმენდა და ციფრებს ზეპირად აჯამებდა. ჩემი მოხსენება იმით გათავდა, რომ მე დამედო ილიას ვალი 700 მანეთზე ცოტა მეტი (დანამდვილებით აღარ მახსოვს ეხლა). ავდექი და ეს ფული იქვე მივართვი იმ თანხიდან, რომელიც წინა დღეს მივიღე სახელმწიფო საბჭოს

რომელიღაც განყოფილებიდან, როგორც ჩემი ხვედრი საგზაო ხარჯებისა. ილიამ გამომართვა ფული და მითხრა: „ანგარიშში მხოლოდ ერთი შეცდომა მოგივიდათ“, მიმითითა რაღაც დეტალზე და დაუმატა: „თქვენ კიდევ გმართებთ ჩემი ორი მანეთი და 50 კაპიკი“. მე ავუხსენი ჩვენი ბანკის ყოფილ უმთავრეს მართველს, რომ იგი სცდება. სულ ცოტა, ნახევარი საათი მაინც ვიკამათეთ და ილია არ მომეშვა მანამ, მართლაც არ დამიმტკიცდა, რომ იგი სწორად ანგარიშობდა. ავიღე და ის ორი მანეთიც და ათი შაურიც მივართვი, თანაც ორივემ ბევრი ვიცინეთ.

---

თბილისში ჩამოსვლისას შეგვატყობინეს, რომ მეფის მოადგილე გიბარებთ ამაღა ამ ღღისათვისო. ჩვენც დანიშნულ დროზე ავედით ერთად სასახლეში. გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა დაწვრილებით გამოკითხა ილიას კომისიის მუშაობაზე და დასძინა, რომ იგი მოხარულია, რომ კავკასიელთა დელეგაციამ სავსებით დაიცვა მისგან წარდგენილი პროექტი. ილია საკმაოდ უხალისოდ ებაასებოდა მეფისნაცვალს, თავისი დებულებანი არა წარუდგენია რა, მხოლოდ შეკითხვებზე აძლევდა თავდაჭერილ პასუხებს. ბოლოს ვორონცოვ-დაშკოვმა მეც მომმართა. ეტყობოდა მან ყველაფერი უკვე იცოდა, თუ ვინ რა ილაპარაკა გრაფ სოლსკის კომისიაში. მეფის ნაცვალმა წინადადება მომცა წარმედგინა პირადათ მისთვის წერილობითი მოხსენება გლეხების მიწის სივიწროვის შესახებ. ბათუმზე კი სიტყვა არ დაუძრავს. გამოვეთხოვეთ და გამოვედით. მე იმ დღესვე შევადგინე შემოკვეთილი მოხსენება, თეთრად გადაწერილი ავუტანე ილიას; მან მომიწონა და მესამე დღეს იგი უკვე მეფის ნაცვალს გადავეცი. გრაფმა ჩემს თვალ წინ გადაიკითხა მოხსენება, ლურჯი ფანქარით აქა-იქ ხაზებს უსვამდა და გვერდზე თავის დასკვნებს აწერდა. მოხსენებას სულ რომ გაეცნო, გამობაასების დროს მითხრა: — „რასაკვირველია, მიწის სივიწროვეს უნდა ეშველოს რამე. იმაშიაც მართალი ხართ, რომ დაუშვებელია უცხო მხარედან ჩამოსახლება აქაურ თავისუფალ ადგილებზე. ეს ფაქტიურად არც ხდება აგერ კარგი ხანია. ჩვენ თუ ვასახლებთ აქეთ, მხოლოდ **რუსის გლეხებს და მათი გადმოსახლება, რასაკვირველია, შემდეგშიაც უნდა მოხდეს.** ამ თქვენს მოხსენებას მე გადავცემ ჩემს თანაშემწეს პეტერსონს და ისიც ინახულეთ“-ო.

ამით გათავდა ჩემი იქ მისვლა! სახლისაკენ რომ წამოვედი, გულში გავიფიქრე: მგონი ილია მართალია და საქმეც სწორედ იქით მიდის, როცა ორივე მხარეზე „ზღვა სისხლი“ უნდა დაიღვაროს... ამნაირად, მეფის ნაცვალთან ჩემი ბაასიც ცარიელი, მგლის თავზე სახარების კითხვა გამოდგა...

---

ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის დღე და საათი, როდესაც ამ აუდიენციის შემდეგ, ჩემი ბინისაკენ მივდიოდი. იმ დროს მოხდა ერთი ისტორიული ამბავი. ქუჩაში მიმავალს, სახელმწიფო ბანკის შენობას რომ შევუხვიე, უცბად არაჩვეულებრივი რაღაც ხმაურობა მომესმა, თითქო ჩემს წინ ზარბაზანმა იჭექაო! საშინელი რამ იყო ეს გასროლა. საღლაც ყუმბარა გასკდა! ბათუმის გამოსვლებმა საკმაოდ გამრწვთნეს ამისთანების გამოცნობაში. მართლა ესეც გამოდგა: არსენ ჯორჯიაშვილმა სტყორცნა ყუმბარა რუსეთის მხედრობის დიდს მეთაურს ღენერალ გრიაზნოვს და იქვე მოჰკლა იგი, ყოფილ ბარიათინსკის ქუჩის ჩასახვევში... ჩემს წარმოდგენაში რაღაც სიმბოლიური კავშირი გაება იმ თავგანწირულ ახალგაზრდა ქართველის, არსენ ჯორჯიაშვილის გამოსვლასა და უკვე მოხუცის, დიდი ილიას ამაყ და თამამ მუქარის შორის, რომლითაც მან დაურიდებლად მიმართა პეტერბურგში სრულიად რუსეთის მამამთავართ....

დიდმა თაობამ, რომლის უშესამჩნევესი ფიგურა უტყუარად ილია ჭავჭავაძე იყო, და მათ შემდეგ გამოსულმა ქართველმა მოღგმებმა, მკვიდრი საძირკველი ჩაუყარეს იმ დიად მოძრაობას, რომელმაც ქართველი ერი გაერთიანებისაკენ და განთავისუფლებისაკენ დარაზმა. თაობათა მთელი წყების მოღვაწეობა, ათეულ წელთა მანძილზე მოტანილი მსხვერპლით, ილიას საქვეყნო სამსახური და, ბოლოს, იმისი გაბედული სიტყვა და ეხლა აი ეს ჯორჯიაშვილის ყუმბარა, — ყველა ეს ეტაპი იყო ერთიანი, შეუჩერებლივი, შეუწყვეტელი ისტორიული პროცესის, რომელიც აშკარად ხდიდა ქართველი ერის თანდათანობით გამოფხიზლებას, მის ზრდასა და მოუდრეკელად დასმული მიზნისაკენ სვლას. და ეს მიზანი იყო საქართველოს პოლიტიკური განთავისუფლება და სოციალური სამართლიანობის დამყარება...

---

მალე ბათუმში დავბრუნდი. ქალაქის თვითმართველობაში მუშაობამ სავსებით ჩამითრია, როგორც მე, ასევე ჩემი უფროსი კოლეგები: ჩემი მეგობარი, მთელს ბათუმში პოპულიარული პიროვნება, დაუღალავი მოღვაწე და ჩინებული ქართველი ი. ზ. ანდრონიკაშვილი (ქალაქის თავი) და ჩვენი ნიჭიერი მგოსანი, ცეცხლით სავსე საზოგადო მოღვაწე, ბათუმისათვის სწორედ რომ თავდადებული, აწ განსვენებული, გრიგოლ ვოლსკი.

ბათუმის რევოლუციურმა ამბებმა, რომლის მსვლელობაში ბათუმის ქალაქის გამგეობას თავისი საპატიო როლი მიეკუთვნა, ისე ჩაგვიყოლია, რომ სხვა ინტერესებისათვის მოცალეობა აღარა გვრჩებოდა.

ეს იყო იმის მიზეზი, რომ პეტერბურგიდან ბათუმში დაბრუნების შემდეგ აღარ მინახავს ჩვენი დიდი ილია. აღარ მინახავს არც ცოცხალი და აღარც მოკლული და ნაწვალები....

გიორგი ჟურული

ქალაქი ბათუმი, 1907 წ.
ქალაქი პარიზი, 1937 წ.

---

## შოთა რუსთაველის იუბილე

საქართველოში დიდი ზეიმით იქმნა გადახდილი შოთა რუსთაველის 750 წლის თავი. ემიგრაციაც შეძლებისდაგვარად სცდილობს აღნიშნოს ეს დიდი ისტორიული თარიღი. უცხოეთის სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება წერილები საქართველოსა და „ვეფხის ტყაოსნისადმი“ მიძღვნილი; იტალიურ „ლა ტრიბუნა“-ში მოთავსებულია ბ-ნ რ. ინგილოს წერილი რუსთაველზე და „ილ მატინო“-ში იტალიელ ბარონის წერილი მეთორმეტე საუკუნის ოქროს ხანაზე.

— უკვე წინად, ნეაპოლის აღმოსავლეთის ინსტიტუტმა ვეფხისტყაოსანის შესახებ შრომაზე პრემია გამოაცხადა. ასეთი შრომისათვის პრემიის ნახევარი მიესაჯა ქართული ენის სტუდენტს, იტალიელ ირინეო პირიტორეს და პრემიის მეორე ნახევარი ბ-ნ ალ. მანველიშვილს.

— ბ-ნ შალვა ბერიძემ იტალიურად სთარგმნა და დაბეჭდა „ანნალი“-ში რუსთველის პოემის შესავალი.

— ვარშავაში გამოიცა წიგნაკი: „შოთა რუსთაველი“, სადაც მოთავსებულია წერილები დრ. გ. ნაკაშიძისა, არქ. გრ. ფერაძისა, თარგმანი ნაწყვეტი პოემისა პოლონურ ენაზე და სხვა.

— ჟენევაში გადახდილ იქმნა რუსთაველის საიუბილეო საღამო და შვეიცარიულ პრესაში მრავალი წერილი მიეძღვნა საქართველოსა და ვეფხისტყაოსანს.

— პარიზში გამართულ იქმნა ბ-ნ გიორგი გვაზავას თავჯდომარეობით საჯარო საზეიმო სხდომა, სადაც წაკითხულიქმნა მოხსენებანი რუსთაველის შესახებ ბბ. რ. არსენიძის, ს. ფირცხალავას, ალ. მანველიშვილის და გ. გვაზავას მიერ ბ. ს. ბერეჟიანმა წაიკითხა ადგილი ვეფხისტყაოსანიდან

— 30 მარტს სორბონაში გაიმართება საზეიმო სხდომა ფრანგული საზოგადოებისავის.

— ქართლოსის შემდეგი ნომერი მიეძღვნება შოთა რუსთაველს.

— **უცნობს,** რომელმაც გამოგზავნა მასალა შოთას შესახებ, ვთხოვთ შეგვატყობინოს მისამართი. მასალა დაიბეჭდება.

## რუსთაველის დღეობა პოლონეთში

პოლონეთში მყოფმა ქართველობამ ღირსეულად აღნიშნა შოთა რუსთაველის 750 წლისთავი. ეს მშრალი ცნობა საკმარისი არ არის იმ შრომა და ღვაწლის აღსანიშნავად, რომელიც გაუწევია ვარშავის კომიტეტს, ბ-ნ კოტე იმნაძის მეთაურობით. ჩვენს ხელთ არის უამრავი პოლონური ჟურნალ-გაზეთები, სავსე წერილებით, ცნობებით, რეცენზიებით და სხ., რომელნიც დიდი ყურადღებით და სიმპატიით აღნიშნავენ ქართველი ერისათვის ამ მნიშვნელოვანი დღესასწაულის ღირსეულად ჩატარებას. მადლობის ღირსია ვარშავის კომიტეტის ხელმძღვანელი ბ-ნ კოტე იმნაძე და მასთან მთელი გამგეობა, რომელსაც ეს საქმე სიყვარულითა და ცოდნით შეუსრულებია, განსაკუთრებით კი ბ-ნი გ. ნაკაშიძე, რომლის მოხსენებას შოთაზე და მისი დროის საქართველოზე, როგორც იმავე გაზეთებიდან სჩანს, დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პოლონეთის განათლებულ წრეებში. ჩვენ სამწუხაროდ არ შეგვიძლია ყველა ჟურნალ-გაზეთის წერილი აქ მოვათავსოთ. ხოლო აღვნიშნავთ ზოგიერთის საყურადღებო შინაარსს. აქვე საჭიროა დავუმატოთ, რომ გარდა ქართველებისა, დღეობაში მონაწილეობას იღებდა ბევრი პოლონელიც, როგორც მწერლები და მგოსნები, ისე მომღერალ-მუსიკოსები.

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა სტანისლავ სიედლეცკიმ; შოთას ფილოსოფიურ-სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობაზე კი არქ. გრ. ფერაძემ, შოთა რუსთაველ და საქართველოზე — გ. ნაკაშიძემ. ნაწყვეტები ვეფხის ტყაოსნიდან წაიკითხა ვ. უგრეხელიძემ( დეკლამაცია); „კვლავ აყვავდა ბუნება“ (მუსიკა არაყიშვილისა) იმღერა ოპერის მსახიობმა ქალმა ირენა ლამანკევიჩუვნმა, ხოლო „ღმერთო ძლიერო“ ოპერის მსახიობმა კაზიმირ ჩეკოტოვსკიმ; ნაწყვეტები ვეფხის ტყაოსნიდან პოლონურად ნათარგმნი წაიკითხა მარიამ ვერცინსკამ; გალობა „ღირწამი ხარ (მუსიკა შავერზაშვილისა) შეასრულა იანუშ პოპლავსკიმ; „თავო ჩემო“ (ზ. ფალიაშვილისა) მარიამ კარნოვსკამ, ოპერის მსახიობმა; დუეტი „აბესალომ და ეთერი“ შეასრულეს იანუშ პოპლავსკიმ და ჩეკოტოვსკიმ.

გაზეთი „ABC“ ათავსებს ბ-ნ გოძიაშვილის წერილს შოთას შესახებ.

„მისლ პოლსკა“-ში მიროსლავ სტაროსტის წერილი შოთას შემოქმედებაზე გაჟღენთილია აღტაცებით და სიყვარულით ქართველი გენიისადმი.

„კურიერ პორანნი“ ათავსებს ბ-ნ გ. ნაკაშიძის მოხსენებას შოთაზე და აღტაცებით დასძენს: „ამ მოხსენებამ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება დამსწრე საზოგადოებაზე. დღევანდელი საქართველო მიცკევიჩისა და სლოვაცკის დროის პოლონეთის ტრაღედიას მოგვაგონებს. ამ რაინდულ ერის დღევანდელ განცდებს უერთდება მთელი პოლონეთი. ქართველი ერის კულტურა დღეს ისე ითელება ბარბაროსთა მიერ, როგორც ერთ დროს ჩვენიო“.

„ძიენნიკ პოზნანსკი“-ს ფურცლებზე ბ-ნი კაზიმირ ვინევიჩი მოკლე მიმოხილვაში აღნიშნავს საქართველოს ისტორიას და მის დამოკიდებულებას ბიზანტია - არაბეთთან, ხოლო ვინმე ე. ნ. მოკლედ მოგვითხრობს ერეკლე პატარა კახის დროის და ჩვენი დამოუკიდებლობის ხანის ისტორიას და აღნიშნავს, რომ „მშვენიერი საქართველო, ქვეყანა განუწყვეტელი ბრძოლისა თავისუფლებისათვის, არასოდეს შერიგებია მთელი ისტორიის მანძილზე მტარვალთა ბატონობას და იმედი გვაქვს, რომ ეს რაინდული ერი ისტორიულ ტრადიციის მიხედვით ეხლაც დააღწევს თავს ბარბაროსთა კლანჭებს და გამარჯვებული შეუდგება მისი მდიდარი და ლამაზი ქვეყნის აღორძინებასო“.

„პოლსკა ზბროინა“-ში ბ. ფრანციშეკ ბანასიაკი და „გაზეტა პოლსკა“-ში ბ. ოტმარი აგვიწერენ თამარის და შოთას დროის საქართველოს, რომელმაც შექმნა შოთას გენია.

„ილუსტროვანი კურიერ ცოდზიენნი“ მოგვითხრობს, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ქართველი დიდი მგოსანის აკაკი წერეთელის მეგობარმა, მასთან საქართველოში ნამყოფმა, ცნობილმა პოლონელმა მწერალმა ვაცლავ სეროშევსკიმ, რომელმაც რუსთველის საღამოს წინ თავისი მხურვალე და მგრძნობიარე სიტყვა შემდეგით დასრულა: „უფლებათა დაცვა ამ რაინდული ერისა — რომელმაც ორი უდიდესი კულტურის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სინტეზი შექმნა — ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი ბრძოლის საგნად უნდა გაიხადოსო“.

მ. დ.

**უნდა აღსდგეს ქართული კერა და დაცულ იქმნას ქართული მოდგმა. ქართველი ერი უნდა გამრავლდეს. უნდა კვლავ შეიქმნას მშვენიერი ქართველი ადამიანი. საქართველოშ კვლავ უნდა ჰშვას შოთა რუსთაველი.**

## ს ი ნ ტ ე ტ ი უ რ ი   კ ა ვ კ ა ს ი ა

დღეს დილით, პუანტაჟიდან რომ დავბრუნდი, დიდი სიურპრიზი მომიტანა ფოსტამ: წერილების ყუთში ოთხი კავკასიელი ისხდა: რუსული „კავკაზ“, ფრანგული „ლე კოკაზ“, გერმანული „დერ კაუკაზუს“ და ქართული „კავკასია“. დავავლე ხელი ჩემს მეგობრებს და ხუთი კავკასიელი სირბილ-სირბილით შევედით შომერ კავკასიელის ევროპიულ ოთახში.

მაგიდას მოუჯექი და კავკასიელებს გადავხედე. გული სიხარულით ჩევსება. გავიძახი: — „თქვენ დაგენაცვლეთ, ბიჭებო, რომ ყველა ენებზე ალაპარაკდით! თქვენი იმედითა ვცხოვრობ, თქვენა ხართ ჩვენი მხსნელნი!“. თანაც ვღიღინებ: „სალამიიი ჩიიტუუნებოოო, სიმნო სიხარუულისაა“...

უპირველესად ყოვლისა, რა თქმა უნდა, ქართველ კავკასიელმა დამაინტერესა.

— ესეც მოწინავე სტატია! ჰაიდარ ბამატ!? ვაჰ, ეს ვინ უნდა იყვეს!? ჰაიდარ ბამატ!.. ჰა, ჰა, მივხვდი, მივხვდი! ჰაიდარ აბაშიძე იქნება, აჭარელი! თორემ სისხლით ქართველი რომ არ იყვეს, განა ჩვენი შალვა და ბატონი ზურაბი მაგას „პერედავიცებს“ დააწერინებდა? — თანაც მიხარია, რომ ჩვენ პოლიტიკურ მოღვაწეთ იმდენი თავმდაბლობა გამოუჩენიათ, რომ თავიანთ უმცროს ძმისათვის, მუსულმან ქართველისათვის, პირველობა დაუთმიათ.

ჰაიდარ აბაშიძის წერილმა მეტად დამაინტერესა და გადავწყვიტე გულდასმით წამეკითხა. ვკითხულობ, მაგრამ სიცივისაგან ტვინი გაყინული მაქვს და შიგ არაფერი შედის. ფანჯარა გამოვალე: ოთახი შეთბა, მაგრამ არც ისე, რომ სერიოზული სტატიის წაკითხვა შესაძლო იყოს. ისევ ჩემს ნაცად ხერხს მივმართე: ძველი კოსტუმი ჩავიცვი, თავზე პირსახოცი შემოვიხვიე, ლოგინში ჩავწექი და პალტოც გადავიხურე. ცოტათი რომ შევთბი, საბნიდან თავი ამოვაძვრინე, გამთბარი თითები ქართველ კავკასიელს ჩავავლე და ჩვენი ჰაიდარ აჭარელის „პერედავიცის“ კითხვა დავიწყე.

უნდა მოგახსენოთ, რომ კითხვა ძლიერ მიყვარს, მაგრამ პირობები ხელს როდი მიწყობს! ზამთარში ცივა და ჩემს ოთახში კითხვა კი არა, პრიმუსზე ადუღებული ჩაის დალევაც კი მეზარება. ზამთარში, როგორც დათვს, სულ ერთიანად მძინავს. კვირაში ორჯელ პუანტაჟის დაკვრა რომ არ მიხვდებოდეს, ჩემზე ბედნიერი კაცი მთელს ემიგრაციაში არ იქნებოდა. ზაფხულში ხომ ცხელა და ცხელა, ოფლში ვცურავ და „პასლედნია ნოვოსტის“ გადათვალიერება თუ შევიძელი, ისიც კარგია! ყველაზედ კარგი სეზონი კითხვისათვის, როგორც ყვე-

ლას მოგეხსენებათ, გაზაფხულია. მაგრამ მეც, როგორც ყველა ქართველს, წერის მუზა სწორედ გაზაფხულზე დამაჯდება ხოლმე, ტვინში და გულში მილიტინებს, რითმებით ამალაპარაკებს და, სულ უკანასკნელი, ასი ლექსი რომ არ დავწერო და არ დავხიო, ავად გავხდები. ჰო, და რაღა სხვისი დაწერილი წავიკითხო, ჩემი არ მეყოფა? შემოდგომაზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს: წვიმა, ბურუსი, რევმატიზმი!...

როგორც დაინახეთ კითხვა ძლიერ მიყვარს. მაგრამ პირობები ხელს არ მიწყობს. ჰაიდარ აბაშიძის სტატია, თუმცა ზამთრის სეზონში ჩამივარდა ხელთ, მაგრამ მაინც გულდასმით წავიკითხე. სტატია მშვენიერი ქართულით არის დაწერილი. არც ერთი აჭარული გამოთქმა, არც ერთი პროვინციალიზმი! გარდა ერთი გრძელი წინადადებისა, ყველაფერი შევიდა გამობარ ტვინში. აი ეს წინადადება: —

..."კავკასიის კონფედერაცია ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს არა როგორც გეოგრაფიულად, ეკონომიურად და სტრატეგიულად განუყოფელ ნაწილების ერთი მეორეზედ მექანიკური დალაგება, არამედ ჰარმონიული გაერთიანება სულიერად მონათესავე ეტნიურ ჯგუფებისა, რომ ეროვნული მარაგისა და გენიის თავისუფალ გამოჩინების გზებზედ, კავკასიას შეეძლოს **მომავალში უფრო მაღალი და უფრო მშვენიერი სინტეტიური კულტურის მოცემა**"...

ამ „სინტეტიურმა კულტურამ" მეტად ჩამაფიქრა. სტრატეგიულ განუყოფელ ნაწილების ერთი მეორეზედ მექანიკურ დალაგებამ ხომ ამირია დავთარი! ვამბობ: — არა გრცხვენია, ნიკიფორე, სოფლის მასწავლებელი იყავი, მომარაგებელ კომიტეტშიაც მსახურებდი, და ასეთი კოხტად დალაგებული სიტყვები ვერ მოგიმარაგებია?! ანალიზს ვუკეთებ ყოველივე სიტყვას: — სრული სიმართლეა, რომ გეოგრაფიულად, სტრატეგიულად და ეკონომიურად ერთი მეორეზედ დალაგება არ ვარგა! ვინ იცის, ვინ სად მოხვდება! ერთიც ვნახოთ და ამ დალაგების დროს მთელი კავკასიის მთები, იალბუზი, არარატი, აზერბეიჯანის ნავთი და მაზუთი სულ ერთიანად საქართველოს დაელაგა თავზე, — მაშინ? მაშინ რაღა სინტეტიური კულტურა გამოვა? ჰა, ვამბობ, აქ რაღაც სინტეტიური იშკილი უნდა იყვეს; საქმე ეგრე არ არის; ჩვენი აჭარელი ვილაცას აბაშიძურ კვანტს უდებს! და ... ვფიქრობ, სულ ვფიქრობ, — თუ ეგ სინტეტიური კულტურა რას ნიშნავს? რომ ვილაცა ვილაცას ატყუებს, ეს აშკარაა! სხვაფრივ როგორ შეიძლება? ეგ ხომ პოლიტიკური სტატიაა, მაშასადამე, აუცილებლივ შიგ ტყუილი უნდა იყოს! გულახდილობა პოლიტიკურ სტატიაში როგორ შეიძლება? ისიც ქართულ ენაზე! ოჰ, და ვფიქრობ... ვფიქრობ...

ადამიანი, როგორც მოგეხსენებათ, ფიქრის დროს თვალებს ან დაჭყეტს ან დახუჭავს ხოლმე. მე თვალებსა ვხუჭავ და ჩემი უბედურებაც სწორედ ეს არის: დავხუჭავ თუ არა თვალებს, მაშინვე ჩამეძინება. ჩაძინება და სიზმარის სავანეში გადავარდნა ერთია. დღესაც ეგრე მომივიდა.

მესიზმრა **სიზმარი სინტეტიური**: —

ვხედავ ჰარმონიულ ნავთსადგურს ქართველ ემიგრანტებით სავსეს. ხელში ყველას ახალი „ჩემოდნები" უკავიათ. ყველას ახალი კოსტიუმი აცვია, ფეხსაცმელები გაუპრიალებიათ, ერთი სიტყვით, „გამოჩისტულან". ერთი მეორეს ულოცავს.. ხვევნა... კოცნა. ვილაცამ (არ დამამახსოვრდა იმის სახე) მომვარდა, მიმიკრა გულზე და დაიძახა: „მომილოცავს, ნიკიფორე, მივდივართ სახლში!" — „შენ პირს შაქარი"! — ვღრიალებ და ვკოცნი.

შორს, ზღვის ჰორიზონტზე მოსჩანს შავი წერტილი და კვამლი. ჩვენი იმედი! ხელებს ვიქნევთ, ვხტით.

უცებ რაღაცა ჩოჩქოლი ასტყდა: გამოჩნდა პატარა ტანის კაცი, გახუნებული, გაჩეჩილი თმით და წინ გახუნებული პატარა ძაღლი მოუძღვის. მოგვიახლოვდა. ვიცანი: ბ. გრიშა ურატაძე და მისი კიკია! თქვენ წარმოიდგინეთ გრიშა ურატაძე სიზმარშიაც კი ვიცანი. იმას ისეთი მენშევიკური სახე აქვს, სიზმარშიაც რომ შეგხვდეთ, მაინც დაგამახსოვრდებათ. კიკიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: სინტეტიური კულტურის ნამდვილი პროდუქტი ეგ ძაღლია!

ბ. გრიშა ურატაძე ვილაცას „ჩემოდანზე" შეხტა და დაიყვირა: —

საქართველოს სოციალ დემოკრატიული პარტიის და მუშათა კლასის სახელით პროტესტს ვაცხადებთ და სინტეტიურ კავკასიაში არ მოვდივართ-ო! —

— წინ წყალი და უკან მეწყერი-ო! — იგრიალა „გამოჩისტულმს" ემიგრაციამ.

ბ. გრიშა ურატაძე გადმოხტა „ჩემოდნიდან", ზურგი გვიჩვენა და გაჰქრა... მაგრამ უნდა გენახათ, რა ამბავი დაათია იმისმა ძაღლმა კიკიამ! გვეცა ფეხებში, ჰყეფს და იკბინება, იკბინება და ჰყეფს. ძლივს მოვიშორეთ. გახტა განზე, დორბლებსა ჰყრის, გვიღრენს: მთელი მენშევიკური სიბრაზე მემარჯვენე ემიგრაციისადმი იმის დრუჩზეა აღბეჭდილი.

ვამბობ: — ოჰ, შენ რა გითხრა, გრიშა! ემიგრაციაში ხომ გაგვიშრე და გაგვიწყალე სიცოცხლე! გვშორდები და მენშევიკურად დაგეშილი ძაღლი მოგვისიე! არა გრცხვენია, ბიჭო?!

მოადგა ნაპირს უზარმაზარი ოკეანეს გემი. სწორედ რომ ვსთქვა, გემი გემს არა ჰგავს. გემიც არის, ორთქლმავალიც და ავტომობილიც. ერთი სიტყვით, სინტეტიური ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვაა. მოადგა ნაპირს და აყვირდა; აყვირდა, მაგრამ როგორ აყვირდა! ამ ყვირილში არეული იყო ერთად სტვირის, ზურნის, ჭიანურის, დიპლიპიტოს, დაირის ხმები. ესე იგი ყველა კავკასიური ერების მუსიკალური ინსტრუმენტების ხმები სინტეტიურად იყო ჩაქსოვილი გემის საყვირში.

ვხედავ დიდ წარწერას: გემის სახელს. მაგრამ ასოები არც ლათინურსა ჰგავს, არც ბერძნულს, არც ჩინურს, არც თათრულს, არც სომხურს; რაღაც სინტეტიური ასოებია: თავი სომხური აქვს, ტანი მოიქართულებს, ბოლო მოითათრულებს. ვფიქრობ: ოღონდ სახლში წამიყვანოს და რას დავეძებ მის სახელს და გვარს!

ავცვინდით გემზე.

ჩაგვყარეს „ტრიუმში".

ამოვირჩიე მყუდრო კუნჭული და დავცუცქდი ჩემს „ჩემოდანზე".

აყვირდა სინტეტიური საყვირი; დაიძრა სინტეტიური გემი.

საკვირველია, სიზმარში რომ ყველაფერი უცებ ხდება: დაელვა; იჭექა ზეცამ; გაშავდა, აღელდა ზღვა. ამ ჩვენ სინტეტიურ გემს ნაფოტივით ისვრის აგორებული ტალღები. შეიქმა ქრისტეს ტირილი. ვქეითინებ და მოვსთქვამ: — თქვენი სული წაწყდა მენშევიკებო! აქაც მოგვატყუეს! აქაც გვაჯობეს! ალბად მეორე ინტერნაციონალის ობსერვატორიამ მალულად შეატყობინა ლევილის შატოს ობსერვატორიას და იმის გამგეს, ზაქარია ჩიჩუას გაავდრების შესახებ, თორემ, რა შვილი ხართ, არ წამოხვიდოდით სინტეტიურ კავკასიაში?!

მადლობა ღმერთს, ზღვა დაწყნარდა, თორემ აუცილებლივ დავიღუპებოდით და სინტეტიური სიზმარიც გათავდებოდა.

დაწყნარდა ზღვა და მოგვშივდა. მოგვიტანეს „კატელოკებით" საჭმელი. მაგრამ რა საჭმელი! სინტეტიური კავკასიური საჭმელი: ყველაფრის გემო ჰქონდა და არაფრის. ჩიხირთმა, ქუმელა, მაწონი, საცივი, ალვახაზი, შილაფლავი, შინდის შეჭამანდი, გურული ლობიო, ხინკალი — სულ ერთად იყო არეული. არ მივკარებივარ!.. წარმოგიდგენიათ, რა უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ ქართველმა ემიგრანტმა არ ჭამოს?! ვამბობ: — ოღონდ სახლში ჩამიყვანეთ და არც სინტეტიურ წყალს დავლევ - მეთქი!

უცებ გაისმა ბრძანება — გემის უფროსი მოდისო!

გაგვამწკრივეს.

გემის უფროსმა ჯერ საერთო, სინტეტიური კავკასიის სალამი მოგვცა: ხელიც ასწია, გულზეც დაიდო, წელშიაც მოიხარა, ჩაბუქნა კიდეც. შემდეგ სინტეტიური კავკასიის ენაზე სიტყვა გვითხრა. ერთი სიტყვა რა არის,

ისიც არ გაგვიგია. თარჯიმანი მოიყვანეს. სიტყვის შინაარსი მოკლედ ასეთი იყო: — თქვენ სინტეტიურ კავკასიაში ბრუნდებით. ამიერიდან თქვენი სამშობლო საქართველო არ არის, და თქვენი კულტურა ქართული ალარაა, არამედ თქვენ კავკასიელები ხართ და თქვენი კულტურა უფრო მაღალი და უფრო მშვენიერი სინტეტიური კულტურაა — სინტეზი საერთო კავკასიურ კულტურისაო! —

ჭრელ-ჭრელი წიგნები დაგვირიგა და გაგვაფრთხილა: ერთ კვირაში სინტეტიური კავკასიის მიწას მივადგებით და ვინც სინტეტიურ ენას არ შეისწავლის უკან დავაბრუნებო.

— ეხლა კი დაილუპე, ნიკიფორე! — წამივიძახე: — 15 წელიწადი საფრანგეთში დაჰყავი, ფრანგული ვერ ისწავლე და ერთ კვირაში როგორ შეისწავლი, შე უბედურო, ას ენას, აჯაფსანდალივით შერეულს?!

ავიღე ჭრელი წიგნი. დავცუცქდი ჩემს ჩემოდანზე.... არც მიჭამია, არც მისვამს და, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, სტამბოლს რომ მივუახლოვდით, სინტეტიურ ენაზე უკვე ავლაპარაკდი (ასეთი ნიჭი, რასაკვირველია, მხოლოდ სიზმარში გამომაჩნდა!).

ვუახლოვდებით ბათუმს. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს. გულები მკერდებიდან ამოხტომას ლამობენ. აჰა, გამოჩნდა ბათუმის ბულვარი.

— ოჰ, შენ დაგენაცვლე ჩემო კოხტა, ლამაზო ქალაქო! — გავიძახი და ცრემლის ნაკადულები ლოყებს მისველებს. — აჰა, სობოროც! მაგრამ ეს რა ამბავია?! ჯვრის მაგიერ მთვარე ამშვენებს გუმბათს! მეჩეთად გადაუკეთებიათ! შეუძლებელია! ალბათ მეჩვენება! —

დავავლე ხელი ჩემს ჩემოდანს და გავრბივარ ბაქანზე. მინდა პირველმა დავსდგა ფეხი საქართველოს მიწაზე.

— სად მიდიხარ? — მომესმა გემის უფროსის მრისხანე ხმა.

— როგორ თუ სად მივდივარ? ხომ მოვედით საქართველოში?!

— როგორ თუ საქართველოში? ვერ გაიგე, რომ საქართველო არ არსებობს? შენ გინდა სთქვა სინტეტიურ კავკასიაში!

— ხო. ეგრე იყვეს!

— მერე და ეგ არ იცი, რომ ბათუმი თურქეთს ეკუთვნის? სინტეტიური კავკასიის პორტი ფოთია.

ფეხები მომეკეცა იატაკზე გავითხლარშე. გული შემიღონდა.

ფოთში მომასულიერეს.

ღმერთო დიდებულო! როგორ გამოცვლილა ჩვენი ფოთი! პალიასტომი სინტეტიურ გემების და ნავების სინტეტიური ნავთსაყუდელი გამხდარა. სახლები სინტეტიური კავკასიის სტილზე არის აგებული: სახლის ერთი ნახევარი იმერულ ოდას მოგაგონებსთ, მეორე — სომხურ ქოხს; სახურავი — მეჩეთის გუმბათს.

— სახლი წყალს წაუღია — ვამბობ: — ხალხი რამ გამოცვალა?! ცხვირი — სომხის; თვალები — პატარა, გრძელი, მონღოლური: ქართველის მხოლოდ ულვაში შერჩენილა. ტანთსაცმელი უცნაური: ერთ ფეხზე საცვეთები აცვიათ; მეორეზე თათრული ჩამოშვებული შარვალი და ყვითელი ფოსტლები; ჩოხა ჩოხას არ არა ჰგავს: ქილები მხოლოდ ერთ მხარეზე აქვს; მეორე მხარეს — სომხური დანაოჭებული ჯიბე, მსხვილი ჯაჭვით და ვერცხლის ვეებერთელა საათით, ამკობს. მოსასხამი ნაბადსაც ჰგავს და აზერბეიჯანულ აჭრელებულ საბანსაც. მაგრამ ყველაზე საინტერესო ქუდია: საზამთრო შუაზე გაუჭრიათ, გული შეუჭამიათ და მრგვალი ქერქი თავზე დაუხურავთ. ესეც აზერბეიჯანული კულტურის ნიმუში!

ახალთ-ახალი კოსტუმი „გალერი ლაფაიეტ“-ში შეკერილი გამხადეს და სინტეტიური ჩამაცვეს.

ჩამოვიფხატე თავზე სინტეტიური ქუდი და სადგურზე გავიჭრი. მინდა სახლში წავიდე, ჩვენები ვინახულო. თანაც ვშიშობ: — ვაი თუ სინტეტიურმა კულტურამ ისე გამოსცვალა დედა ჩემი, რომ ვერც კი გიცნო!

სადგურის უფროსს ვეკითხები:

— ნატანებში მივდივარ და როდის გადის მატარებელი?

— ნატანებში რა გინდა? თათარი ხომ არ ხარ?!

— თათარს რა მიგავს, ძამია? სახლში მივდივარ, გურიაში.

— შენ ალბათ სიზმარში ხარ! — მიპასუხა დაცინვით: — რით ვერ გაიგე, რომ გურიაზე სინტეტიურმა კავკასიამ თვით აიღო ხელი და თურქეთს გადასცა.

— რეიზა, ძამია, რა დააშავა გურიამ?

— რა დააშავა და სულ მენშევიკები იყვნენ! მაგრამ არც ქემალია მათი კმაყოფილი. დელეგაციას დელეგაციაზე გვიგზავნის: „მარქსისტული პროპაგანდა გამიჩაღეს, ხალხი ამიჯანყეს, საცაა მეც გადმომაგდებენ ტახტიდანო. გთხოვთ და გემუდარებით: გურია დაიბრუნეთ უკან და ფეშქეშად — ბათუმი ხომ თქვენი იყო — ტრაპიზონიც მომიცია“-ო. კატეგორიულ უარს ვეუბნებით!

— ვაი, ნენავ, ძუძუავ! — დავიყვირე და მეორეჯერ შემიწუხდა გული.

ტფილისში მომასულიერეს.

ტფილისი სინტეტიური დროშებით იყო მორთული: — შინდის ფერი, მწვანე, წითელი, ყვითელი, შავი, ვარსკვლავი, მთვარე, მზე ერთად იყო შეზავებული დროშაზე.

დავიწყე ხეტიალი ტფილისის სინტეტიურ ქუჩებში.

არც ერთი ნაცნობი სახე!

— ყმაწვილო! — ვეკითხები ერთ ახალგაზრდას: — რად არის ტფილისი მორთული დროშებით?

— დღეს, სინტეტიურ რუსთველის თეატრში, სინტეტიური კავკასიის უდიდესი შვილის რუსთაველის ზეიმი იმართება — მომიგო მეტად თავაზიანად. (მიხვრა - მოხვრაში ეტყობოდა, რომ სინტეტიური კავკასიის დაარსებამდე აუცილებლივ ქართველი უნდა ყოფილიყო).

— ყმაწვილო! — ვუპასუხე ღიმილით: — რუსთველი ხომ ქართველი იყო. რად ეძახით სინტეტიურ რუსთველს?

მონღოლური თვალები დაუპატარავდა, სომხური ცხვირი დაუგრძელდა და ქართულ ულვაშებზე ხელი გადაისვა:

— გაფრთხილებთ! მეორედ არ წამოგცდეთ ასეთი კონტრრევოლუციური და მენშევიკურ-ბოლშევიკური აზრი! — მიპასუხა მკვახედ: — აქედან დამეკარგეთ, თორემ ეხლავ დავაჭერინებ თქვენ თავს სინტეტიურ მილიციონერს! —

საზამთროს ქუდი კისრამდე ჩამოვიჩაჩე და გავქუსლე...

სინტეტიურ რუსთველის თეატრთან დიდი სინტეტიური კუდი სდგას. ჩავდექი რიგში. ბილეთი ავიღე და თეატრში შევედი.

ნაცნობი სახე შემეჩეხა.

— ღმერთო! — ვამბობ: — ეს ხომ ჩვენი სოსოა?! ჩვენი გრიშაშვილი! ერთად-ერთი კაცი, რომელიც ამ სინტეტიურ კულტურას არ გამოუცვლია!

მივაშურე:

— სოსო-ჯან! ვერა მცნობ?! — მივმართე ქართულად. სოსო შეკრთა. შემომხედა. მიცნო:

— სუუ! — მიპასუხა ჩუმად და ტუჩზე ხელი დამადო. კუთხეში გამიხმო.

— რასა სჩადი, ნიკიფორე! — მისაყვედურა სინტეტიურ ენაზე: — თავს რად იღუპავ, ან მე რად მღუპავ? რა დაგიშავე?

— სოსო, ბიჭო, შენცა?!

გრიშაშვილმა სიმწრით თავი ჩაიქნია და მიპასუხა: —

„ყარ არ ყურითან ჩინ ჩარა,
ბილ ყირი კოდრიწ ვინჩარა“!

(რუსთაველის ტაეპი: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“, — სინტეტიურ ენაზე ნათარგმნი).

გავშრი. ენა მუცელში ჩამივარდა.

უცებ მე და გრიშაშვილი პარტერში გავჩნდით.

დარბაზი საზეიმოდ არის მორთული; სინტეტიური ხალხით გატენილი; რაღაც სინტეტიური სურნელება არის დაღვრილი დარბაზში. სინტეტიურ აზერბეიჯანელთა არომატი სხვა სინტეტიურ ეროვნებათა სუნს სჭარბობს.

განათდა მთავრობის ლოჟა.

ლოჟაში შემობრძანდა, ვაი, საშინელებავ! ოთხ-კისრიანი და სამ-თავიანი კაცი.

შიშმა შემიპყრო. გრიშაშვილს ხელი ვკარი; ვეკითხები ჩურჩულით:

— ეგ ვინ არის?
— სინტეტიური პრეზიდენტი.
— რა ქვია?
— ბამ — ზურ — შალ!
— მეოთხე კისერზე თავი რად არ აბია?
— ვაკანტნია! ვაკანტნი! — მიპასუხა თავისებური იუმორით: — სომხურ თავს ეძებენ. სომხები თავს არ იძლევიან!

ვუცქერი, ვუცქერი სამ - თავიან სინტეტიურ პრეზიდენტს და უცებ მივხვდი, რომ სიზმარში ვარ და მოხდა ის, რაც სიზმარში გვემართება ხოლმე: წარმოიდგინეთ — გესიზმრათ თვალუწვდენელი კლდე; კლდის ნაპრალზე სდგეხართ და ჰა, უნდა გადაიჩეხოთ უფსკრულში, მაგრამ არ გეშინიათ; არ გეშინიათ, რადგან უცებ მიხვდით, რომ ეს სიზმარია და, რომც გადაიჩეხოთ, არაფერი მოგივათ. ბევრი, ბევრი: ლოგინიდან გადმოვარდეთ. პირადათ მე სიზმრის ისეთ სპეციალისტებს ვეკუთვნი, რომლებიც, იგრძნობენ რა თავს სიზმარში, სიზმრის დირიჟორად თვით ხდებიან: როდესაც უნდათ, მაშინ გაიღვიძებენ, ან სიზმარს სხვა მიმართულებას, სხვა გეზს მისცემენ. სიზმარში მეტად გულადი კაცი ვარ. თუ რაიმე საშიშროება მომელის, საკმარისია ვიჩქმიტო ხელზე, რომ გამომეღვიძოს.

ჰო, და, ვიგრძენი რა თავი სიზმარში, გადავწყვიტე თეატრში სკანდალის მოხდენა.

წამოვხტი ზეზე და დავიღრიალე ქართულად:

— გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! სომხეთს! მთას! აზერბეიჯანს! ძირს სინტეტიური კავკასია! ძირს სინტეტიური კულტურა!

ატყდა ყიჟინა, პროტესტი! მტაცეს ხელი; გამწიეს და გამომწიეს; ვიღაცამ თავში ჩამაფარა; თვალთ დამიბნელდა; მირტყამენ; ტკივილსა ვგრძნობ და მინდა ხელზე ვიჩქმიტო, რომ გამომეღვიძოს, მაგრამ ხელები გაკრული მაქვს; თანაც ეჭვი მეპარება, ვშიშობ: ვაი თუ სიზმარში არა ვარ, მაშინ ხომ დავიღუპე!

მომვარდენ სინტეტიური მილიციონერები; შემკრეს და ჩამაგდეს სინტეტიურ ავტომობილში.

დაბეჟილ - დაბეგვილმა გავახილე თვალი სწორედ იმ საკანში, სადაც ათას ცხრაას ოცდორ წელს ვიჯექი ბოლშევიკების მიერ დატუსაღებული.

ვიღაცა ღვთისნიერი ადამიანი, გამხდარი, დაბალი ტანის, სათვალეებით — თავს დამდგომია და შუბლზე ხელს მისვამს.

— ვინა ხარ, ქრისტიანი? — წავილუღლუღე.
— ბერია ვარ, ბერია!
— რომელი ბერია, რა გქვია?!
— ლავრენტი. აბა შემომხედე! ჩემი სურათი მაინც გექნება ნახული!
— ვაი მე! — დავიღრიალე და წამოვიჭერი ზეზე: — მერე აქ რა გინდა შე ჯალათო?!
— დაწყნარდი, ძმობილო! — მიპასუხა დაყვავებით: — მეც შენისთანა ტუსაღი ვარ. აი ჩვენი სტალინიც აქ არის.

ლოგინზე ქართულად მოეკეცა ფეხები სოსოს და ყალიონს აბოლებდა.

— თქვენ კიდევ ცოცხლები ხართ?! არ დაგხვრიტეს?!

სოსო არ განძრეულა. თამბაქოს კომლს თვალი გააყოლა და დაცინვით მომიგო:

— სინტეტიურ კავკასიაში სიკვდილით დასჯა არ არსებობს.

— კარგი ბედი გწვევია!

სოსო შეირხა. ზეზე წამოდგა. დინჯად მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა:

— ხუმრობას თავი დავანებოთ და როგორც დაგარიგო, ისე მოიქეცი. ეხლა დაგკითხავენ და, არ გაგიწყრეს ღმერთი, ჩვენება სინტეტიურ ენაზე არ მისცე.

მინდა პირში მივახალო:

— შე საქართველოს ჯალათო! შენ მასწავლი მე, ხუთმეტი წლის მემარჯვენე ემიგრანტს ქართველობას?! შენი ბრძანებით არ იყო, ქართულ ენაზე ჩვენება რომ აკრძალული გვქონდა?! — მინდა გავლანძღო, გავთათხო, მაგრამ სიზმარში ვერ ვახერხებ; ბოლმა მახრჩობს; ხმა ვერ ამომიღია; მხოლოდ ეს კი მოვიმოქმედე: ორთავეს ზურგი შევაქციე.

დაკითხვაზე სამივე ერთად გაგვიყვანეს.

გამომძიებელმა სინტეტიურ ენაზე მოგვმართა: —

— არ გვესმის თქვენი ენა! — განაცხადა მკვახედ სტალინმა და მაგიდაზე მუშტი დაჰკრა: — ჩვენ ქართველები ვართ და საქართველოს დედაქალაქში, ქართულ მიწაწყალზე ჩვენებას ვიძლევით მხოლოდ ქართულ ენაზე! სასტიკ პროტესტს ვაცხადებ აგრეთვე ბათუმ, ართვინ, არტაან და გურიის ოსმალეთზე გადაცემის გამო!

თარჯიმანს დაუძახეს.

— გადაეცით სტალინს და ბერიას, — მიმართა გამომძიებელმა თარჯიმანს: — რომ მივიღეთ ტროცკის დეპეშა. გვატყობინებს: მეორე ინტერნაციონალს (მხოლოდ კოწია გვარჯალაძეს შეუკავებია თავი!) აღუძრავს საფრანგეთის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა მათი საფრანგეთში შეშვების შესახებ და საფრანგეთის მთავრობის თავჯდომარეს, ტორეზს, ნება დაურთვია. იცხოვრებენ ლევილში, ყოფილ მთავრობის შატოში. მეორე ინტერნაციონალი და პირადათ ტროცკი უთვლის დიდ კომუნისტურ სალამს სტალინს და ბერიას. გვარჯალაძე თავს იკავებს.

ეს რომ გავიგონე, შიშის ზარმა ამიტანა. ეხლა კი აღარ ღირს სიზმარში ყოფნა, თორემ ესენი ჩამასწრებენ პარიზში, და მე აღარ შემიშვებენ-მეთქი!

მაგრად, რაც ძალი კიდევ შემწევდა გალახულ კაცს, ვიჩქმიტე ხელზე და ... გამომეღვიძა სინტეტიური კავკასიის ტუსაღს ჩემს საყვარელ ემიგრაციაში.

პატივისცემით **ნიკიფორე დიომიდეს ძე ქათამაძე**

## ვეფხის ტყაოსანის ლექსიკონი

145.
**გაყრილი** — გათავებული
146.
**წართვა** — დამატება, დართვა.
**ნივთი** — საგანი.
**ვალი** — შეწუხება; გადასახადი.
147.
**სადაფო** — საზეიმო.
148.
**სანაპირო** — განაპირა ადგილები რომელიმე ქვეყნისა.
**სავაზირო** — სათათბირო.
**ზღუდე** — კედელი, გალავანი.
150.
**გავლენა** — ყურადღების მიქცევა, პატივისცემა.
151.
**ზრუნი** — დაძრული.
153.
**ყმა** — ქვეშევრდომი.
**დავსება** — გაქრობა.
**მური** — კვამლი, ჭვარტლი
154.
**თავადი** — უფროსი.
**განდობა** — ნდობით თქმა.
156.
მსგავსება.
**დასახება** — დამგვანება, დავანება,
**ნუთუმცა** — იქნება
157.
**სასურვალი** — სასურველი
**გარდუვალი** — აუცდენელი
**რვალი** — სპილენძი.
158.
**დაურვება** — მოწყობა, გარიგება, მოგვარება.
**მომდედრება** — გადმიაპიერება.
**ზედა-ზედრე** — კიდევ უფრო, ხშირ-ხშირად.
161.
**გასაჭრელი** — გასავარდნი.
**ჭრელი** — ტყუილი, შერეული.
162.
**შემოქცევა** — შემობრუნება, გამობრუნება.
163.
**ფათერაკი** — ცუდი შემთხვევა, უბედურება.
**ფლასი** — ძაძა, მსხვილი შავი შალი, სამგლოვიარო.
164.
**მიდგომილი** — მიმდევარი, მიმყოლი, **თქვენ ჩემისა სა-წადილსა მიმდგომილნო, ვით აჩრდილნო** — თქვენ ჩემს ნებაზე მქცევნო, როგორც ჩრდილი.
165.
**ცრა** — ცერი.

**სამე** — სადმე.
**გარდასახვეწელი** — გარდასავარდნელი, გასაქცევი.
**კვლა** — კვლავ, კიდევ.
166.
**ღარიბი** — უცხო, უთვისტომო, უამხანაგო, ერთადერთი, უტოლო.
167.
**ჩემად კერძად** — ჩემ წილ, ჩემს მაგიერ.
**ცვილი** — ნივთიერება, რისგანაც ჩამოასხამენ სანთელს; ფიჭა, სარაჭი.
169.
**სალარიბო** — უცხო ქვეყანაში მარტოდ წასასვლელი.
**დაზმა** — დაცდა, დახანება.
**შინა ხანი არა დაზმა** — შინ ბევრს ხანს არ დარჩა; დაყოვნება, დაყოფა.
170.
**ყველაკაი** — ყველა.
**გათავისწინება** — მარტოდ დარჩენა.
**შამბი** — მაღალი ბალახი, ლელი, ლერწამი.
171.
**გაკიდება** — გაშორება დაშორება; გადევნება. გაახლება, გაგრძელება.
**ლაშქართაგან გაეკიდა** — ლაშქარს გაშორდა.
**კაეშანი** — დარდი.
172.
**მოთვალვა** — მოთვალიერება.
**უცხენმალესი** — ძალიან სწრაფი ცხენის პატრონი.
174.
**უსტარი** — წერილი.
**ულები** — ულები, ლები, ნაცემი, დაღვიძლებული ადგილი.
175.
**არმება** — უსიამოვნოდ დარჩენა.
176.
**დიონისი** — სახელია
**ეზროს** — სახელია ფილოსოფოსისა.
**გაზრვა** — დაძვრა, გაყინვა.
**აბეზრება** — მობეზრება.
177.
**ახმა** — აღება, გაღება.
**ოთხ-ახმით** — ოთხ-ამოღებით, ჭენებით.
**არე** — ადგილი. მიდამო.
**გაზიარება** — განაწილება.
178.
**ფიფქი** — ახლად მოსული თოვლი.
**დანასვა** — გაფუჭება, წახდენა.
**ბარბითი** — ერთგვარი საკრავია ქნარივით.
**ნა** — სალამური.
**ნასვა** — გაფუჭება, ცუდათ გახდენა.
182.
**მქისი** — მკვახე, მოსაწყენი

**რამინ** — ვისრამიანის გმირი ვაჟი. **ვისი** — ვისრამიანის გმირი ქალი.
183.
**კიდე** — ნაპირი, მხარე, პირი. **ნაპირი წყლისა კიდისა** — წყლის ნაპირი.
184.
**შექცევა** — გაბრუნება.
**იშობა** — იშის თქმა, წუხილი.
185.
**სავონებელი** — ფიქრი.
**ეზომი** — ამოდენი.
186.
**ხანა** — ხანი.
**დასაგვანი** — შესაფერი, დასადარი, დასაჯერებელი.
187.
**დავედრება** — დაბარება.
**რებული** — ნასიარულევი.
188.
**კიდე** — კიდევ: კიდეც, უკვე.
**აფხვრა** — ამოგდება, ამოძრობა, ძირიანად ამოღება.
**დაყუდება** — დამშვიდება, დაწყნარება.
190.
**შეგება** — გაგება.
**ულონიოდ** — უთუოდ, უეჭველად.
**ქაჯი** — გრძნეული არსება.
191.
**დამართვა** — სლვა.
**შეზახება** — შეძახება, შეტევა.
192.
**მკლავ-უგრძესი** — უფრო მკლავ-გრძელი.
**დაგზება** — ანთება, მოკიდება.
193.
**ვირემ** — ვიდრე, სანამ.
**თვარე** — თორემ.
194.
**შებნედა** — ცნობის დაკარგვა.
195.
**ყივილი** — კივილი.
**ვსება** — ქრობა, გაქრობა.
**ცეცხლი ავსე** — ცეცხლი გააქრე.
**მოსავსება** — შესრულება, ავსება. **პირი პირით მოგვისავსე** — პირი პირზე მოგვიმატე.
**დახავსება** — ხავსის მოკიდება, დალარვა. მწუხარებით მოცვა.
196.
**გულ-მდულარე** — გულაღელვებული; მწუხარე.
**ხატაეთი** — ჩინეთი.
197.
**უსაზომო** — უზომო, მრავალი.
**ქედი** — კისერი; წაგრძელებული და პრტყელი ზურგის მქონი მთა.
198.

**დაწბილება** — შერცხვენა.
**სარჩლობა** — დავა.
200.
**მეაბჯრე** — იარაღის მატარებელი.
**ზე** — ზევით, მაღლა.
**მოაზრე** — მგონებელი, მაფიქრალი.
201.
**ანაზდად** — უცებ, მოულოდნელად.
**პირ-ვამქუშავი** — მოწყენილი სახის მქონი.
202.
**განცდა** — ჭვრეტა, შეხედვა.
**შეცადება** — ცდა, გაბედვა.
203.
**უხუცესი** — უფროსი.
**დათხოვნა** — თხოვნა.
**ქენება** — ხვეწნა, თხოვნა.
**ოდენ** — მხოლოდ. **მართოდენ** — მხოლოდ.
**ვალება** — დავალება, მინდობა.
204.
**განატოფება** — დამშვენება.
**გამყიფება** — მყიფად გახდენა. **მყიფე** — ამპარტავანი, უკადრისი, მკვახე.
**ყოლე** — სრულიად,
**ამოკრეფა** — გარჩევა, მიღება. **არად ამოგვკრიფნა** — არ გაგვარჩია, არად ჩაგვაგდო
**შემწიფება** — გალახვა.
205.
**დაწიდება** — დაწევა, მიყოლა, მოჭიდება.
**კიდ ანუ კიდე** — კიდევ; კიდეც, უკვე
206.
**მთვარებლად** — როგორც მთვარე.
207.
**მარებელი** — მალარებელი.
208.
**ყოვნა** — დაგვიანება.
**საწადელი ანუ საწადი** — სასურველი, სანდომი.
**გარდასრული** — გარდახდილი, შეხვედრილი.
**გარდაფრეწა** — გატეხა, გახეთქვა. **თავი გარდაფრიწა** — თავი გაუტეხა, გაუხეთქა.
**მომდაბლება** — დამდაბლება, დამცირება.
**მომიწება** — მიწასთან გასწორება.
209.
**უადგილო** — უცხოობა, ქვეყანაზე, სივრცეში უბინოდ.
**საგაზრდილი** — სამშობლო.
**ყოლა** — სრულიად, მთლად.
**საადვილო** — ადვილად შესასრულებელი.
**დასალრეჯელო** — მოსაწყენი დასაღონებელი, შესაწუხებელი.
210.
**მაშვრალი** — დაღალული.

211.
**გაქუსლვა** — ქუსლით ცემა, გაქენება.
**დეზი** — ცხენის საჩხვლეტი გასაქენებლად.
**გავაზი** — შავარდენი.
**ნეზი** — წვრილი და გრძელი ბაწარი.
**ზეზი ანუ ზესი** — მაღალი, ზეციური; ბისონი, პორფირი
212.
**მიწურვა** — ბოლომდე მიყვანა, მოახლოვება.
**გება** — მოხერხება.
**უმეცარი** — უეცარი.
**გამოგება** — მოხერხება, მოგვარება, გამოღება, გამოცემა.
213.
**უცნობო** — უგონო, გონებადაკარგული..
**რეტი** — შეგნება-დაკარგული.
214.
**ცუდება** — უნაყოფოდ, უშედეგოდ, უსარგებლოდ გახდენა.
**არ დასამრუდე** — შეუცდომელი, სწორი, უტყუარი.
215.
**წამე** — წამი.
**მოსალამე** — დასველებული.
216.
**ჩანადენი** — ჩამომდინარე.
**ანაყრდენი** — ამართული, აწეული; **კლდემდის ანაყრდენი** — კლდემდის ამართული.
217.
**ცრემლ-მინადენი** — ცრემლების მღვრელი.
218.
**მოსილი** — შემოსილი, ჩაცმული.
**შესართვა** — შესართველი.
**მოჭდომა** — მოხვევა.
**ჯუბა** — მოკლე ჩასაცმელი, ქათიბის მსგავსი.
219.
**ტევრი** — დიდი და ხშირი ტყე.
**ზახილი** — კივილი.
**მოთქმა** — სიმღერით ჩივილი
**ქცევა** — საქციელი.
**ზმა** — ქმნა.
220.
**დალება** — დალება სულისა — დაწყნარება.
**სისხლის დალება** — სისხლის დაქცევა.
**აკაზმულობა** — მორთულობა (ცხენისა).
**შელება** — შეტანა.
**გამოსრულობა** — გამოსვლა, **გარდახდა ვამოსრულობა** — აღარ გამოსულან.
221.
**ჩხერი** — ჩხარა-ჩხური.
222.
**თურე** — თურმე.
223.
**ალვა** — სუნნელოვანი ხე და

მის ფოთლებითგან გამოხდილი საკმეველი.
**ვაცი** — ძამალი თხა.
**წვერ-გამო** — უწვერო.
224.
**გაგარება** — გაყვანა, ვალი; **მინდორს თავი გააგარა** — მინდორს გასცილდა.
225.
**გაბრჭობა** — გაგება, შეტყობა, გარჩევა.
**დასობა** — დარჭობა.
226.
**განხმული** — გაღებული (განხმა — გაღება); **კარ განხმული** — კარგაღებული.
**მუნით** — იქითგან.
**გამოჭრა** — გამოვარდნა.
**ბროლ-ბაკმული** — წარმოსდგება სიტყვითგან **ბაკმი. ბაკმი** ან **ბაკი** ჰქვია იმ სინათლის რკალს ან სიმრგვალეს, რომელიც სჩანს ხოლმე მთვარის გარშემო. **ბროლ-ბაკმული** — ბაკმიანი ბროლი; თეთრი და მეტად ლამაზი.
**კარ-განხმული** — კარღია.
227.
**გარდაჭრა** — გარდასტომა.
**ერთ-სახე** — ერთგვარი, მსგავსი, თანაბარი.
228.
**ბილწება** — არა-წმინდათ მიჩნევა, შეზიზღება.
**მიდამო** — აქეთ-იქით; **მიდამო ჰკრთებოდა** — აქეთ-იქით ირხეოდა.
**კრთომა** — რჩევა, გამოსვლა
**მწე** — შემწე, მშველელი.
**მწეობა** — შველა, შემწეობა
229.
**ტან-სარო** — ტან-მაღალი.
230.
**სარჩელი** — ჩივილი.
**ბჭობა** — რჩევა, განსჯა.
**ნუკვა** — თხოვნა, ხვეწნა
231.
**ვაგლახი** — ვაება.
232.
**რაზომცა** — მაინც, თუმცა, რაც უნდა.
233.
**თრთვილი** — რთვილი, გაყინული ნამი.
234.
**ზენარობა** — დაფიცება, ფიცი.
**დაყრა** — თქმევინება, დატყუება, სიტყვის გამოტყუება, გინა გამოგლეჯა.
**მუდარობა** — ხვეწნა.
**წამოზიდვა** — წამოწევა, დათრევა, წამოთრევა.
235.
**მართ** — სწორეთ.
238.
**ფონი** — გაშვებული გუბის წყალი, ღვარი.
**შეწონება** — შედარება, შეფარდება, შეტოლება.
**მისანდო** — მისანდობელი.
239.
**თქმევა** — თქმევინება.
**ფრქვევა** — პნევა, დაღვრა.
240.
**კუშტ-გვარი** — გაბუტული.
**კუშობა** — წყრომა.
**გულ-ნაღმობარი** — გულ-მოლბობილი.
241.
**აუბრება** — ალაპარაკება.
243.
**ქონება** — საკუთრება.
244.
**ას-კეცი** — ასჯერ მეტი.
**ამოხვინჩვა** — ამოსკვნა, ამოჯდომა. **გულ ამოხვინჩვით ცრემლთადინება** — გულ-ამოსკვნით ტირილი.
**დინება** — ღვრა.
245.
**კრძალვა** — მორიდება.
246.
**დგმა** — ჩადგმა.
**სულთა დგმა** — სიცოცხლე.
247.
**ალქატება** — უქონელყოფა, გაიშვიათება (**ალკატი** — გლახა).
**აზატება** — გათავისუფლება, გაშვება.
248.
**უამესი** — უფრო საამური.
**დესი** — უკეთესი და. **უფრო დესი** — დაზე უკეთესი.
249.
**მილება** — ღვრა.
**გაწბილება** — შეურაცყოფა, შერცხვენა.
251.
**მოსახმელად** — მოსატანად.
**ამოზიდვა** — ამოწევა, ამოტანა, ამოყვანა.
**მოხმა** — მოღება, მოტანა.
**ქვეშთი** — ქვეით მყოფი; მიწიერი, ხმელეთზე მავალი.
252.
**აპყრობა** — ამართვა.
**გორლი** — თივისაგან დაგრეხილი საბელი; შესაკრავი.
256.
**ნაუბარი** — ნათქვამი, ნალაპარაკევი.
255.
**ამისთანი** — ამისთანა, ასეთი
**რონინება** — ტარება.
**მემაჯანი** — მაძაბუნებელი.
**დაყოვნება** — დარჩენა, დაგვიანება.
256.
**ნუთუ** — ეგება.
**შემეცნება** — გაცნობა.
257.
**ჩხაპუნება** — წყლის შხაპუნი.
**უკურიდება** — უკან გამობრუნება.
258.
**მეუნებლე** — ურჩი, წინააღმდგომი, მოწინააღმდეგე.
259.
**გარდახდომა** — გარდახტომა, გადასვლა.
**შესამალი** — შესართველი.
**სარკმელი** — ფანჯარა.
**იდუმალი** — ჩუმი, ფარული
260.
**ამარტი** — ქარვა.
**ტაოსანა** — შავიანი, შავი.
**დადუმება** — დაჩუმება.
**მოკვეთა** — მოჭრა.
261.
**საკანი** — საპყრობილე.
**ნაზატები** — განთავისუფლებული, გაშვებული.
**ნატი** — მოქვილი ტყავი, დასაგებელი.
**გაწვნა** — დაწვნა, გადაბმა, გასკვნა, გადასკვნა.
**სატი** — საჩრდილობელი.
**გიშრის სატი** — წამწამი.
262.
**გზება** — ანთება.
**შეუქნელი** — შეუჭრელი, დაუჭრელი.
**მიპყრობა** — მიშვერა, მიტანა, გაწვდა.
**უცოხნელი** — დაუღეჭველი.
263.
**დაზახება** — დაკივლება, დაძახება, დაყვირება.
**წამ-წამ** — წამ და უწუმ, ხშირ-ხშირად, ყოველ წამს.
**ცალ-კერძ** — ცალ-მხრით.
**შენამჭვრტი** — შემაცქერალი
**ხოკვა** — კაწვრა, ფხაჭნა.
264.
**გარკიდება** — შეხვედრა, შერა; წაწყდომა.
**დაეფანჩა** — **დაფანჩვა** — დაფანტვა, დაქსაქსვა.
**და** — გამეორება ზმნისა: **დაფანჩვა.**
265.
**გაალება** — გამწვავება, გაცხელება.
**შეყრა** — შეხვედრა.
**მკრთალი** — დამფრთხალი.
**ხვალე** — ხვალ.
266.
**ბევრის-ბევრი** — ასი მილიონი, ძლიერ ბევრი.
267.
**ვითა** — როგორც.
268.
**წყლული** — ჭრილობა.
**გაყრა** — გაშორება.
269.
**ეტლი** — ცთომილი, ზოდიაკი; ბედი.
270.
**ვეზირობა** — რჩევის მიცემა, ვეზირად ყოფნა.
**გაცდა** — გაცნობა, გაშინჯვა, გარჩევა, შეგნება.
**მოგდება — რადვან ღმერთსა ვაზირობა შენი ჩემზე მოუგდია** — რათგან ღმერთს შენი მრჩევლობა ჩემთვის მოუნდვია.
272.
**შეგონება** — ჩაგონება, დარიგება, რჩევა.
273.
**უგემური** — უსიამოვნო.
274.
**მაგულვანებელი** — გამამხნევებელი, წამთამამებელი, მაგულადებელი.
**დასაგვანი** — შესაფერი
275.
**დარა** — შედარება. **მართებს ორთავე მზე დარად** — რიგია ორივე მზესთან იქმნეს შედარებული.
**ბარი** — დაბლობი, ვაკე ადგილი, წინააღმდეგ მთისა.
276.
**დარი** — მსგავსი, შესადარებელი.
**გამოჭვირვა** — გამოჩენა.
**გარდაჭვდა** — გადახვევა.
277.
**შეპყრობა** — დაჭერა.
**ლება** — დაჩუმება, დაწყნარება სულის.
278.
**გაწირვა** — მიტოვება, გაცემა.
279.
**ნაზება** — სუსტად, უძლურად გახდენა. **ვის თავი გინაზებია** — ვისაც თავი დაგისუსტებია.
**მიჯნურობა** — ტრფიალი, სიყვარული.
**უშრეტი** — გაუქრობელი.
280.
**აზრება** — მოაზრება, მოგონება, მოფიქრება, წარმოდგ.
281.
**ხაფი** — რიხიანი, მრისხანე.
282.
**გარდაკვეთა** — გადაჭრა. **შენი კვალი ვერ მოვკვეთეთ** — შენი გზა ვერ მოვჭერით.
**გაშეთება** — შეთად გახდომა, გახელება.
**დაფეთება** — დაფრთხობა.
284.
**მონდომილი** — მონდომებული.
**დადენა** — დენა, ღვრა.
**მილი** — ნაკადული, ღვარი.
285.
**გამკვახება** — **სიტყვის გამკვახება** — უზრდელად ლაპარაკი.
287.
**გაგულვანება** — გათამამება.
288.
**შეზრახება** — შელაპარაკება, შეკადრება.
**სახვა** — გამოხატვა, წარმოდგენა, ჩვენება.
289.
**დაფახვა** — დახუჭვა, დახამხამება.
**დაწამწამება** — წამწამების მოძრაობა, დახამხამება.
**მილმა** — შორს, იქით.

**შეწამება** — შემოწმება; დაბრალება.
**დათამამება** — გაკადნიერება, გათავხედება.
290.
**ვაშად** — კეთილად, საკეთილოდ; ბედნიერად, მშვიდობით.
**გარდაუხდელი** — ვისაც არ დარდახდენია, არ შეხვედრია
**განაწირი** — გაწირული, მიტოვებული.
291.
**ზენა** — ზევითი, ზეციური.
**ეგზომი** — მოგოდენი.
292.
**დაბინდვა** — დაბნელება, დალონება
**მინა** — ჭიქა;
293.
**მე შენი გული აწ მემხურვალების** — მე შენი გული მხურვალედ მეჩვენება.
**ნაცვლება** — ნაცვლად მიგება, სამაგიეროდ ქმნა.
**ლამა** — ღვრა.
294.
**პატრონი** — მფლობელი, ბატონი.
**მური** — კვამლი, ჭვარტლი
295
**დაყმუნდა** — გაჩერება, გაჩუმება.
**ხლებული** — ახლოს მყოფი თან მყოფი.
**ლებვა** — **ლებული** — დალორჯებული. დაჩენილი ნაცემი.
**დაალება** — ალმოდებული, ალად ქცეული.
**დავალება** — შეწუხება, დაღლა.
296.
**დება** — დათ გახდენა.
297.
**პკურება** — მოსხმა წვრილის წვეთბით.
**გთანისთანება** — თანდათან გაკეთება რისამე: გახშირება გაძლიერება, განიადაგება.
298.
**გახმა** — გალება.
**ვამყარება** — გამტკიცება, ვამაგრება.
300.
**ძლივ** — ძლივს.
**ხელ-ქმნა** — გაგიჟება.
**შეკვა** — შეპყრობა, დაჭერა
301.
**მძლო** — მძლეველი.
302.
**მზარავი** —შემაძრწუნებელ
**სერა** — ხოცვა. კვლა.
**დაუფარავი** — დაუჩიდებელი.
**საწუთრო გაუწარავი** — გამწარებული სიცოცხლის უქონილი.
303.
**კაეშნი** — დარდი.

**არი-არე** — გილი, მიდამო.
**გასხმა** — გაყვანა, გადცენა, გაძევება.
**ძორჭშა** — სიმდიდრის და დიდების შეძენა.
**შეწყნარება** — კეთილად მიღება, მფარველობის გაწევა
306.
**საკარგყმო** — კარგის ყმობის ჯილდო.
**ამირბარი** — ადმირალი.
**მიუმცდარობა** — შეუცდომლობა, გამოუცდელობა.
**კეისრობა** — სრული თვით მპყრობელური ხელმწიფობა
307.
**ზავი** — მორიგება, მშვიდობა; დაკავშირება.
308.
**ზარი** — დიდი ხმაურობა, შიში.
309.
**საპატრონოდ** — სამფლობელოდ; მფლობელად.
**მოწიფება** — დასრულება, გაზრდა.
**ნაკვთი** — მოყვანილობა.
310.
**ცილი** — ტყუილი.
**სირი** — ჩიტი.
**ჰგაოდის** — ენაღვლებოდა, ედარდებოდა.
311.
**შენცა ხარ მოწამე ჩემისა ფერ-მიხდილისა** — შენც მოწმად მყევხარ მე ფერ-წასულსა.
**ედემი** — სამოთხე.
312.
**დაბნედა** — ცნობის დაკარგვა, გულის წასვლა.
313.
**ხარება** — გახარება, ლხენა.
**საბოძვარი** — საჩუქარი.
314.
**საშობელი** — ძეობა.
**ნასამალი** — შუქის ანარეკლი.
315.
**მურვა** — კვამლის ჭვარტლის მოკიდება; დარდის გაჩენა.
316.
**ხმობილი** — წოდებული.
**შეფრობილი** — შემსგავსებული. **მზისგან შვენებით არ შეფრობილი** — შვენებით მზისგან არ შემსგავსებული; მზე შვენებით მას ვერ ემსგავსებოდაო.
**წდობილი** — ცეცხლში გამოტარებული, გამაგრებული.
317.
**მიმწდომი** — შემძლებელი. მიმხვდომი, მიმღწევი.
318.
**სამყოფი** — საცხოვრებელი ბინა.

**ფაზარი** — კარგად გათლილი ძვირფასი ქვა; ქვა პოვებული ცხოველთა ღვიძლში და ხალველში, და ხძარებული წამლად.
**იაგუნდი** — ძვირფასი ქვაა.
**საბანელი** — საბანებელი.
**სარაჯი** — ზადრევანი.
**სახმილი** — ღუმელი; ცეცხლი; მწუხარება, დარდი.
319.
**მუჯამარი** — საცეცხლური.
**კმევა** — ხრჩოლება.
320.
**მოფარდაგული** — მოფენილი, ფარდაგ-ჩამოფარებული
**ოქსინო** — ძვირფასი ფარჩა, ზარიანი ხავერდი.
**მინა-ვარდი** — თეთრ - წითელი.
**გაბაონ** — ადგილია პალესტინაში.
322. 2
**მოსრვა** — დახოცვა.
**სრეული** — გასროლილი.
**შემოქცეული** — შემობრუნებული, გამობრუნებული.
**საწუთრო** — წუთისოფელი
**ბროლ-ბადახშეული** — თეთრწითელი.
323.
**ნიშატი** — მხიარულება, ლხინი.
**იში** — შეწუხების გამომხატველი ძახილი.
324.
**საწუთრო გაცუდებული** — სიცოცხლე გაფუჭებული.
**სულ-დალებული** — დაჩუმებული, დაწყნარებული.
**ლებული** — შელებილი.
325.
**ტკივილი** — წუხილი.
**ახდა** — გახდა.
**მისეული** — მის ნაქონი.
**საკარგავი** — სამართავი. გასამგებლო.
**საურავი** — გასარიგებელი, შრომა.
326.
**უკუნი** — სიბნელე, ბნელი.
**უკუნის გამომიყვანეს** — საშგლოვიარო ოთახიდან გამომიყვანეს.
329.

**სალხინო** — სამხიარულო, სასიამოვნო ადგილი.
**სირინო** — მშვენიერად მომღერალი ზღაპრული არსება.
330.
**დურაჯი** — გარეული ფრინველია.
**გაძოხმა** — გამორთმევა.
**სადებლად** — მოსაკიდებლად.
**სალი** — მაღალი და მაგარი კლდე. მაგარი.
332.
**აზიდვა** — აწევა.
**მოწუნარე** — მოწუნარი, დამწუნებელი.
**ნიადაგული** — გამუდმებული.
333.
**ცუდ-ქმნა** — უნაყოფოდ, უშედეგოდ, უსარგებლოდ.
335.
**მიმნდო** — მიმნდობელი, მიმყოლი.
**უმუხთლოდ** — ულალატოდ
336.
**გალება** — მიცემა. **გავიღე სხვა ვერა გზა თავისა** — სხვა გზა ველარა მივეცი ჩემს თავსა. გაგნება, მიგნება.
**სულად მოსვლა** — მოსულიერება თავის თავად.
337.
**საგებელი** — ლოგინი, საფენი.
**მუჯრი** — მაჰმადიანთა სასულიერო პირი, მოლა.
**გამაბელზებელი** — ეშმაკეული.
338.
**თვალ-ახმული** — თვალგახელილი.
**გულსა სისხლი გარდამეთხია** — გულს სისხლი მომაწვა.
339.
**მულიმი** — მაჰმადიანთა სჯულის მეცნიერი, რომელთაც აქიმობა იციან.
**მუსაფი** — მაჰმადიანთ სჯულის წიგნი; ყურანი.
**მტერ-დაცემული** — ავის სულით შეპყრობილი.

ვ. გახოკიძე

## ჟურნალ „კავკაზი"-ს მორიგი პროვოკაცია

დიდი ხანია რაც ჟ. „კავკაზ"-მა სიყალბეთა შეთხზვა და პროვოკაცია ხელობად გაიხადა. მაგრამ ყოველივეს გადააჭარბა „კავკაზ"-ის თებერვლის ნომერმა.

ქართლოსი უკვე გამზადებული იყო დასაბეჭდათ, როცა აღნიშნული ნომერი მივიღეთ და იქ ბ. ხალილ - ხას - მამედის წერილს გავეცანით. სამწუხაროდ, ქართლოსის ამ ნომერში აღარ შეგვიძლია მას შევეხოთ, ხოლო ამით ვაცხადებთ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მომართული ბ-ნ მამედის წერილი სრულ სიყალბეზეა აგებული და აგრეთვე პროვოკაციულია. ასევე ბ-ნ ბამატის შენიშვნაც. ამ თავხედ და ბრიყვულ სისინს ჩვენ უპასუხოდ არ დავსტოვებთ.

ქართლოსი.

Le Gérant : M. Durand.

IMP. VACHERAT, 19, RUE PAUL-BARRUEL (15)